პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებული, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დ ღ ი უ რ ი

- უცხოეთის პრესის გამოძახილი ამხ. რიკოვის მოხსენებაზე.
- შვეიცარიის კომპარტიის ცეკას პლენუმი.
- ამანულა-ხანი ევროპაში მიემგზავრება.
- ბესარაბიის ვაჭრები მოითხოვენ სავაჭრო ურთიერთობის აღდგენას საბჭ. კავშირთან.
- 15 აგვისტოს ვლადივასტოკში იხსნება წყნარ ოკეანის პროფკავშირთა ყრილობა.
- დირიჟაბლი „გრაფ ცეპელინ“-ი დაბრუნდა ფრიდრიხსჰაფენში
- სტიქიური უბედურება დნეპროპეტროვსკში. — დაიღუპა 12 კაცი.

კვირა, 26 მაისი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 118 (2464)

28 მაისს, საღამოს 6 საათზე

საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის შენობაში (რუსთველის პ-ოსპექტი, № 24, მეორე სართული) მოწვეულია

საკ. კომპარტიის (ბ) ა/კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის მე-5 პლენუმი

დღის წესრიგი:

1. პარტიის წმენდის შესახებ.
2. საბჭოთა აპარატის წმენდის შესახებ.
3. ა-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კალენდარული გეგმის შესახებ.

საკ. კომპარტიის (ბ) ა.-კავკასიის საოლქო საკონტრ. კომის. თავმჯდ. **ნაზარეტიანი**

კომუნისტი

მიიღება ხელისმოწერა ივნისისათვის

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81.

მილიტარისტების ახალი ომი ჩინეთში

გომინდანს თავი მოაქვს იმით, რომ მან თითქო ჩინეთის ნაციონალურ გაერთიანებას მიაღწია. ოფიციალურად კიდეც ნანკინის მთავრობის ძალაუფლება მთელ ქვეყანაზე გავრცელდა და გომინდანის დროშა ყველგან აღიმართა, მაგრამ სინამდვილეში მდგომარეობა სულ სხვანაირია. დღემდე ჩინეთი ფაქტიურად ისევ დაქუცმაცებულია და ცალკე მილიტარისტული ჯგუფები ამა თუ იმ პროვინციების თითქმის სრული ბატონ-ბატრონები არიან.

ჩინეთის ბურჟუაზიას თავისი ეკონომიური ინტერესები უკარნახებენ ქვეყნის ცენტრალიზაცია განახორციელოს. ჩან-კაი-შის ცდა აქეთკენა მიმართული. მაგრამ ამ ცდას მედგარ წინააღმდეგობას უწევენ ცალკე პროვინციების მფლობელი გენერლები და მათი მომხრენი, რომელთაც სრულებით არ სურთ თავისი განუკითხავი ბატონობა, პრივილეგიები და სიმდიდრის წყარო დასთმონ. მაგრამ ბრძოლას სხვა სარჩულიც უდევს. თვით ცენტრალიზაციის იდეის მატარებელნიც ვერ შეთანხმებულან, თუ რომელი ჯგუფი უნდა თამაშობდეს ხელმძღვანელ როლს გაერთიანებულ ჩინეთში, თუ რომელი გენერლები უნდა იდგნენ ხელისუფლების სათავეში.

მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ გენერლების ურთიერთ ბრძოლას ჩინეთში მარტო შინაური მნიშვნელობა ჰქონდეს. აქ უდიდესი როლი ეკუთვნის გარეშე ძალებს, რომელთა ხელში ჩინეთის სხვადასხვა მილიტარისტული ჯგუფები ბრმა იარაღს წარმოადგენენ თავის იმპერიალისტურ მიზნების განსახორციელებლად. ჩან-კაი-შის ამერიკა უმაგრებს ზურგს. და ეს, რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ იგი თანაგრძნობით ეკიდებოდეს ჩინეთის მოღონიერებას და მის განთავისუფლებას. ჩინეთის გაერთიანება ამერიკის კაპიტალს იმისათვის ესაჭიროება, რომ ამ გზით ის უფრო ადვილად შესძლებს ამ ქვეყნის ეკონომიურ და, მაშასადამე, პოლიტიკურ დამონებას და იქედან თავის კონკურენტების—ინგლისის და იაპონიის გაძევებას. გაერთიანებული ჩინეთი ამერიკის კოლონიად უნდა იქცეს,—ასეთია ვაშინგტონის ამოცანა, რომელსაც ის ჩან-კაი-შის ხელით ანხორციელებს.

რაც შეეხება ინგლისს და იაპონიას, ჩინეთის გაერთიანება მათ მეტად ცუდ შედეგებს უქადის. საქმე ისაა, რომ ეს იმპერიალისტური ქვეყნები ეკონომიურად გაცილებით სუსტნი არიან, ვიდრე ამერიკა. და თუ დღემდე ისინი ჩინეთში უფრო ბატონობენ, ვინემ ამერიკა, ეს აიხსნება ერთი მხრით იმით, რომ მათ იქ წინად მოიპოვეს მთელი რიგი ეკონომიური და უფლებრივი პრივილეგიები. ამავე დროს ამერიკა საერთოდ უფრო გვიან დაადგა საგარეო ექსპანსიის გზას, ჩინეთშიაც იგი მას შემდეგ შეიჭრა, როცა იქ სხვებს პოზიციები უკვე გამაგრებული ჰქონდათ. და თუ ჩინეთის გაერთიანება ამ სამი მებრძოლი ძალისათვის შექმნის თანაბარ პირობებს, ეს საშუალებას მისცემს ამერიკას თავისი მოწინააღმდეგენი დაამარცხოს. ინგლისსა და იაპონიისათვის აუცილებელია ჩინეთი წინანდებურად დაქუცმაცებული იყოს, რომ ამ გზით მათ თავისი ეხლანდელი პოზიციები შეინარჩუნონ და ამავე დროს ამერიკას გაუძნელონ ჩინეთში თავის გავლენის განმტკიცება. ამიტომაა, რომ ლონდონი და ტოკიო ყოველნაირად უწყობენ ხელს ფინ-იუ-სიანს და სხვა გენერლებს, რომელნიც ჩან-კაი-შის წინააღმდეგ იბრძვიან. ფინ იუ-სიანი ინგლის-იაპონიის ბლოკის პოლიტიკის გამტარებელია ჩინეთში.

როგორია ამჟამად ფაქტიური მდგომარეობა? ყველაზე უფრო აღსანიშნავია აშკარა შეტაკება ჩან-კაი-შის და ფინ-იუ-სიანს შორის, რომელნიც ძველი დაუძინებელი მტრები არიან. მათ შორის ომი ოფიციალურად უკვე გამოცხადდა. თვითეული მათგანი მეორეს ქვეყნის მოღალატედ ნათლავს. საგულისხმოა, რომ ფინი ახლა თითქო გამოდის „რადიკალურ“ შინაურ რეფორმების, ქვეყნის „დემოკრატიულ“ რეორგანიზაციის მომხრედ. ეს, რა თქმა უნდა, თვალთმაქცობაა, რომლის მიზანია მასების მოტყუილება და მიზიდვა. ნამდვილად კი ფინ-იუ-სიანი მშრომელ ხალხის ისეთივე ჯალათია, როგორც ჩან-კაი-ში.

მდგომარეობა და ძალთა განწყობილება დღევანდელ მომენტში არ არის ფინისათვის სახეირო. ჯერ ერთი, მის სამფლობელოებში (შენსის, განსის, ხენანის პროვინციები და შანდუნის დასავლეთი ნაწილი) ბევრგან დიდი სიმშილობაა მოუსავლიანობის გამო. ჩან-კაი-შიმ წინასწარ მიიღო ზომები, რომ იქ პური არ შესულიყო და ამ მიზნით იგი ბლოკადას ატარებს. შემდეგ—ფინს არ მოეპოვება იარაღის და სხვა სამხედრო მასალის საკმაო მარაგი, რომელსაც ინგლისი მას მოკლე დროში და ადვილად ვერ მიაწოდებს, რადგან სათანადო გზები სამხრეთიდან მეტწილად ჩან-კაი-შის მომხრეთა ხელშია. ამავე დროს ჩან-კაი-შიმ მოახერხა ენსიშანის (შანსის მფლობელის) მიმხრობა და მისი გულის მოსაგებად იგი დანიშნა ნანკინის მთავრობის ჩრდილოეთის ჯარების მთავარსარდლად. ენსიშანი, რომელიც მნიშვნელოვან მილიტარისტულ ძალას წარმოადგენს, ფინ-იუ-სიანის ზურგს უკან იმყოფება ჩრდილოეთიდან. როგორც სჩანს, ჩან-კაი-ში შეუთანხმდა მუკდენის დიქტატორსაც: მუკდენის ფრონტიდან მან მოხსნა თავის ჯარების უმეტესი ნაწილი და ფინის წინააღმდეგ გაგზავნა. ასეთ პირობებში გამწვავებული ჩან-კაი-შის დამოკიდებულება თავის მოწინააღმდეგესთან, ულტიმატუმით მიმართა მას დამორჩილების შესახებ და საომრად გამოიწვია.

მაგრამ ნანკინის გამარჯვება მაინც არ არის გადაწყვეტილი. შეიძლება ენსი-შანიც და ჩან-სუე-ლიანიც გადამწყვეტ მომენტში განუდგენ ნანკინს. აგრეთვე საგულისხმოა, რომ სამხრეთ-ჩინეთში გუანსილების ჯგუფი მიიწევს კანტონისკენ, ე. ი. ნანკინის ხელისუფლების წინააღმდეგ. არსებობს თუ არა ფინსა და გუანსილებს შორის კავშირი (მათ საკმაოდ ფართე ტერიტორია ყოფს), ეს გამოურკვეველია, მაგრამ სამხრეთ ჩინეთში ჩან-კაი-შის მოუხდება საგრძნობ ძალის დაბანდება.

როგორაც არ უნდა გათავდეს საქმე, გაიმარჯვებს ერთი თუ მეორე მებრძოლი მხარე, ჩინეთის ნამდვილი განთავისუფლების თვალსაზრისით ამას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება. ეს ახალი ბრძოლა მხოლოდ გამოიწვევს ქვეყნის უფრო გაღატაკებას, უამრავ მსხვერპლს, მასების კიდევ მეტ შევიწროება-ექსპლოატაციას. ამას კი არ შეიძლება არ მოჰყვეს მშრომელთა ახალი ამოძრავება, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება. გენერლების ბრძოლას მუშათა კლასი და გლეხობა გამოიყენებენ თავის რიგების დარაზმვისათვის ქვეყნის განსათავისუფლებლად როგორც შინაურ, ისე გარეშე მოძალადეებისაგან.

რისთვის დახვრიტეს ისინი?

მათ ჯგუფში ოც კაცზე მეტი იყო—ყველანი მოსკოვ-ყაზანის, სამხრეთ-აღმოსავლეთის, რიაზან-ურალის და ვინდავა-რიბინსკის რკინის გზების ყოფილი აქციონერები.

მეკი და ველიჩკო მეთაურობდნენ მავნებელთა ამ კომპანიას. „გუდოკ“-ი სწერს:

„ისინი სცდილობდნენ შეექმნათ მძიმე სატრანსპორტო კრიზისი. სცდილობდნენ შეექმნათ ეს კრიზისი პირველ რიგში ორთქლმავალთა პარკის გავერანებით. ამ მიზნით განზრახ შლიდნენ პარკს, აფუჭებდნენ ორთქლმავლის ქვაბებსა და მექანიზმებს, პირდაპირ სპობდნენ გამოსადეგ ორთქლმავლებს ან „რუდმეტალტორგ“-ს აბარებდნენ, როგორც ლითონის ნამტვრევებს. ამ მუხანათმა მავნებლებმა დაამსხვრიეს ბევრი, მუშაობისთვის საუკეთესო ორთქლმავალი („ოვ“-დიდი და სხვ.). ნამტვრევებად აბარებდნენ ორთქლმავლების გამოსადეგ სათადარიგო ნაწილებს. მათ მთელი თავიანთი „ნიჭი“ იმას მოახმარეს, რომ დამაზიანებელი მუშაობითა და დეზორგანიზაციით დაერღვიათ სათადარიგო ნაწილების სისტემა ს. მ. უ. საბჭოს ქარხნებში.

ორთქლმავლების პარკის დაშლას ფარავდნენ ყალბი სტატისტიკური ცნობებით. მათ დეზორგანიზაციის რთულ ქსელში გახვიეს მთელი რაციონალიზატორული ღონისძიებანი. ისინი ორთქლმავლებზე არ დგამდნენ წყლის გასათბობ და ორთქლის გასახურებელ მოწყობილობას და სცდილობდნენ სახელი გაეტეხათ მოძრაობის ახალი წესისათვის.

ბატონ მეკებს პირდაპირი კავშირი ჰქონდათ შახტის „გმირებთან“, ღებულობდნენ მათგან უვარგის სათბობს. უვარგის სათბობს ორთქლმავლებს აწვდიდნენ. ეს იწვევდა ქვაბების დაწვას და გაფუჭებას და ორთქლმავლების გაჩერებას ორთქლის დაგროვების გამო. ეს იწვევდა ბრიგადების უკმაყოფილებას.

ამით არ განისაზღვრებოდა ბატონ აქციონერების დამაზიანებელი საქმიანობა. ისინი უყურადღებოდ სტოვებდნენ წყლის მიწოდების სისტემას და ადგენდნენ საქონლის და სამგზავრო მატარებლების მოძრაობის არა სწორ გრაფიკებს. დასასრულ, ისინი სცდილობდნენ შეეფერხებინათ პურის ტვირთების გადაზიდვის საქმე.

მაგრამ ეს ცოტაა. ბატონმა მეკებმა შეიმუშავეს სატრანსპორტო მეურნეობის ყველა დარგის დეზორგანიზაციის დაწვრილებითი გეგმა. მათი სანუკვარი ოცნება ის იყო, რომ შეუძლებლად გაეხადათ სამხედრო ტვირთების გადაზიდვა. შეუძლებელია მავნებელთა ყველა საქმის, გეგმისა და ოცნების ჩამოთვლა. საკმარისია ითქვას, რომ ეს გეგმა არ განხორციელდა მხოლოდ იმას მეოხებით, რომ საბჭოთა კავშირის გაერთიანებულმა სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ თავის დროზე ჩასვა საპყრობილეში თეთრხელთათმანიანი ბანდიტები—იგი დაპატიმრებას პირველად შეუდგა 1928 წლის თებერვალში.

იმისათვის, რომ გავერკვეთ, თუ რამდენად შორს მიდიოდა ბატონ აქციონერთა გეგმები, საკმარისია ერთი შეხედვით გავეცნოთ მათ ერთ-ერთ გეგმას. აქ საქმე გვაქვს იმ უტიფარ პროექტთან, რომ შემოეღოთ „უძლრესად მძლავრი ორთქლმავლები „ა“ სერიისა“. მათ თითონ გამოიგონეს ეს სერია, ასე ვთქვათ დამაზიანებელი ორთქლმავლების სერია. ამ ორთქლმავლების შემოღების შემდეგ საჭირო გახდებოდა საბჭოთა კავშირის ყველა ხიდისა და რელსების გამოცვლა, გზის ზედაპირისა და ყრილების გამოცვლა და საბჭოთა კავშირის ყველა სადგურის გადაკეთება. ამას მრავალი მილიარდი დასჭირდებოდა. მათ იმედი ჰქონდათ გაენიავებინათ ის მილიონები, რომლებსაც ასეთი გაჭირვებით ჰქმნის ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატი. მაგრამ ეს ოინები თავის დროზე შესწყვიტა გაერთიანებულმა პოლიტსამმართველომ. უნდა ითქვას, რომ მავნებელთა ბანდის გამომჟღავნებაში უახლოესი მონაწილეობა მიიღეს ათასობით მუშებმა—ჩვენი კავშირის წევრებმა, კავშირის ორგანოებმა და კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა.

ათასზე მეტმა დეპოს მემანქანემ მისცა ჩვენება ამ საქმეზე, ჩვენი სპეციალისტების ძირითადი მასის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მეკის ბანდის გამომჟღავნებაში ახლო მონაწილეობა მიიღო ინჟენრებისა და ტეხნიკოსების თვალსაჩინო რიცხვმა. ამ სპეციალისტებთან ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი მჭიდროდ არის დაკავშირებული მეგობრობითა და საერთო ბრძოლით. ორთქლმავლების მოძრაობის განზრახ შემუშავებული არასწორი ნორმები გამომჟღავნებულ იქნა მთელი რიგი ინჟენრების დახმარებით. მუშათა კლასი შესძლებს დაიცვას ეს ამხანაგები სპეციჭამიობისაგან.

მეკები მხედველობაში იღებდნენ ყოველ წვრილმანს, რასაც კი შეეძლო გამოეწვია მგზავრების უკმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენი სავაგონო პარკის დაშლის მიზნით მათ განსაკუთრებული კონსტრუქციის ვაგონებიც კი გამოიგონეს. ამ ვაგონებში მოგზაურობა იწვევს ისეთსავე განცდას, როგორც ზღვაზე მოგზაურობა—„ზღვის ავადმყოფობას“.

ეხლა ეს თეთრძვლიანი არამზადები პროლეტარული ხელისუფლების ხელში არიან. ზოგი უმკაცრესად დაისაჯა. სხვები კი გაიგზავნენ საკონცენტრაციო ბანაკებში შეშის სატვირთავად და ტორფის ჭაობებში სამუშაოდ. იქ იგრძნობენ, თუ რა ადვილია იმ მუშებად ყოფნა, რომელთა ნდობაც მათ ასე მუხანათურად გააცრუეს“.

„გუდოკ“, 25 მაისი.

ჯ. ხიკსი საბჭ. კავშირთან ურთიერთობის განახლების შესახებ

„რუსეთისათვის კარი ღიაა. ჩვენ რუსეთისაგან მეტს ვყიდულობთ, ვიდრე ის ჩვენგან“

ამერიკის მრეწველები მოითხოვენ დელეგაციის გაგზავნას საბჭოთა კავშირში

გაიხსნა საფრანგეთის პარლამენტის მორიგი სესია

საბჭოთა კავშირი და ინგლისი

ხიკსი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების შესახებ

ლონდონი, 24 მაისი. ჯოინსონ ხიკსმა ბედფორდში სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა:

„მთავრობა ყოველ წუთს მზად არის აღადგინოს სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან, თუ იგი ჩვენთან მოვა ისეთივე პატიოსანი მიზნებითა და ისეთივე მეგობრული დამოკიდებულებით, როგორსაც ლონდონში საფრანგეთი და გერმანია იჩენენ. რუსეთისათვის კარი ღიაა. ჩვენ რუსეთისაგან მეტსა ვყიდულობთ, ვიდრე ის ჩვენგან“ (ადს).

ამერიკა-საბჭ. კავშირის ურთიერთობა

ამერიკის მრეწველნი მოითხოვენ დელეგაციის გაგზავნას საბჭოთა კავშირში

ნიუ-იორკი, 24 მაისი. რუსეთ-ამერიკის სავაჭრო პალატის სხდომაზე ირჩეოდა საკითხი შეერთებული შტატების სავაჭრო-სამრეწველო დელეგაციის გაგზავნის შესახებ საბჭოთა კავშირში. ამას წინად მოსკოვიდან დაბრუნდა ბანკირი **სემუელ ბერტრანი**, აგრეთვე კომპანიის „ბოლდუინ ლოკომოტივ“-ის წარმომადგენელი **ჩარლ მუჩნიკ**, რომელთაც აღნიშნეს საბჭოთა მეურნეობის პროგრესი. ინჟენერმა კუპერმა განაცხადა, რომ **დელეგაციის გაგზავნით ამერიკელ მრეწველებს განსაკუთრებით ხელსაყრელი შემთხვევა ეძლევათ „გაიგონ სიმართლე საბჭოთა კავშირის მდგომარეობის შესახებ“**. კერძოდ, კუპერი წინადადებას იძლევა, დელეგაციამ დაათვალიეროს „დნეპროსტროი“. პალატის თავმჯდომარემ და „ჩეზ ნეიშონელ ბენკ“-ის ვიცე-პრეზიდენტმა შლეიმ აღნიშნა საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების სავაჭრო ურთიერთობის ზრდა და მიესალმა „ამტორგ“-ის მუშაობას. სხდომას დაესწრნენ ბევრი უდიდესი სამრეწველო და საბანკო საწარმოს წარმომადგენელნი. სავაჭრო პალატის ცნობით, **დელეგაციის გამგზავრება დიდ ინტერესს იწვევს შეერთებული შტატების საქმიან წრეებში**. ბევრი ფირმისაგან შემოვიდა განცხადება დელეგაციაში მონაწილეობის მიღების შესახებ (ადს).

საფრანგეთის პარლამენტის სესიის გახსნა

პარიზი, 24 მაისი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ გაიხსნა პარლამენტის სესია. კომუნისტებმა მოითხოვეს, რომ პარლამენტს პირველ რიგში განეხილა მთავრობის მიერ 1-ლ მაისს მიღებული ღონისძიებების საკითხი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ტარდიემ აღნიშნა რომ პირველმა მაისმა უინციდენტოთ ჩაიარა, და დასვა ნდობის საკითხი, რომელიც შეკითხვათა განხილვის გადადებას დაუკავშირა. დეპუტატთა პალატამ 326 ხმით 258-ის წინააღმდეგ მხარი დაუჭირა შეკითხვების განხილვის გადადებას. (ადს)

პარიზი, 24 მაისი. მუშაობის განახლების შემდეგ საფრანგეთის პალატის პირველ სხდომაზე აურზაური ასტყდა. ეს აურზაური წარმოიშვა იმ დროს, როცა კომფრაქციამ მოითხოვა, რომ დაუყონებლივ დაწყებულიყო დისკუსია კაშენის იმ ინტერპელიაციის გამო, რომელიც შეეხებოდა პირველი მაისის დღესასწაულის დროს მიღებულ მთავრობის ღონისძიებებს. კაშენის ინტერპელიაციის დაუყონებლივ განხილვას მხარი დაუჭირეს სოციალისტებმა და რადიკალისტებმა, რომლებმაც აღნიშნეს სრულიად უდანაშაულო სამი ათას ხუთას მოქალაქის დაპატიმრება უკანონოდ 1 მაისის წინა დღეებში. მაგრამ სოციალისტებმა თავიანთი სიტყვები მიმართეს არა მთავრობას, არამედ კომუნისტების წინააღმდეგ. **სოციალისტები ყოველ წუთს** სიტყვას აწყვეტინებდნენ კაშენს და ყვიროდნენ „წითელი ტერორის“ შესახებ, პირველი მაისის ამბებს ინსცენირობას უწოდებდნენ და ისიც კი სთქვეს, ვითომ კომპარტია წინდაწინვე შეუთანხმდა ტარდიეს (შინაგან საქმეთა მინისტრს) მასიური დაპატიმრებათა შესახებ, რათა პოლიციასთან შეტაკება არ მომხდარიყო. **სოციალისტების ასეთმა განცხადებამ სიცილი გამოიწვია მემარჯვენეთა სკამებზედაც კი. კაშენმა ამ ცილისწამებას უმსგავსი სისულელე უწოდა** და სოციალისტებს შეეკითხა — იქნებ კომპარტია შინაგან საქმეთა მინისტრს იმაშიაც შეუთანხმდა, რომ არ შეწყვეტილიყო კომუნისტების ჩხრეკა, დაპატიმრება, ასზე მეტი კომუნისტი მუშაკის დამწყვდევა საპატიმროებში, მილიონი ფრანკის ჯარიმები კომუნისტურ გაზეთებში მოთავსებული წერილებისათვის და სხვა.

მთავრობის სახელით საპასუხოდ გამოვიდა ტარდიე, რომელიც იმით ამართლებდა დაპატიმრებებს, რომ საჭირო იყო „ამბოხების გეგმის განხორციელების“ თავიდან აცილება.

ტარდიემ მიმართა სოციალისტებს და განაცხადა, რომ ის მზად არის დაინდოს ისინი და არ მოაგონოს სოციალ-დემოკრატების როლი ბერლინის ამბებში.

კაშენის ინტერპელიაციის სასწრაფოდ განხილვის საჭიროება პალატამ უარჰყო 326 ხმის უმრავლესობით 258 ხმის წინააღმდეგ.

ამხ. რიკოვის მოხსენების გამოძახილი

ვენა, 24 მაისი. ავსტრიის, უნგრეთის და ბალკანეთის გაზეთებმა მოათავსეს საკმაოდ ვრცელი ადგილები იმ მოხსენებიდან, რომელიც რიკოვმა გააკეთა საბჭოების საკავშირო ყრილობაზე. ჯერ-ჯერობით კომენტარიები მხოლოდ სათაურებშია მოცემული. როგორც ეტყობა, ამ ქვეყნების პრესა უცდის წვრილ სახელმწიფოთა პრესის გამოხმაურებას. ანტისაბჭოთა „ნეიე ვინერ ჟურნალ“-მა მოხსენებას ასეთი სათაურები გაუკეთა: „რუსეთი ომით იმუქრება“, „რიკოვის აშკარა თავდასხმა პოლონეთზე“. პირიქით, სოციალ-დემოკრატიულ გაზეთში ასეთი სათაურია „რიკოვი მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკას“.

ლონდონი, 24 მაისი. ლონდონის გაზეთების უმრავლესობამ უკომენტარიოთ მოათავსა ადგილები რიკოვის მოხსენებიდან.

ბერლინი, 24 მაისი. ბერლინის გაზეთებს რიკოვის სიტყვიდან მოჰყავთ ვრცელი ადგილები. გაზეთებმა ისარგებლეს იმ ინფორმაციით, რომელიც დაგზავნა ვოლფის სააგენტომ. ჯერ-ჯერობით გაზეთები თავს იკავებენ კომენტარიებისაგან.

პრაღა, 24 მაისი. გაზეთებმა, გარდა აგრარულ ორგანოს „ვენკოვ“-ისა და ნაციონალ-დემოკრატიული გაზეთის „ნაროდნი ლისტი“-სა, მთლიანად და უკომენტარიოდ გამოაქვეყნეს ცნობა რიკოვის სიტყვის შესახებ. ზოგიერთი გაზეთი სათაურში აღნიშნავს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის თანმიმდევრობას და რიკოვის საყვედურს ჩეხოსლოვაკიის მიმართ. ცენზურამ აკრძალა „რუდე პრავო“-ს წერილი კომენტარიებით რიკოვის სიტყვისა და მცირე ანტანტის კონფერენციის შესახებ (ადს).

ბესარაბიის ვაჭრები მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის აღდგენას

ვენა, 24 მაისი. რუმინულ გაზეთ „დიმინეატა“-ს კიშინევიდან აცნობებენ: ამ დღეებში ბესარაბიის ვაჭართა დეპუტაცია ეწვია ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრს და სთხოვა ეცადოს, რომ **რაც შეიძლება მალე განახლდეს ვაჭრობა საბჭოთა კავშირთან.**

გაზეთის სიტყვით, გარეშე საქმეთა სამინისტრომ ამის გამო გადასწყვიტა გაგზავნოს თავისი დელეგატი რუმინეთ-საბჭოთა ცენტრალურ კომისიაში, რომლის სხდომები დაიწყება 15 ივლისს ბენდერში.

პოლიტიკურ წრეებში ამბობენ, რომ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის აღდგენის საკითხი კომისიის სხდომების დღის წესრიგში დაისმებაო. (ადს)

შვეიცარიის კომპარტიის ცეკას პლენუმი

ბერლინი, 24 მაისი. 18-დან 21 მაისამდე ბაზელში მიმდინარეობდა შვეიცარიის კომპარტიის ცეკას პლენუმი. სწორი პარტიული ხაზიდან გადახვევის ცალკე შემთხვევები პლენუმზე საფუძვლიანი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. საფუძვლიანად იქნა განხილული პლენუმზე მომავალი ეკონომიური კონფლიქტების, კერძოდ კი შვეიცარიის ლითონის მრეწველობაში დაწყებული ბრძოლის საკითხი. კომინტერნის მდგომარეობის განხილვის დროს გამოირკვა, რომ პლენუმი სრულიად და უდავოდ ეთანხმება კომინტერნის მეექვსე კონგრესის დადგენილებებს, აგრეთვე კომინტერნის აღმასკომის მიერ კონგრესის დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად მიღებულ დადგენილებებს. პლენუმმა მოიწონა გერმანიისა და ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიების ბრძოლა ლიკვიდატორული მოძრაობისა და მასთან შემარიგებელი დამოკიდებულების წინააღმდეგ.

გაერთიანებულმა პლენუმმა ყველა ხმით (ორმა თავი შეიკავა) გაილაშქრა შვეიცარიის კომპარტიის ცეკას წინანდელი პოზიციის წინააღმდეგ, რომელიც გამოიხატებოდა მხარის დაჭერაში მემარჯვენე გადახრისათვის გერმანიის კომპარტიასა და კომინტერნში. პლენუმმა გადასწყვიტა — მოახდინოს ცეკას რეორგანიზაცია, რისთვისაც იგი შევსებული იქნება 9 მუშით. პოლიტბიურო და პარტიის სამდივნო გადარჩეული იქნება. (ადს).

13 ქვეყნის კომპარტიების კონფერენცია

ბერლინი, 24 მაისი. კომინტერნის დასავლეთ-ევროპის ბიურომ გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა:

„16 მაისს, ბრიუსელში შესდგა კომინტერნის დასავლეთ-ევროპის ბიუროს მიერ მოწვეული თათბირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების 13 კომპარტიამ, აგრეთვე კომუნისტური ახალგაზრდობის ინტერნაციონალის და პროფინტერნის წარმომადგენლებმა.

თათბირის მთავარ საგანს წარმოადგენდა 1929 წლის 1-ლ აგვისტოსათვის დანიშნული იმპერიალისტური ომებთან ბრძოლის დღისათვის მზადების საკითხი. კამპანიის ჩატარების საფუძველს წარმოადგენს კომინტერნის მეექვსე კონგრესის რეზოლიუცია იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ამ რეზოლიუციას ფართედ უნდა გაეცნონ არა მარტო პარტიები, არამედ მთელი მუშათა კლასი.

კამპანიის მთავარ მიზანს უნდა შეადგენდეს პროლეტარიატისა და მშრომელთა ფართო მასების მობილიზაცია საბჭოთა კავშირის დასაცავად. იმპერიალისტური ომების წინააღმდეგ ბრძოლის დღის როგორც მომზადების, ისე ჩატარების დროს საჭიროა მთლიანი ფრონტის შემჭიდროება ქვევიდან, მუშათა ფართო მასების დარაზმვა საწარმოებში და მასიურ პროლეტარულ ორგანიზაციებში, აგრეთვე მასების ამ მთლიან ფრონტის ორგანოების შექმნა. ამ დღის ჩატარების ფორმებს უნდა წარმოადგენდეს მუშაობის შეწყვეტა და მასიური დემონსტრაციები. საჭიროა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მზადებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხის სისტემატიური გაშუქება კომპარტიების პერიოდულ პრესაში, აგრეთვე საპარლამენტო ტრიბუნის გამოყენება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მომმზადებელთა გასაკრავად სამარცხვინო ბოძზე.

თათბირმა მოისმინა მოკლე ინფორმაცია მუშათა მოძრაობის გაძლიერების შესახებ ინდოეთში და დაადგინა — თავისი საერთაშორისო მებრძოლი სალამი გაუგზავნოს ბომბეის გაფიცულ ფეიქრებს. თათბირმა დაადგინა — ყველა მუშას და მასიური რევოლიუციონური ორგანიზაციების ყველა წევრებს მიმართოს მოწოდებით — მონაწილეობა მიიღონ პირველი აგვისტოს დღის მომზადებასა და ჩატარებაში. (ადს).

მისალმება ინდოეთის მუშებს

ბერლინი, 24 მაისი ბრიუსელში შესდგა ევროპის 13 კაპიტალისტური ქვეყნის კომპარტიების კონფერენცია. კონფერენციაზე ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელსაც კონფერენცია სალამს უძღვნის ინდოეთის მუშებს მათ გმირულ ბრძოლაში ბრიტანეთის იმპერიალიზმის, ადგილობრივ ექსპლოატატორთა და ინგლისისა და ინდოეთის რეფორმისტების გაერთიანებულ ძალების წინააღმდეგ.

კონფერენციამ მიიღო მოწოდება ინდოეთის მუშებისადმი, რომელშიაც ნათქვამია:

„არავის ისე არ გაუცია ინდოეთის მუშები, როგორც ეს ჩაიდინა ინგლისის პროფკავშირთა კონგრესის გენერალურმა საბჭომ, რომელიც აშკარად დადგა უბოროტეს ექსპლოატატორთა მხარეზე, მაშინ, როდესაც ბომბეის 150.000 მუშა იბრძოდა თავიანთი დათხოვნილი ამხანაგების სამუშაოზე დასაბრუნებლად“.

კონფერენცია კისრულობს ვალდებულებას ძლიერი დახმარება აღმოუჩინოს ინდოელ მუშებს დიად ბრძოლაში კაპიტალისტური ჩაგვრისა და კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

კონფერენციის სახელით მოწოდებას ხელი მოაწერეს ტელმანმა, ტორესმა, ბელმა, ზაპოტოცკიმ, დიმიტროვმა და ვანზენმა (ადს).

ამანულა ევროპაში მიდის

ლონდონი, 24 მაისი. რეიტერის სააგენტო სიმლიდან იტყობინება:

„ოფიციალურად იუწყებიან, რომ ჩამანთან (ინდოეთის საზღვარზე) გადასულ ამანულას თხოვნით ინდოეთის მთავრობამ ნება მისცა ამანულას და მის ამალას თავისუფლად იმგზავრონ ბომბეამდე, საიდანაც ამანულა ზღვით ევროპაში წავა. (ადს).

ამანულა ჩამანში

ლონდონი, 24 მაისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, 23 მაისს ამანულა ცოლის სურვილის და ძმის ინაიატულას თანხლებით მოულოდნელად ჩამანში (ბელუჯისტანი) ჩავიდა.

მდგომარეობა ჩინეთში

ფინ იუ-სიანის გამორიცხვა პარტიიდან

შანხაი, 24 მაისი. გომინდანის აღმასკომის პრეზიდიუმმა ფინ იუ-სიანი გამორიცხა პარტიიდან და დაადგინა—გადააყენოს იგი ყველა თანამდებობიდან. პრეზიდიუმმა ნანკინის მთავრობას დაავალა — მიიღოს სამხედრო და პოლიტიკური ზომები ფინ იუ-სიანის წინააღმდეგ (ადს).

ჯილდო ფინ იუ-სიანის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის

ხარბინი, 24 მაისი. იაპონური გაზეთი „შენ-ძინ-ბაო“, რომელიც მანჯურიაში გამოდის, ამტკიცებს, რომ ნაციონალური მთავრობა ჰპირდება ჯან სიუე-ლიანს—ფინ იუ-სიანის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის ჩახარი მანჯურიას შეუერთოს (ადს).

კომუნისტების მოქმედება

შანხაი, 24 მაისი. ტოხოს სააგენტო გონკონგიდან იუწყება, რომ კანტონის კომუნისტები, რომელთა რიცხვი, სააგენტოს გადმოცემით, 3.000-ს უდრის, კანტონში მუშების დახმარებით აჯანყებას აწყობენ. ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მდინარეთა რაიონში კომუნისტების მნიშვნელოვანი რაზმები მოქმედებენ. (ადს).

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის ორგანიზაციის 35 წლის თავი

მოსკოვი, 25 მაისი. კავშირთა სახლის დარბაზში შესდგა საზეიმო სხდომა საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის ორგანიზაციის 35 წლის თავის გამო. მოსკოვის კომიტეტის მდივანმა ამხ. ბაუმანმა აღნიშნა, რომ მოსკოვის ორგანიზაციას ყოველთვის მაღლა ეჭირა ბოლშევიზმის დროშა. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას სახელით მოსკოვის ორგანიზაციას მიესალმა ამხ. იაროსლავსკი. მოსკოვის ორგანიზაციას მიესალმენ საკავშირო კომპარტიის (ბ) ლენინგრადის, ტულის და ტვერის ორგანიზაციების წარმომადგენელნი, აგრეთვე მოსკოვის ფაბრიკებისა და ქარხნების და დონბასის მუშების წარმომადგენელნი და სხვ. (ადს).

ჭორები გემ „კომუნისტი“-ს შესახებ

ოდესა, 25 მაისი. ჩვეულებრივ ინსინუაციას წარმოადგენს „დეილი მეილი“-ს ცნობა იმის შესახებ, რომ საბჭოთა გემმა „კომუნისტმა“ ირაქის ნავთსადგურში, ბასრაში, მიიტანა განძეულობა, რომლის დანიშნულებასაც ვითომ ირაქის ნავთის რაიონებში მღელვარების გამოწვევა შეადგენს.

როგორც „სოვტორგფლოტ“-ის შავი ზღვის კანტორაში უკრაინის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს აცნობეს, „კომუნისტ“-მა ბასრაში შეიარა იმისათვის, რომ იქ გადმოეტვირთა ბაღდადელი ვაჭრების საქონელი. ეს საქონელი ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე იქნა შეძენილი. დღემდე ეს საქონელი ირაქში სპარსეთით საქარვნო გზით იგზავნებოდა, ამიტომ იგი არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენდა ინგლისური საქონლისათვის, რომელიც იაფი საზღვაო გზით შეჰქონდათ. საბჭოთა გემები ბასრაში საქონელს წამოსაღებადაც იღებენ, რაც აგრეთვე ხელსაყრელი არ არის ინგლისური გემების მფლობელთათვის. ამ გარემოებამ გამოიწვია ინგლისელების მხრით პროვოკაცია. სხვათა შორის, როდესაც ბასრაში პირველად შევიდა საბჭოთა გემი „ფრუნზე“, მან იქ მიიღო ტვირთი პორტ-საიდისათვის. ამის გამო ინგლისის აგენტებმა ადგილობრივ ვაჭრებს შორის გაავრცელეს ხმა — საბჭოთა გემი ტვირთს საბჭოთა კავშირში წაიღებსო. საერთოდ, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ინგლისელები ახალ კონკურენტების მოსაშორებლად პროვოკაციულ ჭორებს მიმართავენ. (ადს).

ურალის ნავთი

თათბირი ჩუსოვსკი გოროდოკში მუშაობის მოწყობის შესახებ

მოსკოვი, 22 მაისი. 23 მაისს აკადემიკოს გუბკინის თავმჯდომარეობით და აკადემიკოს არხანგელსკის, პროფ. სტრიჟევის და გეოლოგიური კომიტეტის თვალსაჩინო მუშაკების მონაწილეობით შესდგა ფართო თათბირი ჩუსოვსკი გოროდოკის რაიონში ნავთის საგამოკვლევო მუშაობის შემდგომი მიმართულებისა და გეოლოგიური გამოკვლევის საკითხის შესახებ. თათბირმა საჭიროდ სცნო, სისტემატიურად გამოკვლეულ იქნას ნავთის დენა გეოლოგიური კომიტეტის ჭაბურღილში (№20), აგრეთვე სასწრაფოდ მოეწყოს ორი საგამოკვლევო ჭაბურღილი. თათბირმა მოიწონა მუშაობის პროგრამა, შემუშავებული გეოლოგიური კომიტეტის ნავთის განყოფილების მიერ. გარდა ამისა, თათბირმა გადასწყვიტა — მოხდეს გეოლოგიური გამოკვლევა ჩუსოვსკი გოროდოკის აღმოსავლეთ რაიონში, ფართოდ დაყენებულ იქნას აგრეთვე გამოკვლევა იმ ვრცელ რაიონში, რომელსაც აღმოსავლეთით საზღვრავს ურალი, ხოლო დასავლეთით ვოლგა და კამა. გადასწყდა — ურალზე გაიგზავნონ ნავთის საქმის თვალსაჩინო სპეციალისტები ჩუსოვსკი გოროდოკის ნავთის საბადოს დეტალურად გასაცნობად. (ადს).

ლენინგრადი, 25 მაისი. გეოლოგიური კომიტეტის უფროსი გეოლოგის ამხ. ფრედერიქსის სიტყვით, ჩუსოვსკის საბადო ყველაზე მძლავრი ნავთიანი ფენაა. ეს ფენა 50 მეტრს უდრის (დღემდე ნავთის ძველ საბადოებში ნავთიანი ფენა 15 მეტრს არ აღემატებოდა). როგორც ჩუსოვსკის რაიონის საერთო გეოლოგიური მდგომარეობიდან სჩანს, ნავთის საბადოებს უჭირავთ ისეთი სივრცე, რომლის სიგრძეც 300 კილომეტრს უდრის, ხოლო სიგანე — 6 კილომეტრს.

გეოლოგიურმა კომიტეტმა ჩუსოვსკის ნავთის საბადოებში გაგზავნა ორი დამატებითი პარტია — ტოპოგრაფიული და გეოლოგიური. (ადს).

პერმი, 26 მაისი. ჩუსოვსკის გოროდოკიდან უკან დაბრუნების დროს ამხ. კოსიორი შეჩერდა პერმში. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს მან განაცხადა, რომ საბადოები ჩუსოვსკის გოროდოკში ძალიან მდიდარია ნავთით. ახალ ნავთიან რაიონს ამ ჟამად დახმარებას უწევენ მისი შეფები — „აზნავთ“-ი, „გროზნავთ“-ი და გეოლოგიური კომიტეტი. ს.მ.უ. საბჭო სამუშაოებს უზრუნველყოფს საჭირო სახსრებით. ახალი ნავთის ხარისხი ჯერ საბოლოოდ არ არის გამორკვეული. (ადს).

სტიქიური უბედურება დნეპროპეტროვსკში

დნეპროპეტროვსკი, 25 მაისი. ქალაქს გადაუარა ქარიშხალმა სეტყვითა და დიდი წვიმით. ქალაქის ცენტრში წყალის სიმაღლე ერთ მეტრს აღწევდა. წყალმა გაიტაცა გამვლელნი, კიოსკები და სხვ., დაანგრია ფილაქნები და შევარდა სარდაფში. წვიმამ 3 ნახ. საათს გასტანა. ქალაქის დაბალ ადგილებში წყალმა წაიღო ძველი შენობები და შევარდა ერთსართულიან სახლებში. ხალხიც დაიღუპა, ჯერ-ჯერობით აღმოჩენილია 12 გვამი. წყალდიდობამ ძალიან დააზიანა სავაჭრო ორგანიზაციების საწყობები. წყალმა დიდი ზარალი მიაყენა ადგილობრივ ქარხნებსაც. დაირღვა ამხ. პეტროვსკის სახელობის დიდი მეტალურგიული ქარხნის ნორმალური მუშაობა (ადს).

საბჭოების მე-5 საკავშირო ყრილობა

კამათი ამხ. კრჟიჟანოვსკის და კუიბიშევის მოხსენებების გარშემო

მოსკოვი, 25 მაისი. საკავშირო საბჭოების მე-5 ყრილობის 24 მაისის დილის სხდომაზე გაიმართა კამათი ამხ. კრჟიჟანოვსკის და კუიბიშევის მოხსენებათა გამო.

ყრილობა მეტად საქმიან პირობებში იხილავს ხუთწლიან გეგმას. ყრილობის დელეგატებს, პათოსისა და ზედმეტი სიტყვების გარეშე, შეაქვთ შესწორებანი და შენიშვნები საკავშირო სახელმწ. საგეგმო კომისიის მიერ შემუშავებულ გეგმაში და ლაპარაკობენ საბჭოთა კავშირის რაიონებისა და ოლქების საჭიროებებზე.

ტრიბუნაზე ადის ბელორუსიის სოციალისტური რესპუბლიკის ცნობილი სამეურნეო მუშაკი ამხ. **კარკლინი**. იგი თავის სიტყვას უძღვნის მიმდინარე წლის იმ სამეურნეო მშენებლობას, რომელიც საბჭოთა ბელორუსიაში იწყება. ხუთი წლის განმავლობაში ს. მ. უ. საბჭო ბელორუსიაში აგებს 130 ახალ ქარხანას და ფაბრიკას. ადგილობრივი სამეურნეო ორგანიზაციები, გარდა ამისა, აშენებენ ასამდე სამეურნეო საწარმოს. მაგრამ არსებობს საფრთხე, რომ ეს უდიდესი პროგრამა სავსებით ვერ შესრულდება, თუ კავშირის სამეურნეო-საგეგმო ორგანოები არ დაეხმარებიან ადგილებს და არ იკისრებენ საფაბრიკო-საქარხნო საწარმოთა მშენებლობის სტანდარტიზაციის ამოცანას.

ხარკოვის ოლქის წარმომადგენლის ამხ. **ოზერიანსკის** სიტყვა თითქოს ამხ. კარკლინის სიტყვის დამატებას წარმოადგენდა. ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებული არ არის კომუნალური მშენებლობა — ტრამვაი, წყალსადენი და კანალიზაცია ისეთ ცენტრებში, როგორიც არის ხარკოვი, რომლის ზრდაც ეხლავე ბრკოლდება წელოვნურად. პროლეტარიატისათვის კომუნალური სამსახურის გაწევის საქმის გაუმჯობესება ნიშნავს ხელსაყრელი პირობების შექმნას იმ მეტად მნიშვნელოვანი ამოცანის შესასრულებლად, რომელიც დასახულია ხუთწლიანი გეგმით, — სამრეწველო პროდუქციის თვით ღირებულების შემცირება 85 პროცენტით. ამხ. ოზერიანსკი მოითხოვს შემდგომ განვითარებას ხარკოვის ორთქლმავალთ-მშენებელი ქარხნისა, რომელიც საბჭოთა კავშირის სხვა ქარხნებთან შედარებით იაფ და საუკეთესო პროდუქციას იძლევა.

ზოგიერთი ორატორი თავის სიტყვაში შეეხო მეცნიერების მნიშვნელობას სახალხო მეურნეობის განვითარებაში. სხვებზე უკეთესად ამის შესახებ ლაპარაკობს ამხ. **პოკროვსკი**, რომელსაც მხურვალე ტაშით შეხვდნენ.

„მე ვილაპარაკებ იმაზე, რაც ხუთწლიან გეგმაში არ არის, მაგრამ ურომლისოდაც იგი ვერ შესრულდება. მე ვილაპარაკებ მეცნიერებაზე“,— ასე დაიწყო თავისი სიტყვა ამხ. პოკროვსკიმ.

ამხ. პოკროვსკიმ მოიყვანა მრავალი მაგალითი ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებების ყოველდღიური ცხოვრებიდან და ხაზი გაუსვა სამეცნიერო ძალთა დაქსაქსვას და „მეცნიერების ფრონტის დაქუცმაცებას“. ასეთი მდგომარეობის დროს მეცნიერება საჭირო სამსახურს ვერ გაუწევს მრეწველობას და ვერ გადაიქცევა სახალხო მეურნეობის განვითარების „გენერალურ შტაბად“.

„ჩვენში მეცნიერებას განაგებს ოც დაწესებულებაზე მეტი, — ამბობს ამხ. პოკროვსკი,— ესენი არიან სახ. მეურ. უმაღ. საბჭო, მოკავშირე რესპუბლიკათა განათლების სახ. კომისარიატები, საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს საქმეთა სამმართველო და მრავალი სხვა დაწესებულება. ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელია. პროლეტარიატმა უნდა გააერთიანოს სამეცნიერო ფრონტი, რომელიც ეხლა მთავარ ფრონტად ხდება. იგი უნდა დაეუფლოს მეცნიერებას, რადგან უამისოდ ის ვერ განახორციელებს სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის უდიდეს ამოცანებს“.

ჩრდილოეთ-დასავლეთის ოლქის ერთ-ერთი თვალსაჩინო სამეურნეო მუშაკი ამხ. **ციპეროვიჩი** თავის სიტყვაში შეეხო ძველი სამრეწველო ცენტრების განვითარების პრობლემას. მან აღნიშნა, რომ სწორი არ იქნება ახალი ეკონომიური ცენტრები დაუპირისპიროთ ძველ ცენტრებს და ჯვარი დაუსვათ ისეთი ცენტრის შემდგომ განვითარებას, როგორიც არის, მაგალითად, ლენინგრადი. ჩრდილოეთ დასავლეთის ოლქს, ამხ. ციპეროვიჩის აზრით, აქვს ყველა შესაძლებლობა განვითარებისათვის.

ეროვნული რესპუბლიკების წარმომადგენლებმა ამხ. **ისლამოვმა** (უზბეკისტანის ს. ს. რესპუბლიკა) და ამხ. **ისაევმა** (კაზაკსტანის ავტ. ს. ს. რესპ.) ხაზი გაუსვეს იმას, რომ სწორია ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ხაზი, რომლითაც დასახულია საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთის მდიდარი რაიონების განვითარება.

დილის სხდომაზე ილაპარაკეს ამხ. **პლიუვინმა** (დასავლეთის ოლქი), ამხ. **ბირკოვმა** (შორეული აღმოსავლეთის მხარე), ამხ. **ბიჩკოვმა** (ნიჟნი-ნოვგოროდი), ამხ. **იაკოვლევმა** (არხანგელსკი), ამხ. **კონუშკინმა** (ბაქო), ამხ. **სუხომლინმა** (უკრაინა) ამხ. **ტოლსტოპიატოვმა** (საკავშირო შრომის სახ. კომისარის მოადგილე), ამხ. **რატჩენკომ** (ივანოვო-ვოზნესენსკის სამრეწველო ოლქი), ამხ. **ტრილისერმა** (ოდესა), ამხ. **ისაევმა** (კაზაკსტანი) და ამხ. **ბასენკომ** (შორეული აღმოსავლეთის მხარე). (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ვოლდემარასზე თავდამსხმელის სიკვდილით დასჯა

კოვნო, 24 მაისი. როგორც ლიტვის დეპეშათა სააგენტო იუწყება, 22 მაისს სამხედრო-საველე სასამართლომ სტუდენტ ვახუკს, რომელმაც ვოლდემარასს ესროლა, დახვრეტა მიუსაჯა. განაჩენი სისრულეში მოიყვანეს.

შეერთებული შტატების კომპარტიის მთლიანობისათვის

ნიუ-იორკი, 24 მაისი. კომკავშირის ცეკამ მოიწონა ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის დეპეშა, რომელიც მოუწოდებს შეერთებული შტატების კომპარტიაში მთლიანობის შესანარჩუნებისაკენ (ადს).

„როტე ფანე“ გამოვიდა

ბერლინი, 24 მაისი. გამოვიდა კომუნისტური „როტე ფანე“, რომელიც სამი კვირით აკრძალული იყო (ადს).

რეფორმისტული პროფკავშირების კაპიტულიაცია

ბერლინი, 24 მაისი. უკვე მოგვარებულია კონფლიქტი შვეიცარიის ლითონის მრეწველობაში. რეფორმისტებმა მიიღეს მრეწველების ყველა პირობა. რეფორმისტების კაპიტულიაცია 8 საათის სამუშაო დღის მოსპობას მოასწავებს შვეიცარიის ლითონის მრეწველობაში. (ადს).

გროსმანის გადასახლების გამო

ბერლინი, 24 მაისი. ოფიციალურად არ არის დადასტურებული პრესის ცნობა, რომ გაუქმებულ იქნა ბრძანება „პრავდა“-ს კორესპონდენტის გროსმანის გადასახლების შესახებ. არ დადასტურდა აგრეთვე ცნობა, თითქოს გადასახლება გადადეს 6 თვით. გროსმანის საჩივარი ჯერ არ განუხილავთ (ადს).

იავამოტოს მეთევზეობის ხელშეკრულების შესახებ

ტოკიო, 24 მაისი. „ნიჩი-ნიჩი“-ს მოჰყავს იავამოტოს შემდეგი სიტყვები:

„მოსკოვის მეგობრული პასუხის გამო, მოსალოდნელია, რომ მალე უმტკივნეულოდ გადაიჭრება თევზის ჭერის საკითხი. თევზის მრეწველთა კავშირმა უტაქტობა ჩაიდინა, როცა თევზის ჭერის თავისუფლება გამოაცხადა. იმედი გვაქვს, რომ თევზის მრეწველნი არავითარ პრაქტიკულ ნაბიჯებს არ გადადგამენ“ (ადს).

„ცეპელინ“-ის დაბრუნება ფრიდრიხსჰაფენში

ბერლინი, 24 მაისი. ვოლფის სააგენტოს ცნობით, 8 ნახ. საათის ფრენის შემდეგ „ცეპელინ“-ი მშვიდობიანად დაეშვა ფრიდრიხსჰაფენში (ადს).

დახმარება ბერლინში დაღუპულ მუშათა ოჯახებს

კიევი, 25 მაისი. კიევის სამხატვრო ინსტიტუტის პროფესორებისა და სტუდენტების საერთო კრება ენერგიულ პროტესტს აცხადებს ბურჟუაზიისა და სოციალ-დემოკრატების მიერ ბერლინის მუშების ხოცვა-ჟლეტის გამო. სტუდენტებმა დაადგინეს — დაღუპულთა ოჯახების დახმარების ფონდში გადასდონ თითო მანეთი. პროფესორებმა გადარიცხეს ხელფასის ერთი პროცენტი. კრებამ მოწოდებით მიმართა სამეცნიერო ორგანიზაციებსა და სტუდენტობას — დაეხმარონ თეთრი ტერორის მსხვერპლთ. (ადს).

არტემოვსკი, 25 მაისი. პირველ მაისს ბერლინში დაღუპული მუშების ოჯახების დახმარების ფონდისათვის ოლქში შეიკრიბა 28.000 მანეთი. (ადს).

ჩერნიგოვი, 25 მაისი. ნეჟინის ოლქის კომკავშირელები და პიონერები შეუდგნენ ფულის შეგროვებას ბერლინის ბარიკადებზე დაღუპული პროლეტარების სახელობის ტრაქტორისათვის. ტრაქტორი გადაეცემა ახალგაზრდების საუკეთესო კომუნას ოლქში. ერთ-ერთ საუკეთესო კომუნას ეწოდება დაღუპულ გერმანელ პროლეტართა სახელი. (ადს).

სამარყანდი, 25 მაისი. სამარყანდის მუშებმა და მშრომელებმა ბერლინში პირველ მაისს დაღუპული მუშების ოჯახების დასახმარებლად გადასდეს 2.000-მდე მანეთი. (ადს).

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

წყნარ ოკეანეს პროფ კავშირთა ყრილობა

მოსკოვი, 25 მაისი. 24 მაისს საკავშირო პროფსაბჭომ მოისმინა მოხსენება წყნარ ოკეანეს პროფესიონალურ კავშირების მომავალი ყრილობის შესახებ, რომელიც შესდგება ქალაქ ვლადივოსტოკში მიმდინარე წლის აგვისტოში. ყრილობაზე დაესწრება შემდეგი ქვეყნების პროფესიონალურ ორგანიზაციათა დელეგატები: ჩინეთის, იაპონიის, კორეის, კუნძულ ფორმოზის, ფილიპპინის კუნძულების, სინგაპურის და სხვ.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ყოველნაირად შეუწყოს ხელი წყნარ ოკეანეს პროფკავშირთა ყრილობის ორგანიზაციას და მუშაობას. ამ მიზნით გამოყოფილ იქნა სპეციალური ბიურო, რომელსაც დაევალა დახმარება გაუწიოს ყრილობის მომწვევ ორგანოებს.

ოქროს ახალი მადანის აღმოჩენა

მოსკოვი, 25 მაისი. „სოიუზზოლოტო“-მ მიიღო ცნობა ქალაქ ირკუტსკიდან (ციმბირი) იმის შესახებ, რომ სოფელ ნიკოლსკოეში ირკუტსკის მახლობლად აღმოჩენილია ოქროს ახალი მდიდარი მადანი. უკვე ჩატარებულ იქნა გამოკვლევა, რამაც ცხადჰყო, რომ ახლად აღმოჩენილ ოქროს დიდი სამრეწველო მნიშვნელობა აქვს.

კონტრ-რევოლიუციონურ სპეციალისტთა დახვრეტის გამო

მოსკოვი, 25 მაისი. სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ცნობამ ტრანსპორტის მუშაკ კონტრ-რევოლიუციონერთა ჯგუფის აღმოჩენისა და დასჯის შესახებ დიდი გამოხმაურება ჰპოვა მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნებში. გუშინ და დღეს მთელ რიგ დიდ საწარმოებში შესდგა მუშების სახელდახელო მიტინგები, რომლებიც ერთხმად იწონებენ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს მიერ მიღებულ ენერგიულ ზომებს.

მუშები აღშფოთებით აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ საბჭოთა აპარატში მუშაობდა ხალხი, რომელიც მეფის ოხრანკაში მსახურობდა და რომელნიც წინად იყვნენ მსხვილი მესაკუთრეები. საბჭოთა აპარატის წმენდის დროს, ნათქვამია მუშების მიერ მიღებულ მთელ რიგ რეზოლიუციებში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ასეთ ელემენტებს. მხოლოდ იშვიათ გამონაკლისის სახით თუ შეიძლება თითო ოროლა ასეთი პირის დატოვება საბჭოთა სამსახურში და ისიც აუცილებლად არასაპასუხისმგებლო ოპერატიულ პოსტზე.

მუშათა კრებების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ კონტრრევოლიციონერ შეთქმულთა შორის იყო ინჟენერთა და ტეხნიკოსთა საკავშირო ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი. სოკოლნიკების რაიონის სარემონტო ქარხნის კრებაზე მიღებულ იქნა დადგენილება, რომელშიაც მუშები მოითხოვენ დაუყოვნებლივ იქნას დასჯილი ინჟენერთა საკავშირო ასოციაციის ეხლანდელი ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობა.

აღსანიშნავია, რომ კრებებზე მუშებთან შედარებით არა ნაკლები კატეგორიული პროტესტით გამოდიოდნენ კონტრ-რევოლიუციონერ სპეციალისტთა ჯგუფის წინააღმდეგ უპარტიო ინჟენერები და ტეხნიკოსები. „კმარა, რაც სირცხვილი გვაჭამეს ჩვენი ოჯახის კუზიანებმა, განაცხადა ძველმა სპეციალისტმა ინჟ. ზაბოლოტსკიმ, ჩვენ აღარ დაუშვებთ, რომ თითო-ოროლა გარეწრებმა სპეციალისტთა წრეებიდან, ასე უსინდისოდ და ასე უსაფუძვლოდ წაბილწონ საბჭოთა აღმშენებლობაში სრული შეგნებით და ენერგიით ჩაბმულ ინჟენერთა და ტეხნიკოსთა მასების სახელი“.

მაქსიმ გორკი მოემგზავრება მოსკოვში

მოსკოვი, 25 მაისი. რუსეთის განათლების სახალხო კომისარიატში თქვენს კორესპონდენტს აცნობეს, რომ შაბათს—25 მაისს, მწერალი მაქსიმ გორკი გამოემგზავრა სორენტოდან (იტალია) საბჭოთა კავშირში. 31 მაისამდე მ. გორკი დარჩება ბერლინში, საიდანაც პირდაპირ გამოემგზავრება მოსკოვში. აქ მას მოელიან არა უგვიანეს 2 ივნისისა.

საქართველოს ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობზე

ამხ. რიკოვის მოხსენება საბჭოების V საკავშირო ყრილობაზე

ამხანაგებო! მე დარწმუნებული არა ვარ, რომ შევძლებ რეგლამენტის ფარგლებში მოვათავსო ჩემი მოხსენება მთავრობის მოქმედების შესახებ წარსული ორი წლის განმავლობაში. ამიტომ ვთხოვე თავმჯდომარეს — მოეცა ნება დღეს ვილაპარაკო საბჭოთა კავშირის მთავრობის საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ, ხოლო მოხსენების დანარჩენი ნაწილი გადავდო ხვალისათვის. თავმჯდომარემ მიპასუხა, რომ მას საწინააღმდეგო არაფერი აქვს, თუ ყრილობა თანახმა იქნება .(ტაში).

I. ორი ტენდენცია კაპიტალისტური მსოფლიოს დამოკიდებულებაში საბჭოთა კავშირთან

ამხანაგებო! ჩემი მოხსენების პირველი ნაწილის თემას შეადგენს კავშირის მთავრობის საერთაშორისო პოლიტიკის საკითხი. ჩემს მოხსენებაში წინა ყრილობაზე აღვნიშნე, რომ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას ახასიათებს ორმაგობა ჩვენს ურთიერთობაში კაპიტალისტურ მსოფლიოსთან. ბურჟუაზიულ მთავრობებს შორის ერთმანეთს ებრძვის ორი ტენდენცია: პირველი ტენდენცია არის აგრესიული, რომელიც გამოხატავს მტრულ დამოკიდებულებას მუშათა კლასის დიქტატურის მთავრობისადმი, მას მიზნად აქვს მოსპოს მსოფლიოში პირველი პროლეტარული დიქტატურა; მეორე ტენდენციას შესაძლებლად მიაჩნია, ყოველ შემთხვევაში ეხლანდელ პირობებში, ორი სამეურნეო სისტემის — საბჭოთა სისტემის და კაპიტალისტური სისტემის — მშვიდობიანი თანაარსებობა.

წინად მე-4 ყრილობის მუშაობა 1927 წლის აპრილში მოხდა სწორედ ისეთ პირობებში, როცა აგრესიული ხასიათის ტენდენცია განსაკუთრებით ძლიერი იყო. გაგახსენებთ თუნდა იმას, რომ წინა ყრილობის მუშაობის დამთავრებისთანავე მოხდა ინგლის-საბჭოთა დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა.

თუ თვალს გადავავლებთ იმ პერიოდს, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობაში არსებობდა წინა ყრილობის დროს და მის შემდგომ ხანაში, დავინახავთ, რომ ამ პერიოდს უმთავრესად ახასიათებს ორი მოვლენა. პირველი — ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის უაღრესად გამწვავება, მეორე — რევოლიუციონური მოძრაობის უაღრესად განვითარება. ამ ორი მოვლენის შორის არსებობდა კავშირი, რასაკვირველია, არა მარტო დროის მიხედვით, არამედ არსებითადაც. მართლაც, რას ნიშნავდა რევოლიუციის აზვირთება და მისი შესაძლებელი გამარჯვება ჩინეთში? რევოლიუციის პოზიციების უაღრესად გაძლიერებას მთელ მსოფლიოში, იმპერიალიზმის ძალა-უფლების დასუსტებას და ჩვენი კავშირის მდგომარეობის საგრძნობლად გამაგრებას კაპიტალისტურ გარემოცვაში.

საერთაშორისო მდგომარეობა, ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის გაწყვეტის გამო, მეტად საგრძნობლად გამწვავდა. ეს გამოიხატა თუნდაც ისეთ მოვლენაში, როგორიც იყო ჩვენი წარმომადგენლის ამხ. ვოიკოვის მოკვლა ვარშავაში. შემდეგ საქმე უფრო გართულდა, რასაც შედეგად მოჰყვა საფრანგეთის მთავრობის მოთხოვნა — გამოგვეწვია ჩვენი ელჩი პარიზში ამხ. რაკოვსკი და მის მაგიერ გაგვეგზავნა სხვა პირი. იმავე წლის დეკემბერში მოხდა ცნობილი ამბები — მხეცურად გაუსწორდნენ საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებს კანტონში. ამავე დროს, ჩინეთის რევოლიუციასთან ერთად მსოფლიო რევოლიუციონური მოძრაობის ტალღის აზვირთება გამოიხატა ისეთ მოვლენებში, როგორიც იყო ინგლისის მემადაროეთა გაფიცვა და რევოლიუციონურ - ეროვნულ მოძრაობის გაძლიერება მთელ რიგ კოლონიალურ ქვეყნებში.

რევოლიუციონურ მოძრაობის ასეთ გაშლა-განვითარებას აღმოსავლეთში, რასაკვირველია, არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა ინგლისის კონსერვატორების აქტიობაზე საბჭოთა კავშირისადმი ურთიერთობაში. ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის გაწყვეტა 1927 წლის მაისში მოხდა სწრაფად. იმავე წლის ერთა ლიგის ჯერ კიდევ მარტის სესიაზე, კულუარებში, ინგლისმა მეტად სერიოზულად წამოაყენა სავსებით კონკრეტული გეგმები ანტისაბჭოთა ბლოკის შესაქმნელად.

ამგვარად, საერთაშორისო ურთიერთობის ძირითადი პრობლემა, რომლის ირგვლივაც გაიშალა მთელი საერთაშორისო მდგომარეობა 1927 წლის გაზაფხულზე, იყო გამწვავებული ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ მსოფლიოს შორის. ამ გართულებული მდგომარეობის ცენტრში იდგა ურთიერთობის გამწვავება ჩვენს კავშირსა და ინგლისის კონსერვატიულ მთავრობას შორის. დიდი ბრიტანეთის მთავრობა ცდილობდა ხელთ ჩაეგდო საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილი ძალების ხელმძღვანელობა.

ინგლისის მრავალი პოლიტიკური მოღვაწე აღნიშნავდა, რომ საბჭოთა კავშირის დამხობა ძალიან გაადვილებს რეპრესიების პოლიტიკას კოლონიალურ ქვეყნებში. ამგვარად, მტრული დამოკიდებულება ჩვენდამი ამ პერიოდში არ წარმოადგენდა კლასობრივი მტრის მარტო აშკარა მუშაობას პროლეტარული ხელისუფლებისა და პროლეტარული სახელმწიფოსადმი, იგი დაკავშირებული იყო აგრეთვე იმ იმედთან, რომ ამ გზით გააუმჯობესებდნენ დიდი ბრიტანეთის მდგომარეობას კოლონიებში, სადაც იზრდებოდა რევოლიუციონური მოძრაობის ტალღა.

ძნელია იმის თქმა, თუ როგორი როლი ითამაშა ამ აგრესიის დროს უშუალო შეიარაღებული თავდასხმის იმედმა და გეგმამ, თუმცა ის ფორმები, რომლებიც წინ უსწრებდნენ ამ ურთიერთობის შეწყვეტას, თავისი უხეშობით აღემატებოდნენ ყოველსავე იმას, რაც კი იცის დღემდე დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიამ. თქვენ ყველას გახსოვთ, რომ არკოსზე თავდასხმას მოჰყვა ცეცხლგამძლე შკაფების გატეხვა, არკოსის შენობის იატაკების დამტვრევა, დოკუმენტების წაღება და სხვ. ამაზე ადრე ინგლისის მთავრობა არ მოერიდა იმასაც, რომ გამოეყენებია აშკარად ყალბი დოკუმენტები, მათ შორის ეგრედწოდებული „ზინოვიევის წერილი“, რომლის სიყალბე ეხლა სავსებით ნათლად დამტკიცებულია.

ინგლისის კაბინეტის და ინგლისის კონსერვატორების იმ წრეების შემდგომი პოლიტიკა, რომლებიც ამ აგრესიის ხელმძღვანელები იყვნენ, გამოიხატა იმაში, რომ მიმართავდნენ ჩვენს კავშირზე ეკონომიური ზეგავლენის საშუალებებს. მთელ ამ სპეკულიაციას ამყარებდნენ იმაზე, რომ ჩვენ სამეურნეო სიძნელეებს განვიცდიდით, რომელნიც განადგურებას გვიქადიდნენ. სწორედ ეს წრეები გვიწინასწარმეტყველებდნენ ამ განადგურებას და თავიანთ ირგვლივ რაზმავდნენ იმ ძალებს, რომელნიც უზრუნველჰყოფდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობის შესაძლებლობას.

ამჟამად უცხოეთის გაზეთებში დროგამოშვებით კვლავ იბეჭდება ამგვარი ცნობები კრიზისისა და გაკოტრების შესახებ. ეხლა ეს საშიში აღარ არის, იმიტომ რომ, რაკი წლების განმავლობაში ჩვენი მტრები წინასწარმეტყველებდნენ და არც ერთი მათი წინასწარმეტყველება არ ასრულდა, ეხლა მათ აღარავინ დაუჯერებს. სწორედ ასეთ მდგომარეობაშია ეხლა ის, ვინც ჩვენს „დაღუპვას“ იწინასწარმეტყველებს.

ამრიგად, ინგლისის მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ იგი გახდებოდა იმ ძალების ორგანიზატორად, რომელნიც მტრულად არიან განწყობილნი ჩვენი კავშირის მიმართ. მერე რა გამოვიდა აქედან? როგორც იცით, ამჟამად თვით ბურჟუაზიული პრესაც კი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დამარცხება განვიცადეთ არა ჩვენ, არამედ ინგლისის მთავრობამ, ვინაიდან მას არ გაჰყვა არც ერთი მთავრობა. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისმა ჩვენს წინააღმდეგ მიმართა ეკონომიური და ფინანსიური ბრძოლის სხვადასხვა მეთოდებს, ჩვენი ვაჭრობა და ეკონომიური ურთიერთობა კაპიტალისტურ ქვეყნებთან დღითი - დღე იზრდება და ფართოვდება. ეს მოწმობს იმას, რომ ჩვენს წინააღმდეგ მთლიანი ფრონტის შექმნის ცდა, რომელიც ორი წლის წინად მთელი საერთაშორისო მდგომარეობის ძირითად მოვლენას წარმოადგენდა, ამ პერიოდში მარცხით დამთავრდა.

ინგლისის კონსერვატიულმა მთავრობამ გაწყვიტა ჩვენთან ურთიერთობა და შეუდგა საერთაშორისო ბლოკის შექმნას ჩვენს წინააღმდეგ, მან დაიწყო ლაპარაკი, თუ ომზე არა, ბლოკადაზე მაინც. ინგლისის კონსერვატორების ცდა—შეექმნათ ანტისაბჭოთა ბლოკი, ჩავეყენებინეთ განსაკუთრებულად მძიმე პირობებში — მარცხით დამთავრდა. ეს აიხსნება, პირველ ყოვლისა, იმით, რომ მათ ვერ გაითვალისწინეს, რომ საქმე აქვთ ისეთ სახელმწიფოსთან, რომელიც ხალხთან ერთად წარმოადგენს მთლიან ერთეულს, რომელიც თავისი ბუნებისა და კლასობრივი საფუძვლის გამო თავის პოლიტიკას ვერ შესცვლის მაშინაც კი, როცა მას ომით ემუქრებიან. ჩვენი საგარეო პოლიტიკის სიმტკიცე და შეურყევლობა გამომდინარეობს საბჭოთა კავშირის განვითარების სოციალისტური პრინციპებიდან, გამომდინარეობს იქიდან, რომ საბჭოთა კავშირში მოსახლე ერები მზად არიან მთელი ძალღონით დაიცვან ოქტომბრის მონაპოვარნი.

მეორე მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ თვით ბურჟუაზიულ ქვეყნებში დაგროვდა მრავალი წინააღმდეგობა, რომელთაც უზრუნველჰყვეს სხვადასხვა მთავრობის სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მთლიანი ფრონტის შექმნის საკითხისადმი და, მაშასადამე, სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება თვით საბჭოთა კავშირისადმი. უნდა მეტად გულუბრყვილო იყო — ასეთი გულუბრყვილობა კი თვით ინგლისის კონსერვატორებსაც არ ეპატიება, — რომ დაამყარო მშვიდობიანობა ვერსალის ზავის საფუძველზე, ერთი ხალხის მიერ მეორე ხალხის ჩაგვრის საფუძველზე და შემდეგ მოინდომო ამავე ხალხებისაგან მთლიანი ფრონტის შექმნა და იქონიო იმედი, რომ მათ შორის არ არსებობს წინააღმდეგობანი. ასეთი გულუბრყვილობის გამო მთლიანი ფრონტი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ თავიდანვე განწირული იყო. გარდა ამისა, ბურჟუაზიული ქვეყნების მთავრობებს შორის ადგილი აქვს მრავალ ისეთ წინააღმდეგობას, რომელიც გამომდინარეობს მათი ინტერესებიდან და პოლიტიკიდან. ამიტომ მთლიანი ბლოკის შექმნა კონსერვატორების მთავრობას არ შეუძლია ვერსალის სისტემისაგან დამოუკიდებლადაც კი. აი, სწორედ ამიტომ გახდა ინგლისის მთავრობისათვის აშკარა, რომ საჭიროა უკან დახევა.

დაკავებული პოზიციებიდან უკან დახევის ფორმულას წარმოადგენდა ის დადგენილება, რომელიც ერთა ლიგის საბჭომ მიიღო 1927 წლის ივნისში. ეს დადგენილება ლაპარაკობს „მორალური ფრონტის შესახებ კომუნიზმის წინააღმდეგ“. ეს დადგენილება არის უკან დახევა, ვინაიდან იგი სუსტად გამოხატავს იმ მიზნებს, რომლების განხორციელებასაც ცდილობდა დიდ ბრიტანეთის კონსერვატიული მთავრობა.

ეს ფორმულა, რა თქმა უნდა, გამოხატავს აგრესიულ ტენდენციებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ვინაიდან საბჭოთა კავშირი არის ის სახელმწიფო, რომელსაც ხელისუფლების სათავეში უდგას კომუნისტური პარტია. მაგრამ ამ ფორმულაში არ არის პირდაპირი აღიარება, პირდაპირი დეკლარაცია ანტისაბჭოთა ბლოკის შექმნის საჭიროების შესახებ კომუნიზმთან საბრძოლველად. იგი გამსჭვალულია არაჩვეულებრივი თვალთმაქცობით, რომელსაც ახასიათებს სიტყვები: „მორალური ფრონტი“. მაგრამ ყველასთვის ნათელია, რომ ამ ხალხმა სიტყვა ჩამოაგდო „მორალზე“ მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა რამის თქმა არ შეეძლო.

რაც შეეხება მორალს, უნდა ვთქვა, რომ ჩვენ მაინც და მაინც ძალიან არ გვაღელვებს ჩერჩილის, ხიქსის და მათი პარტიის მორალური თანაგრძნობა. ჩვენ ყოველთვის დარწმუნებულნი ვიყავით მათ სრულიად საწინააღმდეგო განწყობილებაში. ამასთანავე ჩვენ თქვენთან ერთად ყოველთვის გვქონდა იმედი არა მარტო მორალური, არამედ ყოველნაირი სხვა თანაგრძნობისაც იმ მრავალი მილიონი მუშებისა და გლეხების და კოლონიების ჩაგრული ხალხების მხრივ, რომელთა თანაგრძნობასა და დახმარებასაც ჩვენთვის განუზომლად მეტი ფასი აქვს, ვინაიდან საბჭოთა კავშირისათვის ასეთი მორალური დახმარების გაწევა წარმოადგენს მშრომელი კაცობრიობის მილიონების ინტერესების უშუალო გამოხატულებას (ტაში).

კაპიტალისტურ მსოფლიოს მხრივ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აგრესიის გაძლიერების ფონზე ადგილი ჰქონდა მთელ რიგ ახალ მოვლენებს, რომელნიც ახასიათებენ ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნისათვის წარმოებულ მუშაობას. საფრანგეთში ანტისაბჭოთა ბლოკის შექმნის იდეოლოგიის როლში გამოვიდა სენატორი დე-მონზი, რომელმაც შეიტანა წინადადება დასავლეთ ევროპის კაპიტალის სპეციალური ორგანიზაციის შექმნის შესახებ, რათა საბჭოთა კავშირი იძულებული გამხდარიყო წასულიყო დიდ დათმობებზე. ამავე დროს ამ სენატორმა განაცხადა, რომ მას არ სურს პოლიტიკას მისდიოს, რომ მისთვის ასეთი ბლოკის შექმნა არის „საქმიანი მუშაობა“ და არა პოლიტიკა.

შემდეგ მისმა კოლეგამ დე-ჟუვენელმა განმარტა ამ კამპანიის ჭეშმარიტი მნიშვნელობა. ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის გაწყვეტიდან რამდენიმე დღის გავლის შემდეგ მან პრესაში გამოაქვეყნა მთელი რიგი წერილები, რომლებშიაც სწერდა შემდეგს:

„ბოლოს, როგორც არის, გვეძლევა შემთხვევა ევროპის გაერთიანებისათვის, რაზედაც ასე ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ ამის განსახორციელებლად ჯერ კიდევ არაფერი არ გაკეთებულა, ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის გაწყვეტა ხელსაყრელ პირობებს ჰქმნის ამისათვის. საეჭვოა, რომ ამისთანა შემთხვევა კიდევ მოგვეცეს უახლოეს დროში, თუ ის ეხლა დავტოვეთ გამოუყენებელი“.

რა ამოცანების განხორციელებას აპირებდა დე-ჟუვენელი ამ გაერთიანებული ევროპის საშუალებით?

იგი განაგრძობს:

„არ შეიძლება ბრძოლა კომუნიზმთან და ამავე დროს საბჭოებთან ფინანსიური მოლაპარაკების წარმოება და პოლიტიკური ურთიერთობის შენარჩუნება, რასაც დღემდე არავითარი კონკრეტული შედეგი არ მოჰყვა. ინგლისი პირველი სახელმწიფო იყო, რომელიც მიისწრაფოდა რუსეთთან შეთანხმებისაკენ. მან პირველმა გაწყვიტა ურთიერთობა რუსეთთან. სასურველი და საჭიროა მიღწეულ იქნას ევროპის სერიოზული შეთანხმება რუსეთთან, მაგრამ ეს უნდა იყოს მთელი ევროპის შეთანხმება“.

დე-ჟუვენელი ეწევა პროპაგანდას მთელი ევროპის შეთანხმებისათვის საბჭოთა კავშირთან, ხოლო ამ შეთანხმებაში, რა თქმა უნდა, გულისხმობს ევროპის მთლიანი ფრონტის შექმნას, რომელმაც საბჭოთა კავშირს უნდა უკარნახოს თავისი პირობები.

შემდეგ დე-ჟუვენელი სწერს:

„საბჭოთა კავშირის სამეურნეო აღდგენა არ შეიძლება გადაიქცეს საფრანგეთის ან გერმანიის, იტალიის ან ინგლისის საქმედ. ეს შეიძლება გადაიქცეს მხოლოდ გაერთიანებული ევროპის საქმედ. ეს აღდგენა უნდა მოხდეს იმავე მეთოდებით, როგორც ავსტრიისა და უნგრეთის აღდგენა, ესე იგი ერთა ლიგის მეშვეობით, ვინაიდან სხვა მეთოდი არ არის“.

ამ აზრს, რომ ერთა ლიგამ მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა კავშირთან კაპიტალისტური სახელმწიფოების ურთიერთობის მოწესრიგებაში, როგორც გადამწყვეტმა ფაქტორმა, დე-ჟუვენელი ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნავს ამას თავის წერილში ასეთი ფორმით:

„საჭიროა წავიდეთ კიდევ უფრო შორს და გადაჭრით განვაცხადოთ, რომ ურთიერთობა ევროპასა და ბოლშევიკურ რუსეთს შორის უნდა მოაწესრიგოს ერთა ლიგამ“.

დე-ჟუვენელის შემდეგ ამ აზრს სხვებიც დაადგნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტენდენციებმა და აგიტაციამ, რომელიც დაიწყო სხვა ქვეყნებშიაც, თავისი გამოხატულება ჰპოვა გერმანიის პრესის ნაწილშიაც. ზოგიერთი გერმანული გაზეთი აღნიშნავდა, რომ დე მონზის და დე-ჟუვენელის პროექტები წარმოადგენენ საბჭოთა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიისაგან „თავდაცვის“ საშუალებას, რომ ამ პროექტებში ლაპარაკია საბჭოთა კავშირთან შეთანხმების შესახებ, მაშინ, როცა ნამდვილად აღნიშნული პოლიტიკოსების გეგმები ითვალისწინებენ კაპიტალისტური ევროპის მთლიანი ფრონტის დაპირისპირებას საბჭოთა კავშირისათვის. გერმანიის მძიმე ინდუსტრიის ორგანოში „ბერგვერკსცეიტუნგ“-ში მიმდინარე წელს მოთავსებული იყო იმავე დე-ჟუვენელის წერილი, სადაც ის იმეორებს იმ წინადადებებს და არგუმენტებს, რომლებიც მან წამოაყენა ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ჩაშლის პერიოდში.

ბევრ კაპიტალისტურ მოღვაწეს იმედი ჰქონდა, რომ ამ კამპანიის საშუალებით გვაიძულებენ გავაუქმოთ საგარეო ვაჭრობის მონოპოლია. მაშინ ბოლშევიკური სახელმწიფო ხელმისაწვდომი გახდებოდა ყოველი ბირჟაზე მოთამაშისა და იმპერიალისტი ყაჩაღისათვის. პარიზის ჟურნალში „პაქს“-ში (ჟურნალის სახელწოდება აშკარა დაცინვაა—პაქსი ნიშნავს მშვიდობიანობას) ვიღაც ავტორი სწერდა:

„მხოლოდ საბჭოთა კავშირს უნდა აზიანებდეს ასეთი ეკონომიური ბლოკის შექმნა. ვინაიდან თუ მას ჯერ კიდევ შეუძლია ბრძოლა პოლიტიკურ ნიადაგზე გამარჯვების ნაწილობრივი შანსებით, სამაგიეროთ, ბრძოლა ეკონომიურ ნიადაგზე მისთვის თანდათან უფრო ძნელი გახდება და ბოლოს სულ ვეღარ გაუწევს წინააღმდეგობას რეალობის ულმობელ იერიშებს“.

აქედან აშკარაა, თუ რა ენერგია განავითარეს ჩვენმა მტრებმა ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ჩაშლასთან დაკავშირებით, რათა ეს ჩაშლა გამოეყენებიათ ანტისაბჭოთა ბლოკის შესაქმნელად. ამასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ისეთი ფაქტები, როგორიც ჩვენი ოქროს კონფისკაცია საფრანგეთის ბანკის მიერ, გერმანიის ბანკირთა მონაწილეობა რუსეთის კრედიტორთა საზოგადოებაში, მონაწილეობა, რომელიც, დიპლომატიური ენით თუ ვიტყვით, „მორალურად“ ეწინააღმდეგება რაპალოს ხელშეკრულებას.

ამ მტრულ ტენდენციებთან ერთად, საერთაშორისო ასპარეზზე თავი იჩინეს სხვა ხაზის ტენდენციებმაც—მისწრაფებამ საბჭოთა კავშირის და ბურჟუაზიულ მსოფლიოს მშვიდობიან ეკონომიურ თანამშრომლობისაკენ. ამ ტენდენციებს მე დაწვრილებით შევეხები ჩემი მოხსენების მეორე ნაწილში.

ასეთ პირობებში ჩვენი პოლიტიკა მდგომარეობდა იმაში, რომ ყოველგვარი ღონისძიებით დაგვეძლია და შეგვესუსტებია ჩვენდამი მტრულად განწყობილი ძალების და ტენდენციების აქტივობა, შეგვენარჩუნებია მშვიდობიანობა, როგორც აუცილებელი წინასწარი პირობა სოციალიზმის მშენებლობისათვის საბჭოთა კავშირში.

II. ბრძოლა მშვიდობიანობისათვის

საბჭოთა მთავრობას არა ერთხელ განუცხადებია, რომ ბრძოლა მშვიდობიანობისათვის ჩვენი საგარეო პოლიტიკის შემადგენელ და ორგანიულ ნაწილს წარმოადგენს. ის სავსებით შეესაბამება ჩვენი კავშირის ინტერესებს, მის სამეურნეო განვითარებას და სოციალისტურ მშენებლობას, რაშიაც დაინტერესებულია მთელი ქვეყნის მუშათა კლასი. მშვიდობიანობისათვის ბრძოლით ჩვენ ვანხორციელებთ იმ პოლიტიკას, რომელიც გამოხატავს მთელ მსოფლიოს მშრომელთა ინტერესებს, ვინაიდან ომში და ომისაგან, თავის-თავად ცხადია, იჩაგრებიან არა ფარალის მიმწოდებელნი, არამედ ისინი, ვისგანაც შესდგება ჯარი, ე. ი. მუშები და გლეხები. ეს ჩვენ ყოველთვის მტკიცე პრინციპიალურ საფუძველს გვაძლევდა მშვიდობიანობისათვის საბრძოლველად.

ორი წლის წინად საბჭოთა მე-4 ყრილობამ მთავარ სახელმძღვანელო გეზად საგარეო პოლიტიკაში მოგვცა შემდეგი დირექტივა:

„ყრილობა მთელი მსოფლიოს ხალხთა ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირი არის ერთად-ერთი სახელმწიფო, რომელიც ანხორციელებს მშვიდობიანობის აშკარა, თანამიმდევრობით პოლიტიკას, ისეთ პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება მთელი კაცობრიობის ინტერესებს. ყრილობა სავსებით იწონებს ამ სამშვიდობო პოლიტიკას და ავალებს საბჭოთა კავშირის მთავრობას —მომავალშიაც გადაუხრელად განაგრძოს იგი და მიიღოს ზომები უცხო სახელმწიფოებთან მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად და განსამტკიცებლად. ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ამ მისწრაფებებმა გამოხმაურება ჰპოვეს ზოგიერთ სახელმწიფოში. ეკონომიური ურთიერთობის განვითარება აღნიშნულ სახელმწიფოებთან ამ პოლიტიკის სისწორის საუკეთესო დამამტკიცებელია“.

ჩვენი მუშაობა საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში მიზნად ისახავდა მე-4 ყრილობის ამ უმნიშვნელოვანეს დირექტივის განხორციელებას.

სწორედ იმ დროს, როცა ინგლისის კონსერვატორების მთავრობამ, დიპლომატიური ურთიერთობის ჩაშლის მიზნით, მოახდინა უხეში თავდასხმა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის სადგომზე ინგლისში, იმ დროს, როცა ინგლისის პოლიტიკის ხელმძღვანელნი მუშაობდნენ საბჭოთა კავშირის ფინანსიური და ეკონომიური ბლოკადის მოსამზადებლად, საბჭოთა დელეგაციამ საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციაზე ჟენევაში (1927 წლის მაისში) წარადგინა პროგრამა, რომელშიაც შესაძლებლად სთვლიდა „სახალხო მეურნეობის ორი სისტემის — კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების მშვიდობიან თანაარსებობას“ სახალხო მეურნეობის ორი სისტემის „მშვიდობიანი თანაარსებობის“ ხსენებულ პროგრამას, როგორც საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობისათვის საჭირო წინასწარ პირობას, საბჭოთა მთავრობა გადაუხრელად ატარებდა საბჭოს მე-4 ყრილობიდან დღევანდლამდე.

ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკა განვლილ პერიოდში განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიხატა ჩვენი დელეგაციის მუშაობით განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიაში, ჩვენი დამოკიდებულებით კელლოგის პაქტისადმი და ეგრედწოდებული მოსკოვის ოქმით, რომელსაც ჩვენი ინიციატივით ხელი მოაწერეს ჩვენმა მეზობელმა სახელმწიფოებმა.

როგორც ვიცით, ერთა ლიგა 8 წელიწადია იხილავს განიარაღების საკითხს. ჩვენმა დელეგაციამ მეხუთე სესიაზე ყველა მონაწილეს დაურიგა ცნობა, რომლიდანაც სჩანს, რომ ამ ხნის განმავლობაში ერთა ლიგის ორგანოებმა შეიარაღების შეზღუდვის საკითხის გამო გამართეს 121 სესია და გამოიტანეს 111 რეზოლიუცია. ერთა ლიგის სხვადასხვა ორგანოების შრომები განიარაღების საკითხის შესახებ დაბეჭდილია 14.000 გვერდზე (სიცილი). როცა წავიკითხე, რომ შეიარაღება ყველა ქვეყანაში ძლიერდება, ვიფიქრე—ეს ხომ არ ანოყიერებს იმ ნიადაგს, რომელზედაც იზრდებიან ზარბაზნები, ტყვია-მფრქვევები და მახრჩობელა გაზები? ასეთ კომისიაში მოხვდნენ ჩვენი დელეგატები, რომელნიც მშვიდობიანობისათვის საბრძოლველად გავგზავნეთ.

მე ვფიქრობ, აქ არავის შეშურდება მათი მუშაობა ასეთ გარემოცვაში (სიცილი). აქამდე ვერ მოახერხეს შეიარაღების შემცირება ვერც ერთი ჯარისკაცით, ვერც ერთი ზარბაზნით, ვერც ერთი კრეისერით, ვერც ერთი ტყვიით, სამაგიეროდ დასწერეს და აჭრელეს 14.000 გვერდი, გააფუჭეს აუარებელი ქაღალდი, დახარჯეს დიდი შრომა და ენერგია (სიცილი).

მოსამზადებელ კომისიაში საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ 1925 წელს მიიწვიეს. ჩვენ მაშინ ვუპასუხეთ, რომ არ ვამბობთ უარს განიარაღების საკითხის განხილვაზე და მზადა ვართ მონაწილეობა მივიღოთ ამ კომისიის მუშაობაში, მაგრამ ამას ვიზამთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომისიის სესია გადატანილი იქნება ისეთ ადგილას, სადაც მოსვლა შეგვიძლია. ჩვენ აღვნიშნავდით, რომ ვერ მივიღებთ მონაწილეობას იმ კომისიის მუშაობაში, რომლის სხდომებიც იმართება შვეიცარიაში, ვინაიდან იქ სრულიად განსაკუთრებულ პირობებში მოჰკლეს ჩვენი ელჩი (იტალიაში) ვოროვსკი, რომელიც, შვეიცარიის მთავრობასთან შეთანხმებით, გაგზავნილი იყო ლოზანას კონფერენციაზე. ჩვენ არ გვინდოდა საფრთხეში ჩაგვეგდო სხვა ამხანაგებიც.

ჩვენი ბრალი არ არის, რომ კონფლიქტის მოგვარება შვეიცარიასთან დიდ ხანს გაჭიანურდა. კონფლიქტი ამოწურულ იქნა მხოლოდ 1927 წლის აპრილში. ამ გარემოებამ საშუალება მისცა საბჭოთა კავშირს 1927 წლის ნოემბრიდან დეკემბრამდე მონაწილეობა მიეღო როგორც საერთაშორისო ეკონომიური კონფერენციის, ისე განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის მუშაობაში.

1927 წლის დამლევს მეოთხე სესიაზე ლიტვინოვმა საბჭოთა კავშირის სახელით შეიტანა წინადადება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, რომლის თანახმად:

„ხელშეკრულების დამდები სახელმწიფოები საქვეყნოდ აღიარებენ, რომ ერთად-ერთ რეალურ საშუალებას მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის წარმოადგენს ყველა შეიარაღებული ძალის საყოველთაო და სრული მოსპობა, სდებენ ამ კონვენციას, ნიშნავენ ამ მიზნით თავიანთ რწმუნებულებს, რომელნიც უნდა შეთანხმდნენ შემდეგში. ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან დაწყებულ იქნება სრული განიარაღება, რომელიც უნდა დამთავრდეს 4 წლის განმავლობაში, ხოლო შეიარაღებული შეტაკებების შესაძლებლობა შეზღუდული უნდა იქნას პირველივე წლის დასასრულს“.

ასეთი იყო ჩვენი წინადადება. ჩვენ ეხლა, ისევე, როგორც წინად, გვისაყვედურებენ, რომ ჩვენი წინადადება სერიოზული არ არის, რომ ჩვენ შეგვაქვს ისეთი წინადადება, რომლის მიღებაც ბურჟუაზიულ მთავრობებს არ შეუძლიათ. ჩვენ კი უპასუხებდით, რომ თუ ვინმეს სურს შემოიტანოს ისეთი წინადადება, რომელსაც ისინი უკამათოდ მიიღებენ, მან უნდა შემოიტანოს წინადადება არა განიარაღების, არამედ დამატებითი შეიარაღების შესახებ, — ეს იქნება იმის შესაფერი, რაც ხდება კომისიაში, ხოლო ჩვენს ამოცანას შეადგენს ბრძოლა ყოველივე ამის წინააღმდეგ.

საბჭოთა მთავრობას იმ თავითვე გათვალისწინებული ჰქონდა, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოებისათვის მიუღებელია განიარაღების პრაქტიკული განხორციელების ყველაზე რადიკალური, მაგრამ ამასთან ერთად ყველაზე მარტივი ფორმა. მიუხედავად ამისა, ჩვენ წარვადგინეთ ჩვენი წინადადება, ვინაიდან მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი, რომ ხალხები იბრძოლებენ ომის წინააღმდეგ, განიარაღებისათვის და ადრე თუ გვიან შექმნიან ისეთ მთავრობებს, რომლებიც განახორციელებენ მათ მისწრაფებას. (ტაში). ჩვენთვის აშკარაა, რომ საყოველთაო განიარაღების მიღწევა შეიძლება მხოლოდ ხანგრძლივი და მედგარი ბრძოლის შემდეგ და რომ ეს იქნება ისტორიის უდიდესი პერიოდის ლიკვიდაცია. ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი მოვლენა უეცრად არ ხდება. იგი შედეგია უდიდესი მოძრაობის და უდიდესი გარდატეხისა, ისეთი გარდატეხისა, რომელიც ხდება ხალხთა, ერთა და სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულებაში. მაგრამ ყველაფერი ეს მით უფრო ჩქარა მოხდება, რაც უფრო სწრაფად, ენერგიულად და თანმიმდევრობით იქნება წარმოებული ბრძოლა ამისათვის.

განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის მუშაობის ხელმძღვანელ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა დაუყოვნებლივი და საყოველთაო განიარაღების განხორციელების წინააღმდეგ ვერ წამოაყენეს ვერც ერთი საფუძვლიანი არგუმენტი, რომელიც შეეფერებოდეს მუშათა და ხალხთა ინტერესებს, მაგრამ მათი ტაქტიკა, თავისთავად ცხადია, სერიოზულად ემყარებოდა იმ იმპერიალისტური ჯგუფების კლასობრივ ინტერესებს, რომელთაც ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ხელთ უპყრიათ ძალა-უფლება.

თავისი წინადადებით სრული და საყოველთაო განიარაღების შესახებ საბჭოთა დელეგაციამ ამხილა კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობათა იმპერიალისტური სამხედრო ტენდენციები და ფარდა ახადა ერთა ლიგის საკანცელარიო საიდუმლოებებს, იმ ლიგის საიდუმლოებებს, რომლის კულუარებშიც ხშირად იმართება მოლაპარაკება და იდება ხელშეკრულებები და შეთანხმებები, რომელთა მიზანსაც სრულებითაც არ შეადგენს მშვიდობიანობის უზრუნველყოფა.

ყველა ქვეყნის მშრომელთა მილიონიანმა მასებმა კი საბჭოთა წინადადებებში დაინახეს საკუთარი სამშვიდობო მისწრაფებების გამოხატულება.

მოსამზადებელმა კომისიამ უარჰყო საყოველთაო განიარაღების საბჭოთა პროექტი. აქ კომისია დაეყრდნო ერთა ლიგის სტატუტის მე-8 მუხლს, რომელიც ამბობს:

„ლიგის წევრები საჭიროდ სთვლიან მშვიდობიანობის შენარჩუნებას და მოითხოვენ ნაციონალური შეიარაღების შემცირებას მინიმუმამდე, რაც შეთანხმებული უნდა იყოს ეროვნულ უშიშროებასთან და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებასთან“.

ერთა ლიგის წევრები წესდების ამ პარაგრაფს უყურებენ, როგორც განიარაღების აკრძალვას. ამ წმინდა ფორმალური მიზეზით მათ უარი განაცხადეს—განეხილათ ჩვენი წინადადება საყოველთაო განიარაღების შესახებ.

მაგრამ მან მაინც ფართო გამოხმაურება ჰპოვა არა მარტო მუშურ-გლეხურ მასებში, არამედ ინტელიგენციის იმ ელემენტებს შორისაც, რომელიც შეიძლება გულწრფელ პაციფისტებათ ჩაითვალონ. როცა უარჰყვეს ჩვენ მიერ წარდგენილი საყოველთაო განიარაღების პროექტი, ჩვენ წინადადება მივეცით ჩვენ დელეგაციას—გადაედგა ახალი ნაბიჯები განიარაღების საკითხის პრაქტიკულად გადაჭრისათვის, და წარვადგინეთ თანდათანობითი განიარაღების პროექტი, რომელიც ჩვენს გეგმაში წარმოადგენდა სრული განიარაღების პირველ სტადიას.

ამ ჩვენს მეორე წინადადებაში ნათქვამი იყო:

„ხელშეკრულების დამდები სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ერთად-ერთ სამართლიან გზას წარმოადგენს ყველა სახის შეიარაღების პროგრესიული შემცირება რიცხვსა და შემადგენლობასთან შედარებით. რამდენადაც ეს მეთოდი ყველაზე ნაკლებ არღვევს იმ უფრო სუსტი სახელმწიფოების ინტერესებს, რომელნიც ეკონომიურად დამოკიდებულნი არიან უფრო ძლიერ სახელმწიფოებზე, ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან აღნიშნული პრინციპი საფუძვლად დაუდონ შეიარაღების შემცირებას“.

ჩვენ შევიტანეთ წინადადება, რომ შეიარაღების შემცირება მეტის ტემპით დაწყებულიყო იმ სახელმწიფოებში, რომლებსაც ჰყავთ უდიდესი არმიები და აქვთ უდიდესი ტეხნიკური საშუალებანი, ხოლო ნაკლები ტემპით—სუსტ სახელმწიფოებში, რომლებსაც ჰყავთ მცირე არმიები და აქვთ უმნიშვნელო ტეხნიკური საშუალებანი. ამ პროექტის უარყოფა არ შეიძლებოდა იმ ფორმალური მოტივით, რომ ერთა ლიგა თავისი წესდებით არ კრძალავს განიარაღებას. როდესაც ჩვენ წამოვაყენეთ წინადადება ნაწილობრივი განიარაღების და შეიარაღების თანდათანობით შემცირების შესახებ, ფორმალურად, ერთა ლიგის წესდების თვალსაზრისით, არავითარი უმართებულება არ ჩაგვიდენია ამ წესდების მიმართ და კომისია მოვალე იყო განეხილა ეს ჩვენი წინადადება, აი მაშინ დაიწყო საქმის გაჭიანურება. ჩვენი პროექტის განხილვის დანიშვნას აჭიანურებდნენ 18 თვის განმავლობაში. ლიტვინოვმა ორჯერ მიმართა კომისიის თავმჯდომარეს ლოუდონს და დაჟინებით მიუთითებდა მას, რომ საჭირო იყო წინასწარი კომისიის მოწვევა, ამ პროექტის განსახილველად. კომისია მოწვეულ იქნა მხოლოდ 18 თვის შემდეგ. ლიტვინოვი ამ ცოტა ხნის წინად დაბრუნდა მოსამზადებელი კომისიის უკანასკნელი სესიიდან, რომელმაც ეს ჩვენი პროექტიც უარჰყო, უარჰყო უკვე ისეთი მიზეზებით, რომლებიც გათვალისწინებული არ იყო ერთა ლიგის წესდებით. ეს პროექტი უარჰყვეს იმიტომ, რომ მოსამზადებელი კომისიის ამოცანას ვითომ შეადგენს მხოლოდ განიარაღების იმ ობიექტების დასახვა, რომლებიც შემოკლებულ უნდა იქნან. ხოლო ყოველივე დანარჩენი საერთაშორისო კონფერენციას უნდა გადაეცეთ.

თქვენ შეცდებით, თუ იფიქრებთ, რომ საერთაშორისო კონფერენციის ამოცანას წარმოადგენს შეიარაღების შემცირების ფორმების განსაზღვრა. სრულიადაც არა. არც საერთაშორისო კონფერენციამ უნდა განსაზღვროს შეიარაღების სწორი ნორმები, მან მხოლოდ უნდა აღრიცხოს სახელმწიფოს განცხადება თავისი უშიშროების შესახებ. თვითეული სახელმწიფო თითონ განსაზღვრავს, შესძლებს იგი შეიარაღების შემცირებას, თუ ვერაფერს ვერ შეამცირებს. აი ეს მუშაობა უნდათ გაასაღონ შეიარაღების შეზღუდვისაკენ მიმართულ მუშაობად. (სიცილი).

სიცილი ამ დარბაზში, რაც მოჰყვა ჩემს ფაქტიურ ინფორმაციას, მოწმობს იმას, რომ საბჭოების ყრილობას სავსებით ესმის ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა დიპლომატიური ფანდები.

ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა წარმომადგენლების ლაპარაკი განიარაღების შესახებ, შეიარაღების შემცირების და ამ მიზნით კომისიებისა და სპეციალური ორგანოების შექმნის შესახებ, სინამდვილეში ფარავს შეიარაღების გადიდებას და ახალი ომებისათვის მზადებას. მოსამზადებელმა კომისიამ ხომ ჩვენი დელეგაციის ისეთი ელემენტარული წინადადებებიც კი უარჰყო, როგორიც არის მშვიდობიანი მოსახლეობისათვის აეროპლანებიდან ყუმბარების დაშენის აკრძალვა, მშვიდობიან დროს ომისათვის საჭირო ქიმიური საშუალებათა დამზადების აკრძალვა და სხვ.

მოსამზადებელი კომისიის ეხლახან დამთავრებული კომისია დამახასიათებელია ამ მხრივ. მან საგრძნობლად უარჰყო პაციფისტური სიტყვებით თავშეუკავებელი თამაშის პირვანდელი მეთოდი. მეექვსე სესიაზე ხელმძღვანელმა მილიტარისტულმა სახელმწიფოებმა ნიღაბი ახადეს. მოსამზადებელმა კომისიამ სამხედრო შეიარაღების შესამცირებელი ობიექტებიდან გამორიცხა ხმელეთის ჯარის გაწვრთნილი კადრები, მობილიზაციით გაწვეული სამხედრო სათადარიგო ნაწილები, საზღვაო ფლოტის უნტერ-ოფიცერთა კადრები და სამხედრო საზღვაო ფლოტი. ამრიგად მოსამზადებელმა კომისიამ უარჰყო არა მარტო ჩვენი წინააღმდეგობანი, არამედ მთელი რიგი საკუთარი მუხლებიც, რომლებიც უწინდელ სესიებზე კონვენციის მათსავე პროექტში იყო შეტანილი. კონვენციის მათი პროექტიდან გამორიცხულ იქნა შეიარაღებულ ძალთა ისეთი ძირითადი ელემენტი, როგორიც არის ხმელეთის სამხედრო რეზერვი და მობილიზაციით გაწვეული სათადარიგო ნაწილები, რაც კომისიის პროექტს ხდის ყოველ ღირებულებას მოკლებულ ქაღალდის ნაგლეჯად.

ასე დამთავრდა, ამხანაგებო, ეხლანდელ სტადიაში ჩვენი ბრძოლა მშვიდობიანობისა და განიარაღებისათვის მოსამზადებელ კომისიაში.

თუ გადავავლებთ თვალს, საიდან გაჩნდა განიარაღების ეს მოსამზადებელი კომისია, დავინახავთ, რომ იგი არის შვილიშვილი იმ დიდი კამპანიისა, რომელიც სწარმოებდა უკანასკნელი იმპერიალისტური ომის მეორე ნახევარში, როცა თხრილებში მყოფი ხალხი ჰკარგავდა უკანასკნელ მოთმინებას, როცა რევოლიუციონური მოძრაობის ნაპერწკლები ენთებოდა იმპერიალისტური ომის ყველა ფრონტზე. მაშინ გადაისროლეს ლოზუნგი, რომ ეს ომი უკანასკნელი ომია. ამ ლოზუნგს მხარი დაუჭირა დიდი ბრიტანეთის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ლლოიდ-ჯორჯმა, მას მხარი დაუჭირეს ჩვენში, მილიუკოვმა და კერენსკიმ, მას მხარი დაუჭირეს აგრეთვე სხვა ქვეყნების პოლიტიკურმა მოღვაწეებმა. ამ საშუალებით უნდოდათ ჯარისკაცების შეჩერება თხრილებში,—აი, გაათავებთ ამ ომს, მოიპოვებთ გამარჯვებას და გაანთავისუფლებთ კაცობრიობას ომის საფრთხისაგანი.

ეს პაციფისტური მოტყუება შევიდა ერთა ლიგის წესდებაში. ამ მოტყუებამ გამოიწვია ის აბუჩად აგდება, რომელიც დავახასიათე მოსამზადებელი კომისიის მუშაობის განხილვის დროს. მე ვფიქრობ, რომ რაც უფრო მეტი დრო გადის იმპერიალისტური ომის შემდეგ, მით უფრო მეტად ივიწყებენ იმ საშინელებას, რომელიც ამ ომთან იყო დაკავშირებული და მით უფრო შეიძლება გაადვილდეს ამ მოტყუების გაგრძელება. ამიტომ იმ მოვლენათა წინაშე, რომლებიც დავახასიათე საერთაშორისო ურთიერთობის დარგში და იმ კრახის წინაშე, რომელიც დღემდე განიცადა განიარაღების პოლიტიკამ, მე მგონია ძალიან სასარგებლო იქნება მოვიგონოთ ის, თუ რამ აიძულა თავის დროზე პირწავარდნილი იმპერიალისტები ელაპარაკათ ომების შეწყვეტის შესახებ. აიძულა იმ საშინელებამ, ხალხის იმ ტანჯვამ, რომელიც დაკავშირებული იყო უკანასკნელ იმპერიალისტურ ომთან. ციფრები ასეთია: მოკვდა და ჭრილობისაგან გარდაიცვალა 10 მილიონი კაცი, დაიჭრა—20 მილიონი, მათ შორის მძიმედ დაიჭრა და ინვალიდად დარჩა 3 ნახ. მილიონი კაცი. აი, რა ფასად დაჯდა ომი, თუ ჩავთვლით მხოლოდ ფრონტზე დაჭრილ-დასახიჩრებულებს და მხედველობაში არ მივიღებთ იმათ, ვინც ომით გამოწვეული გაჭირვების გამო კვდებოდა და იტანჯებოდა ქვეყნის შიგნით და ზურგში. 10 მილიონი დახოცილი და 20 მილიონი დაჭრილი! აი, რასთან იყო დაკავშირებული განცხადება იმის შესახებ, რომ ეს ომი უკანასკნელი იქნებაო, აი, რის ირგვლივ სწარმოებს ეხლა ერთა ლიგის მოსამზადებელი კომისიის თაღლითობა. თერთმეტმა მეომარმა სახელმწიფომ ომის 4 წლის განმავლობაში დახარჯა 295 მილიარდი დოლარი, მაშინ, როდესაც ერთიანებული სიმდიდრის საერთო თანხა 567 მილიარდ დოლარს უდრიდა. დაიკარგა ნახევარზე მეტი იმ ღირებულებისა, რაც თავიანთ ტერიტორიაზე ჰქონდათ ამ დროისათვის მსოფლიოს ყველაზე მდიდარ სახელმწიფოებს.

ამ ზარალს, რომელიც ომმა უშუალოდ გამოიწვია უნდა დავუმატოთ კიდევ არაპირდაპირი მატერიალური ზარალი. ტონაჟის დანაკარგი უდრის ომის წინადროინდელი ტონაჟის ერთმესამედს, თუ ფულზე გადავიტანთ, ეს შეადგენს 7 მილიარდ დოლარს.

მე შემეძლო კიდევ ბევრი სხვა ციფრის მოყვანა. აი, რა მოუტანა კაცობრიობას უკანასკნელმა იმპერიალისტურმა ომმა. ახალი ომი, გაცილებით მეტ მსხვერპლს მოითხოვს. ახალი მსოფლიო ომი მოითხოვს არა 10 მილიონ მოკლულ ადამიანს, არამედ რამდენიმე ათ მილიონს, რადგან ყველაზე დიდ პროგრესს ბურჟუაზიულმა სახელმწიფოებმა იმპერიალისტური ომის შემდეგ მიაღწიეს ხალხის გასაჟლეტი იარაღის გაუმჯობესების საქმეში.

ბურჟუაზიის ისეთი წარმომადგენლებიც კი, როგორიც არის, მაგალითად, ლლოიდ-ჯორჯი, აღიარებენ მომავალი ომის მთელ საშინელებას, აი, რას აცხადებს იგი თავის ინტერვიუში, ამა წლის 12 აპრილს:

„მე მსურს, რომ მეცნიერება ემსახუროს მშვიდობიანი პროგრესის საქმეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თუ მოხდება ახალი ომი, ევროპა ნანგრევებად გადაიქცევა; თუ საჭირო იქნება მთელი თაობა ომის შემდგომი ევროპის აღსადგენად, მეორე ომით გამოწვეული ზარალის აღსადგენად საჭირო გახდება მთელი საუკუნე. როგორი იქნება ეს მომავალი ომი, არ შეუძლია წარმოიდგინოს არც ერთ ადამიანს, იმასაც კი, ვინც ლაპარაკობს ომის „ჰუმანიზაციის“ შესაძლებლობაზე“.

ამას ლაპარაკობს არა ბოლშევიკი, არამედ ნამდვილი ბურჟუაზიული მოღვაწე, უკანასკნელი იმპერიალისტური ომის ერთ-ერთი ორგანიზატორი. ის ამბობს, რომ თუ ომი განმეორდა, ასი წელიწადი იქნება საჭირო ევროპის აღსადგენადო. გაზეთებში იბეჭდება ცნობები იმის შესახებ, რომ გამოიგონეს ისეთი საშუალება, რომლის მეოხებითაც სამხედრო გემების და აეროპლანების მართვა შეიძლება შორი მანძილიდანაო. თუ ასეთ გამოგონებებს დაუმატებთ საგაზო ომში არტილერიის განსაკუთრებულ გამოგონებებს, რომელთა მეოხებითაც მოკლე დროში შეიძლება ყოველივე ცოცხალის განადგურება უდიდეს ოლქში, ნათლად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რა საკითხის გამო სწარმოებს დავა ამჟამად და რატომ არის საჭირო მთელი ძალღონის მობილიზაცია იმისათვის, რომ დაისვას და გადაწყდეს განიარაღების საკითხი.

10 მილიონი მოკლული, 20 მილიონი დაჭრილი ადამიანი წარსულ ომში და მრავალი ათი მილიონი ადამიანის ამოხოცვა, თუ კიდევ განმეორდა ომი, —აი, ციფრები, რომლებიც გონებაში უნდა აღიბეჭდოს ყოველმა მუშამ და ყოველმა გლეხმა. ყველამ სავსებით ნათლად უნდა შეიგნოს, რომ ახალი ომი მოითხოვს ისეთ დიდ მსხვერპლს, იგი გამოიწვევს ისეთ განადგურებას და იმდენი ხალხის დაღუპვას, რომ მრავალი ათი წელიწადიც არ იქნება საკმაო ზარალის აღსადგენად.

სწორედ ამიტომ საფუძვლიანია ჩვენი რწმენა, რომ ხალხები ამგვარი საფრთხის წინაშე აუცილებლად შეჰქმნიან ისეთ მთავრობებს, რომლებიც საქმით განახორციელებენ განიარაღებას (ტაში).

III. კელლოგის პაქტი და მოსკოვის ოქმი

კაცობრიობამ და მუშათა კლასმა უნდა იცოდეს იმ ფაქტის მნიშვნელობა, რომ ასეთი ომის საფრთხის პირობებში უარყოფილ იქნა ყველა ჩვენი წინადადება მშვიდობიანობისა და განიარაღების შესახებ, შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. ეს ფაქტი უკვე საკმაოდ მოწმობს ერთა ლიგის შეგნებულ თვალთმაქცობას, იმ ერთა ლიგის, რომელიც პაციფისტური ფრაზების საფარით უწყობს ხელს კაპიტალისტურ მთავრობებს — შეიარაღდნენ და ემზადონ ომისათვის.

მშვიდობიანობის საქმის ასეთი მდგომარეობისა და ომების მზადების ფონზე განვითარდა კამპანია, რომელიც დაკავშირებული იყო კელლოგის პაქტთან. როცა წამოვაყენეთ წინადადებანი განიარაღების შესახებ და ჩვენდამი თანაგრძნობის ხმა მძლავრად გაისმა ყველა ქვეყანაში, ბურჟუაზიულ მსოფლიოს, თავისთავად ცხადია, არ შეეძლო არ მიემართა პაციფისტური ჟესტისათვის. სწორედ ამიტომ სრულებით არ იყო მოულოდნელი კელლოგის პაქტის შექმნა. ამ პაქტში ნათქვამია:

„მაღალღირსეულნი, ხელშეკრულების დამდები მხარეები თავიანთი ხალხის სახელით საჯაროდ აცხადებენ, რომ ისინი გმობენ ომისათვის მიმართავს საერთაშორისო უთანხმოებათა გადასაწყვეტად და უარჰყოფენ მას, როგორც ეროვნული პოლიტიკის იარაღს, ერთმანეთთან ურთიერთობაში. მაღალღირსეულნი, ხელშეკრულების დამდები მხარეები აცხადებენ, რომ მათ შორის წარმოშობილი ყოველგვარი ხასიათის დავისა და კონფლიქტის მოგვარება ან გადაწყვეტა არასოდეს არ შეიძლება მოხდეს სხვანაირად, თუ არა მშვიდობიანი საშუალებით“. კელლოგის პაქტი, რომელსაც ხელი მოაწერეს 1928 წელს 28 აგვისტოს პარიზში, დაუპირისპირეს საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკას და ჩვენს წინადადებებს განიარაღების შესახებ. იგი ამავე დროს წარმოადგენდა ამერიკის დიპლომატიის პირველ ცდას — მოეპოვებია ხელმძღვანელი მდგომარეობა საერთაშორისო პოლიტიკაში და შეექმნა საკუთარი სამშვიდობო სისტემა, რომელიც უნდა დაეპირისპირებია ერთა ლიგისათვის.

მარტო ის გარემოება, რომ ევროპის სახელმწიფოები, თავიანთი სურვილის წინააღმდეგ, იძულებულნი გახდნენ მიეღოთ კელლოგის პაქტი, მოწმობს შეერთებული შტატების როლის არაჩვეულებრივ ზრდას.

კელლოგის პაქტი არ შეიძლება მივიჩნიოთ ისეთ ფაქტორად, რომელიც აგვაშორებს ომს, რადგან ეს დოკუმენტი არ შეიცავს არავითარ რეალურ გარანტიას ომის წინააღმდეგ და, კერძოდ, არაფერს ამბობს განიარაღებაზე, შეიარაღების შეზღუდვაზეც კი. ამიტომ შეცდომა იქნება, რომ კელლოგის პაქტს დაუკავშიროთ ომის ნამდვილად თავიდან აცილების საკითხი. ეს პაქტი არ შეიცავს არავითარ გარანტიას, რომ ომი არ მოხდება, რომ ომი არის ყოველგვარი ხელშეკრულების დარღვევა, რადგან ყველა ეს ხელშეკრულება მსოფლიოში იდება ხელშეკრულების დამდებ მხარეთა შორის. ამიტომ, რასაკვირველია, შეცდომა იქნება კელლოგის პაქტს დაუკავშიროთ ომის თავიდან აცილების ნამდვილი და რეალური ზომების საკითხი. ჩვენ იმთავითვე ასე ვაფასებდით კელლოგის პაქტს.

საბჭოთა მთავრობა აკრიტიკებდა და ამჟღავნებდა პაქტის ნამდვილ აზრს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას არ ჰქონდა განზრახვა ანტისაბჭოთა ბლოკის ხელმძღვანელებისათვის გაეადვილებია საბჭოთა კავშირზე თავდასხმის ფორმალური შესაძლებლობა. საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებდა აგრეთვე იმას, რომ მიუხედავად ყველა ნაკლისა, კელლოგის პაქტი მის მონაწილეებს აკისრებს „მორალურ ვალდებულებებს“ და ამით აძნელებს, თუნდაც მინიმალურად, ომის ფსიქოლოგიურად მომზადებას.. ემყარებოდა რა ამ მოსაზრებებს, კავშირის მთავრობამ გადასწყვიტა შეერთებოდა კელლოგის პაქტს, რაც განხორციელებულ იქნა 1928 წლის სექტემბერში საფრანგეთის ელჩის სახელზე გაგზავნილი ნოტით, რომელშიაც საბჭოთა მთავრობა აცნობებდა, რომ

„რამდენადაც პარიზის პაქტი ობიექტიურად ერთგვარ ვალდებულებებს აკისრებს სახელმწიფოებს საზოგადო აზრის წინაშე და საბჭოთა მთავრობას აძლევს ახალ შესაძლებლობას პაქტის ყველა მონაწილის წინაშე დასვას მთელი მსოფლიოსათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხი განიარაღების შესახებ, რომლის გადაწყვეტაც წარმოადგენს ერთად-ერთ გარანტიას ომის თავიდან ასაცილებლად, საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ თანახმაა ხელი მოაწეროს პარიზის პაქტს“.

იმპერიალისტურ სახელმწიფოებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს კელლოგის პაქტს, სრულებითაც არა ჰქონიათ განზრახვა ნამდვილად უარეყოთ ომი, რასაც მოწმობენ არა მარტო შეიარაღების რეალური ზრდა, არამედ ის ფორმალური შენიშვნებიც, რომლებიც არსებითად აუქმებენ მათ ხელმოწერას.

მე მხედველობაში მაქვს ინგლისის და საფრანგეთის შენიშვნები. ინგლისელებმა ასეთი შენიშვნა დაურთეს პაქტს:

„ზოგიერთ ოლქის კეთილდღეობას და მთლიანობას განსაკუთრებით დიდი და სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს დიდი ბრიტანეთის მშვიდობიანობისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად. დიდ ბრიტანეთს არ შეუძლია დაუშვას არავითარი ჩარევა ამ ოლქების მდგომარეობაში. ამ ოლქების გადარჩენა თავდასხმისაგან დიდი ბრიტანეთისათვის წარმოადგენს თავდაცვის საქმეს“.

ცხადზე უცხადესია, ინგლისის მთავრობას მხედველობაში თავისი კოლონიები არა აქვს, ვინაიდან მაშინ ის იტყოდა, რომ საქმე შეეხება დიდი ბრიტანეთის კოლონიებს; აქ პირდაპირ ნათქვამია: „ზოგიერთ ოლქები მსოფლიოშიო“, ე. ი. რომელ ოლქებსაც დაასახელებს ინგლისის მთავრობა, ვთქვათ, ჩინეთს ან ჩინეთის რომელსამე ოლქს. ამ შენიშვნის აზრი ის არის, რომ ინგლისის მთავრობა კელლოგის პაქტის დარღვევის უფლებას იტოვებს ყოველ იმ შემთხვევაში, როცა კი მას ეს მოესურვება.

საფრანგეთმა განაცხადა:

„ახალი ხელშეკრულება არაფრით არ ზღუდავს და ოდნავადაც არ ლახავს თავდაცვის უფლებას. ამ მხრით ყოველი ერი მუდამ თავისუფალია — დაიცვას თავისი ტერიტორია თავდასხმის ან შემოსევისაგან, მხოლოდ მის კომპეტენციას შეადგენს იმის გადაწყვეტა — მოითხოვს თუ არა გარემოება, რომ მან ომს მიმართოს საკუთარი თავის დასაცავად“.

მხოლოდ მის კომპეტენციას შეადგენს იმის გადაწყვეტა — მოითხოვს თუ არა გარემოება, რომ მან ომს მიმართოს „საკუთარი თავის დასაცავად„!! ეს იმას გულისხმობს, რომ საფრანგეთის მთავრობა უფლებას იტოვებს ეომოს ამა თუ იმ სახელმწიფოს და „არ დაარღვიოს“ კელლოგის პაქტი.

ამ შემთხვევაში, ცხადია, მისთვის საკმარისია აცნობოს ვაშინგტონს, რომ იგი საომარ მოქმედებას მიმართავს „საკუთარი თავის დასაცავად“. საფრანგეთის შენიშვნა არსებითად სრულიად უაზროდ ხდის კელლოგის პაქტის ხელის მოწერას. უაღრესად კომპეტენტურ ნეიტრალურ მეცნიერებს — კომისიის წევრებს ვერ გამოურკვევიათ, თუ რომელია ორ მეომარ სახელმწიფოს შორის ომის ამტეხი. ფრანგები წინდაწინვე აცხადებენ, რომ მხოლოდ მათ კომპეტენციას შეადგენს იმ საკითხის გადაწყვეტა — თავს ესხმიან ისინი თუ თავს იცავენ.

ამგვარად, საფრანგეთისა და ინგლისის შენიშვნები ფორმალურად აუქმებენ პაქტის მთელ შინაარსს თვით მასზე ხელის მოწერის მომენტში.

ამ პაქტს შენიშვნები გაუკეთა საბჭოთა კავშირმაც. ნოტაში, რომლითაც ჩვენ შეუერთდით პაქტს, პირველ ყოვლისა აღვნიშნეთ, რომ „პაქტში არავითარი ვალდებულება არ არის ნახსენები განიარაღების შესახებ“. შემდეგ ჩვენ დაურთეთ შემდეგი შენიშვნები:

„აკრძალულ უნდა იქნას ყოველგვარი საერთაშორისო ომი როგორც ეგრეთწოდებული ნაციონალური პოლიტიკის იარაღი და როგორც სხვა მიზნების განხორციელების საშუალება (მაგალითად, გამანთავისუფლებელ სახალხო მოძრაობათა ჩაქრობის მიზნებისა და სხვ.)“.

აკრძალული უნდა იქნას „ისეთი სამხედრო მოქმედებანიც, როგორიცაა, მაგალითად, ინტერვენცია, ბლოკადა, უცხო ტერიტორიის, უცხო ნავთსადგურების სამხედრო ოკუპაცია და სხვ.“.

„პაქტის მიერ აკრძალულ არამშვიდობიან საშუალებებს უნდა მიეკუთვნოს, მაგალითად, მშვიდობიანი ნორმალური ურთიერთობის აღდგენის უარყოფა ან ერებს შორის ამ ურთიერთობის გაწყვეტა; ასეთი მოქმედებანი გულისხმობენ დავის გადაჭრის მშვიდობიან საშუალებათა უკუგდებას, ამწვავებენ ურთიერთობას და ხელს უწყობენ ისეთი ატმოსფერის შექმნას, რომელიც აადვილებს ომის წარმოშობას“.

„საბჭოთა მთავრობა ვერ დაეთანხმება აგრეთვე ისეთ შენიშვნებს, რომლებსაც შეუძლიათ ომი გაამართლონ, კერძოდ იმ შენიშვნებს, რომლებიც აღნიშნულ მიწერ-მოწერაშია გაკეთებული და, რომლებიც პაქტის მოქმედებას არ უქვემდებარებენ ერთა ლიგის სტატუტიდან და ლოკარნოს შეთანხმებიდან გამომდინარე გადაწყვეტილებებს“.

ამ შენიშვნათა სრულიად ზერელე დაპირდაპირება გვიჩვენებს იმ უდიდეს პრინციპიალურ განსხვავებას, რომელიც ამ საკითხში არსებობს საბჭოთა კავშირის პოლიტიკასა და ბურჟუაზიული სახელმწიფოების პოლიტიკას შორის.

აი, ამხანაგებო, ასეთია ისტორია კელლოგის პაქტისა, რომელიც დაუპირდაპირეს ჩვენს ბრძოლას განიარაღებისათვის.

ჩვენ არამც თუ სხვებზე ადრე მოვაწერეთ ხელი კელლოგის პაქტს და დავამტკიცეთ იგი, არამედ საჭიროდ ვცანით მისი გამოყენება მშვიდობიანი ურთიერთობის განსამტკიცებლად საბჭოთა კავშირსა და მის მოსაზღვრე ქვეყნებს შორის. რადგან ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ კელლოგის პაქტის რატიფიკაცია ძალიან გაჭიანურდებოდა (ჩვენი ვარაუდი გამართლდა და პაქტი დღევანდლამდე ძალაში არ არის შესული), ხოლო მშვიდობიანი ურთიერთობის განსამტკიცებლად გადადგმული თვითეული ნაბიჯი ჩვენი პოლიტიკის დიდი გამარჯვება იქნებოდა ჩვენი ინტერესების უზრუნველყოფის საქმეში, ამიტომ წინადადება მივეცით ჩვენს მეზობლებს, ხელი მოეწერათ ამ პაქტისათვის და არ დაეცადათ იმ დრომდე, როცა პაქტი ძალაში შევიდოდა, ე. ი. იმ დრომდე, სანამ მას დაამტკიცებდნენ მისი პირვანდელი მონაწილენი. ჩვენ დიდი მეცადინეობა და დრო დავხარჯეთ, რომ ხორცი შეგვესხა ჩვენი სამშვიდობო თაოსნობისათვის და დაგვეძლია ზოგიერთი მთავრობის წინააღმდეგობა. მოსკოვის ოქმს 1929 წლის 9 თებერვალს ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირმა, პოლონეთმა, ლატვიამ, ესტონეთმა და რუმინეთმა. შემდეგ მას შეუერთდნენ თურქეთი, სპარსეთი, ლიტვა და თავისუფალი ქალაქი დანციგი.

როდესაც ჯამს უკეთებთ ჩვენს პოლიტიკას საბჭოების მე 4 ყრილობის დღიდან განვლილ პერიოდში, უნდა აღვნიშნოთ განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის მთელი მუშაობის უნაყოფობა.

ამასთანავე ერთად უნდა აღვნიშნოთ იმ პოლიტიკოსებისა და ლიტერატორების იმედის უსაფუძვლობა, რომლებსაც ჰგონიათ, რომ მას შემდეგ, რაც ერთა ლიგის მოსამზადებელმა კომისიამ საბჭოთა წინადადებანი უარჰყო, ჩვენ ბრძოლას შევწყვეტთ მშვიდობიანობისათვის. ჩვენს სამშვიდობო ბრძოლას უფრო და უფრო განვავითარებთ და წინანდებურის აქტივობით განვაგრძობთ მას. მაგრამ ჩვენ, როგორც მარქსისტებმა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ დიპლომატიურ ურთიერთობას, შეიარაღებისა, მშვიდობიანობისა და საერთაშორისო პოლიტიკის ყველა საკითხის გარშემო ატეხილ ფაცი- ფუცს საფუძვლად უდევს მსოფლიო მასშტაბის გადამწყვეტი ეკონომიური ინტერესები.

IV. თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის მთავარი მომენტები

მსოფლიო კაპიტალიზმის თანამედროვე სტრუქტურას უმთავრესად ახასიათებს, ერთის მხრით, მონოპოლისტურ მსხვილ ეკონომიურ გაერთიანებათა უდიდესი, ძალიან სწრაფი ზრდა, ზოგჯერ ერთი სახელმწიფოს ფარგლებში, ზოგჯერ საერთაშორისო მასშტაბით; ამ ზრდას საფუძვლად უდევს ტეხნიკის მეტის-მეტად არაჩვეულებრივი ზრდა და რაციონალიზაციის დიდი წარმატებანი... მეორეს მხრით მას ახასიათებს — სხვადასხვა ქვეყნების კონკურენციის გაძლიერება ბაზრებისათვის ბრძოლაში, მოგებისათვის ბრძოლაში და კლასობრივ წინააღმდეგობათა გაძლიერება თვითეული სახელმწიფოს შიგნით.

უკანასკნელ დროს მე-2 ინტერნაციონალის მოღვაწეთა წრეებში იქმნება თეორია, რომელიც ყველაზე ნათლად გვიჩვენებს მე-2 ინტერნაციონალის გადასვლას ბურჟუაზიულ ბანაკში. ამ ახალი თეორიის აზრი უმთავრესად იმით გამოიხატება, რომ სხვადასხვა საწარმოების მძლავრ გაერთიანებათა შექმნა, მსხვილ ტრესტებისა და კონსორციუმების ორგანიზაცია თითქო მოწმობდეს ომის შემდგომი დროის კაპიტალიზმის მშვიდობიან ხასიათს.

ნამდვილად კი სულ სხვა რამ ხდება: ამ კარტელებისა და ტრესტების ძლიერების ზრდა, სახელმწიფოს შიგნით კაპიტალისტური ორგანიზაციების ზრდა აძლიერებს და რაზმავს მოწინააღმდეგე ძალებს, ამწვავებს ბრძოლას სახელმწიფოებს შორის და აძლიერებს კლასობრივ ბრძოლას თვით სახელმწიფოების შიგნით. სოციალ - დემოკრატიულ „დარაზმულ კაპიტალიზმს“ თან მოაქვს არა მშვიდობიანობა, არამედ არაჩვეულებრივი ძალის მახვილი.

ტეხნიკისა და კაპიტალიზმის ორგანიზაციულ ფორმებისა და რაციონალიზაციის დარგში ყველა ცვლილების სიმძიმე უმთავრესად აწვება მუშათა კლასსა და გლეხობას. მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოგიყვანთ ტეხნიკური პროგრესის დარგიდან, რომელიც მძაფრად აუარესებს მუშათა კლასის მდგომარეობას და კლასობრივ წინააღმდეგობათა აუცილებელ გამწვავებას იწვევს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში; მაგალითად, სატრაქტორო ქარხნების მექანიზაცია საშუალებას აძლევს ბრუკლინის ელექტრონის სადგურს, რომელიც საათში 20.000 ფუთ ნახშირს ხარჯავს, არც ერთი ცეცხლის ფარეში არ იყოლიოს და მოსამსახურე პერსონალი უკიდურესობამდე შეამციროს.

ნიაგარის ერთ - ერთ ნახევარ მილიონ კილოვატიან ელექტროსადგურზე სულ 8 მუშა მუშაობს თითო წყებაში. ზოგიერთ საფეიქრო ფაბრიკაში ავტომატიურ ჩარხებზე გადასვლის შემდეგ ერთი ფეიქარი 24 ჩარხს ამუშავებს, სულ ცოტა ხნის წინათ კი ერთი ფეიქარი ამუშავებდა 4 ან 6 ჩარხს. ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების ფოლადის ერთი ტრესტის ქარხნებში მადნის მილებიდან რელსების გამოშვებამდე 48 საათზე ნაკლები გადის. ტეხნიკის ამ პროგრესმა შესაძლებლად გახადა ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების ერთი დიდი სამრეწველო კომპანიის შემდეგი განცხადება: რადგან ლილების დასამზადებლად გაუმჯობესებული მანქანები გვაქვს, რომლებიც მუშებისაგან არავითარ ჭკუას არ მოითხოვენ, იგი სამუშაოზე იღებს გონება სუსტ და დეფექტიურ პირებს ყველა საავადმყოფოდან და სულით ავადმყოფთა სახლებიდან.

მეორე კომპანიამ (საფეიქრო) გამოაცხადა: რადგან საფეიქრო მრეწველობაში უკვე დიდი ხანია, რაც ბავშვები მუშაობენ, რომელთა გონებრივი დონე ძალიან არ განსხვავდება სუსტად განვითარებული სრულწლოვანი პირებისაგან, მას არ სჭირდება არამც თუ შეგნებული, არამედ საერთოდ სრულწლოვანი ნორმალური მუშები.

ინდუსტრიალიზაცია გონებასუსტთა შეწეობით — აი ყველაზე ნათელი გამოხატულება იმისა, თუ რას წარმოადგენს კაპიტალისტური რაციონალიზაცია. იგი არაჩვეულებრივი ძალით სჩაგრავს, ამახინჯებს, ზედმეტად ხდის და განსაკუთრებული სიხარბით მჟღლეფს რამოდენიმე ას მილიონ ადამიანს თავის ქვეყნებში, კოლონიალურ ქვეყნებში და კოლოსალურად აძლიერებს უმუშევრობას.

უმუშევართა რიცხვმა ამ წლის დამდეგისათვის გერმანიაში 3 მილიონამდე მიაღწია, ინგლისში დაახლოებით 2 მილიონამდე, და ჩრდ. ამერ. შეერთებულ შტატებში 4 მილიონამდე. ამავე დროს ჩვენ ვხედავთ ხელფასის შემცირებას, მუშათა მოძრაობის უაღრესად გამწვავებას და მუშათა კლასის წინააღმდეგ ბურჟუაზიის შეტევის გაძლიერებას.

სულ ახლახანს საზღვარგარეთის პრესაში ისევ დაიწყო კამპანია იმის შესახებ, რომ ჩვენ მთელს მსოფლიოში 1 მაისის დღესასწაულის „ამტეხნი“, ორგანიზატორები ვართ. ამის გამო უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთ განცხადებათა ავტორებს მუშათა მოძრაობის ისტორიის ელემენტარული ცოდნა არა აქვთ. საბჭოთა სკოლის ყოველმა მოწაფემ იცის, რომ 1 მაისის დღესასწაულს ყველა კაპიტალისტური ქვეყნის მუშათა კლასი ოქტომბრის რევოლიუციამდე დიდი ხნის წინათ იხდიდა. ამ დარბაზში, ალბად, ბევრი ამხანაგი ზის, რომლებიც წინათ ცარიზმის დროს 1 მაისის დღესასწაულის გამო საპატიმროებში ისხდნენ იმ მე-2 ინტერნაციონალის მოწოდებით, რომელმაც უღალატა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის საქმეს. კაპიტალისტურ ქვეყნებში 1 მაისის დღესასწაული ახლა გამწვავებულ ფორმებს იღებს არა ჩვენის მიზეზით, არამედ კლასობრივ წინააღმდეგობათა განვითარების ლოღიკის ძალით; ადამიანი გონებაჩლუნგი უნდა იყოს, რომ ობიექტიური ვითარების აუცილებელი შედეგები „მოსკოვის ხრიკებს“ მიაწეროს.

მე-2 ინტერნაციონალი თავისი არსებობის დღიდან მრავალი წლის განმავლობაში ეწეოდა აგიტაციას 1 მაისის დღესასწაულისათვის. მაშ, რატომ არავითარ ბრალს არ სდებენ მას 1 მაისის დღესასწაულის გამო?

1 მაისის დღესასწაული დიდი კლასობრივი ბრძოლის ერთ - ერთ გამოხატულებას წარმოადგენს. თანამედროვე გამწვავებულ პირობებში და იმ ნაკლებობათა დროს, რომლებსაც მუშათა კლასის უფართოესი მასები განიცდიან, კლასობრივი ბრძოლის განვითარება აუცილებელია კაპიტალისტურ ქვეყნებსა და კოლონიებში. კაპიტალისტური მსოფლიო გააფთრებით ებრძვის მუშათა კლასს, სურს მის ზურგზე ააგოს თავისი კეთილდღეობა და თავიდან აიცილოს მწვავე კრიზისი. მაგრამ ეს კრიზისი აუცილებელია; ევროპაში, უკვე ახლავე, მრეწველობის მოწყობილობის საწარმოო შესაძლებლობის მხოლოდ ორი მესამედია გამოყენებული, ხოლო ჩრდ. ამერ. შეერთებულ შტატებში კიდევ უფრო ნაკლები — ნახევარზე ცოტა მეტი.

კრიზისის საფრთხის ნიადაგზე ვითარდება გამწვავებული კონკურენცია კაპიტალისტებს შორის; ამასთანავე ახლა კონკურენციას ცალკე ფაბრიკები კი არ ეწევიან, არამედ საწარმოო ბუმბერაზები, რომლებიც აერთიანებენ მრეწველობის განსაზღვრულ დარგებს; ბევრ შემთხვევაში ამ გადიდებული მძლავრი ორგანიზაციების შეტაკება და ერთმანეთთან ბრძოლის აუცილებელი გაძლიერება იმის მიზეზს წარმოადგენს, რომ კაპიტალისტურ მთავრობებს არ სურთ და არ შეუძლიათ განიარაღება. პირიქით, ყოველივე ეს იწვევს შეიარაღების ზრდას და აძლიერებს ომის საფრთხეს. კაპიტალისტური მსოფლიოს ორი ბუმბერაზის — ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატებისა და ინგლისის ბრძოლის დაწყება წარმოადგენს კაპიტალისტური მსოფლიოს წინააღმდეგობათა ყველაზე უფრო აშკარა და გადამწყვეტ გამოხატულებას. მე თქვენს ყურადღებას შევაჩერებ სხვადასხვა სახელმწიფო მოღვაწეებისა და ჟურნალისტების გამოხმაურებაზე ამ საკითხის გამო, როგორც გაზეთებისა, ისე საპარლამენტო ტრიბუნების საშუალებით.

ინგლისისა და ამერიკის წინააღმდეგობათა სიმწვავე ახლა უკვე შეგნებული აქვთ ორივე ქვეყნის მთავრობებს. ამას შემდეგი ციტატები გვიჩვენებენ. ერთ - ერთ თავის სიტყვაში ცნობილმა სენატორმა ბორამ სთქვა:

„თუ შეერთებული შტატები თავისი ვაჭრობის უზრუნველყოფას ვერ შესძლებენ, შეთანხმების, ხელშეკრულების და კანონის საშუალებით, ამ მიზანს ისინი მიაღწევენ თავიანთი ფლოტის უპირატესობით. დიდმა ბრიტანეთმა ან უნდა უარჰყოს ზღვაზე თავისი ბატონობა, ან უნდა მიაღწიოს შეთანხმებას განიარაღების შესახებ, ან და ფლოტის მშენებლობაში ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებს უნდა მისდიოს; ამ გზით ინგლისი ვერ წავა, რადგან მან კარგად იცის, რომ ეს მას არ ძალუძს. მან მშვენივრად იცის ჩვენი გემთშენების პროგრამა, მან საუცხოვოდ იცის, რომ ჩვენ შეგვიძლია ავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოთ იმდენი კრეისერი, რამდენიც საჭირო იქნება“.

შექმნილი მდგომარეობისათვის დამახასიათებელია სენატორ ბორას სიტყვის შემდეგი ადგილი. მან სთქვა:

„ჩვენს თვალწინ იწყება ინგლის-ამერიკის შეჯიბრება ზღვაზე. ახლანდელი მდგომარეობა არაფრით არ განსხვავდება იმისაგან, რომელიც გერმანიას და დიდ ბრიტანეთს შორის შეიქმნა 1905 — 1914 წლების პერიოდში. რასაკვირველია, რამდენადაც ეს შეეხება მთავრობებს, ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ ადგილი ექნება განცხადებას, რომ ორივენი გამსჭვალულნი არიან უსაზღვრო მეგობრობის გრძნობით და რომ მათ არ აქვთ რაიმე განზრახვა შეეჯიბრონ ერთმანეთს ზღვაზე. ასეთივე იყო გერმანიის და ინგლისის მთავრობების განცხადება 1905—14 წლების პერიოდში“.

სწორედ ასევე აფასებენ შექმნილ მდგომარეობას ინგლისის ფხიზელი პოლიტიკოსები.

ინგლისის იდუმალი ზრახვები შემდეგნაირად გამოსთქვა ინგლისის გავლენიანმა ჟურნალმა „ეკონომისტ“-მა:

„ისტორიის გამოცდილებამ ამერიკელები უნდა დაარწმუნოს, თუ დადგება საკითხი იმის შესახებ, რომ ძალადობით გამოგვტაცონ ხელიდან „საზღვაო ბატონობა“, არა აქვთ საფუძველი გველოდნენ, რომ ამას დავთმობთ გამძაფრებული ბრძოლის გარეშე.

მეორეს მხრით არ არის მოსალოდნელი, რომ შეერთებული შტატები არ შეეცდებიან ხელიდან გამოგვტაცონ ზღვაზე ბატონობა, ისე, როგორც ჩვენ თავის დროზე არ დავკმაყოფილდით იმით, რომ ესპანელების ხელში დაგვეტოვებინა საზღვაო ძლიერება“.

1905 — 1914 წლების მოგონება არის იმპერიალისტური ომისათვის უშუალო მზადების პერიოდის მოგონება.

წინააღმდეგობანი, რომლებიც არსებობენ ცალკე კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, მცირე და დიდ სახელმწიფოებს შორის, უკანა რიგში დგებიან. კაპიტალისტური ქვეყნების უმრავლესობის ძალები ნაწილდებიან ძირითადი მიმართულებით, ინგლის-ამერიკის ურთიერთობის მიმართულებით. ეს იმას არ ნიშნავს, რომ წინააღმდეგობა, მაგალითად, საფრანგეთსა და გერმანიას შორის და საფრანგეთსა და იტალიას შორის, ისპობა, მაგრამ მათ თავისი ბრძოლა შეუძლიათ აწარმოონ მხოლოდ ისე, რომ განუწყვეტლივ ადევნონ თვალყური ძალთა ამ ძირითად განაწილებას, რომელიც ხდება მსოფლიოში.

თანამედროვე ურთიერთდამოკიდებულება კაპიტალისტური მსოფლიოს შიგნით საუცხოვოდ დაახასიათა რომელიღაც ავტორმა ჟურნალ „ეკონომისტ“-ში.

ეს ავტორი ხატავს სურათს, თუ რა მოხდებოდა, რომ ეხლანდელი მდგომარეობა განვითარებულიყო სტიქიურად და თვითნებურად. ის ამბობს:

„მოვლენები რომ განვითარებულიყვნენ თავიანთი ტრადიციული გზით, სახელმწიფოები, რომლებმაც ერთად გაიმარჯვეს 1914 — 18 წლების ომში, რამდენიმე ხნის შემდეგ დანაწილდებოდნენ ორ ბანაკად. ამ ორი ბანაკის ბრძოლიდან წარმოიშობოდა 1945 ან 1950 წლების ომი. ერთ მხარეზე იდგომებოდა უძლიერესი ამ სახელმწიფოებს შორის — შეერთებული შტატები, ის მარტო იქნებოდა. მეორე მხარეზე იდგომებოდა დიდი ბრიტანეთი, რომელიც შეეცდებოდა წონასწორობის შენარჩუნებას და საფრანგეთის ჩაბმას ახალ ანტანტაში. და როცა ანტი-ამერიკულ ბანაკში იქნებოდნენ საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი, შეერთებული შტატები ბოლოს და ბოლოს შეეცდებოდნენ წონასწორობა დაეცვათ მისთვის სახარბიელო მდგომარეობაში და გადაებირებიათ თავის მხარეზე საფრანგეთის ოპონენტები ევროპაში — იტალია და გერმანია (კარგი ფინალი იქნებოდა ლოკარნოსათვის). სინამდვილეში მთელი მსოფლიო იქნებოდა ჩაბმული კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის ბრძოლაში, გარდა საბჭოთა კავშირისა, რომელიც როგორც „მესამე მომცინავი ძალა“, დაესწრებოდა საბოლოო ომის საუცხოვო სანახაობას“. მე მგონია, რომ მთელი ეს პროგნოზი ძალიან ჰგავს იმ სურათს, რომელიც ნამდვილად შეიძლება შეიქმნეს. აქ მაინც აქვს ადგილი ორ შეცდომას. პირველი, ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ძალიან ადვილად მოსალოდნელია და მეორე — აღნიშნული პოზიცია თავის თავად ძალიან ცუდი არ არის, მაგრამ ჩვენ ამ პოზიციას დავიჭერდით არა იმისათვის, რომ სიხარულს მივცემოდით, არამედ იმისათვის, რომ ხელი შეგვეწყო ეს ახალი ომი ნამდვილად გადაგვექცია უკანასკნელ ომად ადამიანთა შორის. (ტაში).

ამ სამხედრო-პოლიტიკურ საფუძველზე წარმოიშობა ახლა მრავალი პოლიტიკური და სამხედრო კავშირი. მათ შორის ყველაზე საინტერესოა ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება, რომელიც, რამდენადაც ვიცით, მიმართულია საბჭოთა კავშირისა და ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატების წინააღმდეგ; აგრეთვე საინტერესოა ყველა თქვენთვის კარგად ცნობილი პოლონეთ-რუმინეთის სამხედრო კავშირი.

კაპიტალისტურ ევროპაში ამჟამად არსებობენ მთელი რიგი სხვა კავშირები, რომლებიც არსებითად გამოხატავენ მოწინააღმდეგე ძალთა განწყობილებას და განაწილებას მომავალ ახალ მსოფლიო ომში.

რამდენიმე წლის წინედ „პან ევროპის“ ცნობილმა იდეოლოგმა კუდენჰოვე კალერგიმ აღნიშნა, რომ ვერსალის ზავის შემდეგ ევროპაში შეიქმნა 12 ელზას-ლორენი და ეს საკმაოა იმისათვის, რომ გამოიწვიოს ახალი იმპერიალისტური ომიო. პატარა ქვეყნები დიდ შეცდომას სჩადიან, როცა ისინი ფიქრობენ, რომ დიდი სახელმწიფოების თამაშის დროს მათ შეუძლიან ცოტა დაჩუმდნენ, ხოლო პატარა ომი შეიძლება მოხდეს თანამედროვე ევროპის ბატონ-პატრონთა ჩაურევლად. დიდ ომში პატარა სახელმწიფოებს არავინ არ გაუწევს ანგარიშს და მათი მდგომარეობა ათჯერ უარესი იქნება, ვიდრე ბელგიის მდგომარეობა წარსულ ომში, ყველა პატარა ომი ისეთ მძაფრ მდგომარეობაში, რომელიც ახლა არსებობს, ყოველ წუთში შეიძლება გადაიქცეს დიდ იმპერიალისტურ ომად და არ დამთავრდება დიდი სახელმწიფოების ჩაურევლად. დიდი სახელმწიფოების ყოველი შეტაკების დროს ეს პატარა სახელმწიფოები, სტრატეგიული მდგომარეობისა და თანამედროვე ომის მეთოდების გამო, შეიძლება სავსებით აღიგავონ დედა-მიწიდან.

სწორედ ამიტომ თავდაცვის ინსტინქტმა მათ უნდა უკარნახოს, რომ აირჩიონ არა მომავალი ომის მატარებელთა ორიენტაცია, არამედ მშვიდობიანობის დამცველთა ორიენტაცია. მათი პოლიტიკა განსაკუთრებული ძალით უნდა იყოს მიმართული მშვიდობიანობისაკენ და მათ არ უნდა აიღონ ამა თუ იმ სამხედრო ბანაკის ორიენტაცია. მხოლოდ მშვიდობიანობის თანმიმდევარი პოლიტიკით შესძლებენ ისინი თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობის და თავისუფალი არსებობის უზრუნველყოფას და თავიანთი მემკვიდრეობის დაცვას ომის კატაკლიზმის საშინელებათაგან.

V. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა

ამხანაგებო, ხუთწლიანი გეგმის განხორციელება დაკავშირებულია იმასთან, რომ უაღრესად განვითარდეს ჩვენი ექსპორტი, განვითარდეს იმპორტი, ჩვენი ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტისათვის საჭირო მოწყობილობათა იმპორტი. ამიტომ სამშვიდობო ურთიერთობისა და სავაჭრო ხელშეკრულებების განვითარებით ჩვენ ეხლა უფრო მეტად ვართ დაინტერესებულნი, ვიდრე წინად. ხუთწლიანი გეგმის არსებობა მოითხოვს თანმიმდევარ და სისტემატიურ მუშაობას მთელი რიგი წლების განმავლობაში. ამიტომ საერთაშორისო დამოკიდებულების სფეროში ვცდილობთ, დავამყაროთ ისეთი მტკიცე ურთიერთობა ცალკე სახელმწიფოებთან, რომ ამ მხრივ არ შეფერხდეს იმ უდიდეს სამუშაოთა განხორციელება, რომლებიც ხუთწლიანი გეგმით არის დასახული.

ჩვენი საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში, სწორედ საქმიანი კავშირის განვითარების ხაზით ჩვენ ამას წინად საგრძნობი წარმატებით და ორივე მხარისათვის სასარგებლოდ დავამთავრეთ მოლაპარაკება გერმანიასთან და 1928 წლის 28 დეკემბერს ხელი მოვაწერეთ ოქმს. ეს ოქმი ანვითარებს და აფართოებს სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის სქემას, რომელიც 1925 წლის სავაჭრო ხელშეკრულებამ დააწესა საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის. რაც შეეხება გერმანიას, მან პირველმა დასდო სავაჭრო გარიგებები, რომლებიც საგრძნობლად გვიადვილებენ იმპორტს გერმანიიდან, და რომლებმაც შეკვეთებით დატვირთეს გერმანიის მრეწველობა.

ამ ხელშეკრულების განხორციელების პრაქტიკას გერმანიის სამეურნეო წრეები უნდა დაერწმუნებია, რომ ჩვენ პირნათლად ვასრულებდით ჩვენ მოვალეობას. ჩვენ არა ერთხელ ვადამდე გადავიხადეთ შესატანი თანხები. გერმანიის სამეურნეო წრეებთან ამგვარი დამოკიდებულება სასარგებლოა ორივე ქვეყნის ინტერესებისათვის. გერმანიასთან ჩვენ ამას წინად დავდეთ კონვენცია სადაო საკითხების განხილვის შემათანხმებელი პროცედურის შესახებ. ეს კონვენცია ემყარება თანასწორობის ორივე მხარის წარმომადგენლობის პრინციპს და უზრუნველჰყოფს კონფლიქტების სწრაფად მოგვარებას მშვიდობიანი გზით. რასაკვირველია, გერმანიასთან ურთიერთობაში ადგილი ჰქონდა გაუგებრობასაც, მაგრამ საქმე ყოველთვის დამაკმაყოფილებლად თავდებოდა. ჩვენ ამჟამად სავსებით კმაყოფილნი არა ვართ გერმანიის ხელისუფლების დამოკიდებულებით იმ თეთრგვარდიელთა მიმართ, რომლებიც ბერლინში ამზადებდნენ დოკუმენტებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჩვენი პრეტენზიები აქ გამომდინარეობენ არა ამა თუ იმ ბოროტმოქმედის დასჯის უბრალო სურვილიდან, არამედ იქიდან, რომ ჩვენ გვსურს ბოლომდე გამოვარკვიოთ ის საქმე, რომელსაც საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს და, რომელიც საბჭოთა ქვეყანასთან არის დაკავშირებული. ამგვარ გაიძვერათა ყალბ დოკუმენტებს არა ერთხელ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ასეთი როლი ითამაშა, მაგალითად, ზინოვიევის წერილმა, ინგლისის არჩევნებში. ამ ყალბმა დოკუმენტებმა გავლენა იქონიეს მსოფლიო დიპლომატიის მოქმედებაზე. ეს არის არა გაიძვერათა უბრალო ორგანიზაცია, ეს არის სისხლის სამართლის დამნაშავეთა პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელსაც კავშირი ჰქონდა ბურჟუაზიის და ბურჟუაზიული დიპლომატიის მეტად წარჩინებულ წრეებთან.

სრ. რუსეთის საბჭოების ყრილობამ 1922 წელს მიიღო რაპალოს ხელშეკრულება, როგორც ნიმუში ხელშეკრულებით ურთიერთობისა საბჭოთა სახელმწიფოსა და კაპიტალისტურ გარემოცვას შორის. ეხლა, როცა თითქმის რვა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ნორმალური ურთიერთობა დავამყარეთ გერმანიასთან, შეგვიძლია აღვნიშნოთ იმ საფუძველთა სისწორე და ორივე მხარისათვის სარგებლობა, რომლებსაც ემყარება ეს ურთიერთობა და რომელთა მიხედვითაც იგი უნდა განვითარდეს მომავალშიაც.

დიდ ბრიტანეთთან ჩვენი დამოკიდებულების შესახებ მე უკვე ვილაპარაკე დაწვრილებით ჩემს მოხსენებაში. დიდ ბრიტანეთთან დღემდე არ არის აღდგენილი დიპლომატიური ურთიერთობა. თქვენ იცით აგრეთვე, რომ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტით კონსერვატიულმა მთავრობამ ვერ მიაღწია იმ მიზნებს, რომლებსაც იგი ისახავდა ამ ნაბიჯის გადადგმის დროს. პირიქით, ობიექტიური ცნობები მოწმობენ უდიდეს ზიანს, რომელიც განიცადეს ინგლისის სახალხო მეურნეობის ძირითადმა დარგებმა, განსაკუთრებით ინგლისის საექსპორტო ვაჭრობამ იმის გამო, რომ ორი წლის განმავლობაში არ არსებობდა ბაზისი ჩვენთან ვაჭრობისათვის. სწორედ ამით აიხსნება ის ჯანსაღი მიმდინარეობა, რომელიც იცავს გაწყვეტილი კავშირის აღდგენის აუცილებლობის თვალსაზრისს. სწორედ ამ მიმდინარეობის მეოხებით მოხდა ინგლისის საქმიანი წრეების ასამდე წარმომადგენლის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ადგილი აღარა აქვს ისეთ განსაკუთრებულ გამოსვლებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, როგორსაც წინა არჩევნების დროს ჰქონდა, პრემიერ-მინისტრმა ბოლდუინმა, რომელიც თავის სიტყვაში ამტკიცებდა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის უსარგებლობას, ეხლაც განაცხადა, რომ მას არ შეუძლია ურჩიოს ვაჭრობის განვითარება ჩვენს კავშირთან.

ბოლდუინმა თავის სიტყვაში წამოაყენა ახალი თეზისი, რომელიც დღემდე არ წამოუყენებია კონსერვატიული მთავრობის არც ერთ ხელმძღვანელს. კონსერვატიული მოღვაწეები ორი წლის განმავლობაში დაჟინებით აცხადებდნენ, რომ სავაჭრო ურთიერთობის განვითარება საბჭოთა კავშირთან შესაძლებელია ნორმალური პოლიტიკური ურთიერთობის აღუდგენლად და რომ ისინი არ უარჰყოფდნენ საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის სარგებლობას. ეხლა კი კონსერვატიული კაბინეტის მეთაური სცდილობს დაამტკიცოს, რომ სასარგებლო არ არის თვით ვაჭრობა საბჭოთა კავშირთან. მე არ შეუდგები ამის უარყოფას, რადგან თვით ფაქტებმა სავსებით ნათლად დაამტკიცეს სწორედ წინააღმდეგი, იმიტომ რომ არ შეიძლება მოვიყვანოთ არც ერთი შემთხვევა, როცა ჩვენთან სავაჭრო ურთიერთობა სასარგებლო არ ყოფილიყოს ჩვენი კონტრაგენტებისათვის და როცა ჩვენს ორგანიზაციებს დაერღვიოთ ნაკისრი სავაჭრო ვალდებულებანი. სავაჭრო გარიგებათა რაოდენობა კი, რასაკვირველია, განისაზღვრება იურიდიული, უფლებრივი და ფინანსიური პირობებით, რომლებსაც ჩვენი ვაჭრობა ჰქმნის ამა თუ იმ ქვეყანაში.

რაც შეეხება ჩვენს პოზიციას ინგლისთან დამოკიდებულების საკითხში, ეს ნათლად არის ჩამოყალიბებული იმ განცხადებაში, რომელიც ამას წინად გამოაქვეყნა მთავრობის კომისიის წარმომადგენელმა ინგლისის მრეწველებთან მოლაპარაკების საქმეში ამხ. პიატაკოვმა. ჩვენ ვფიქრობთ, არსებობს სრული შესაძლებლობა, იმისათვის, რომ ყველა სადავო საკითხი გადასწყდეს 1924 წელს მაკდონალდის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების ნიადაგზე.

მეორე უდიდესი ქვეყანა — ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები. ჩვენი ურთიერთობა შეერთ. შტატებთან ვაჭრობის საქმეში, ისეთი საკითხების გადაწყვეტის საქმეში, როგორიც არის ამერიკის უაღრესად განვითარებული მეურნეობის ტეხნიკური დახმარება ჩვენი მეურნეობის განვითარებისათვის, ძალიან ინტენსიურად ვითარდება. მარტო ინჟინერი კუპერი, დნეპრის ჰიდროსადგურის მშენებლობის კონსულტანტი, არ მუშაობს ჩვენი საქმის სასარგებლოდ. საქმის კარგად მცოდნე ბევრი სხვა ამერიკელი ინჟინერიც უწევს ტეხნიკურ დახმარებას ჩვენს მშენებლობას და საშუალებას აძლევს ჩვენს ტეხნიკოსებს და ინჟინრებს — გაეცნონ მრეწველობისა და წარმოების მეთოდებს თვით ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთ. შტატებში. ამჟამად მოლაპარაკება გვაქვს ამერიკის ძალიან დიდ ფირმებთან. მოლაპარაკების მიზანია — დადებულ იქნას ახალი ხელშეკრულება ტეხნიკური დახმარების შესახებ. როცა ასე გაფართოვდა საქმიანი ურთიერთობა, დიპლომატიური ურთიერთობის უქონლობა ეხლანდელ სტადიაში წარმოადგენს არა მარტო შემაფერხებელ პირობას, არამედ თავისებურ უცნაურობასაც. ამ ურთიერთობის შემდგომ განვითარებას, რასაკვირველია, გადაელობებიან ის დაბრკოლებანი, რომ დიდი სამეურნეო და სავაჭრო გარიგების დადება დიპლომატიური და იურიდიული დაცვის გარეშე ჩვენთვის არა მარტო უხერხული, ძალიან სახიფათოც იქნება.

საფრანგეთი. ურთიერთობა საფრანგეთთან გაიყინა იმ წერტილზე, რომელზედაც იგი იყო რაკოვსკის საფრანგეთიდან წამოსვლის დროს. ჩვენმა მეცნიერმა შერმეტიევმა გამოიგონა ისეთი მეთოდი, რომლის მეოხებითაც შეიძლება ცოცხალ არსების დატოვება ნახევრად ცოცხალ, ერთგვარი ხანგრძლივი ძილის—ანაბიოზის მდგომარეობაში. ასეთ მდგომარეობაშია ჩვენი ურთიერთობა საფრანგეთთან და ამაში ჩვენ ბრალი არ მიგვიძღვის. არაფერი გაკეთებულა მას შემდეგ, რაც რაკოვსკიმ საფრანგეთს გადასცა ჩვენი წინადადებანი; მას შემდეგ ჩვენ არ მიგვიღია პასუხი ამ წინადადებაზე და არც იმ წინადადებაზე, რომელიც შეეხებოდა ერთმანეთზე თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადებას. გარდა ამისა, საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შეიცავს ბევრ ისეთ მაგალითს, რომელიც ნაკლებად ამტკიცებს იმას, რომ საფრანგეთს მართლაც სურს უფრო კეთილსასურველი ურთიერთობის დამყარება.

იტალია. ურთიერთობა იტალიასთან სავსებით ნორმალურად ვითარდებოდა, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც მოხდა 1927 წელს, როცა იტალიამ დაამტკიცა ოქმი, რომელიც აღიარებს რუმინეთის უფლებას ბესარაბიაზე. მაგრამ ამას, რასაკვირველია, არ შეუძლია რითიმე შეარყიოს ჩვენი პოზიცია ამ ძალადობით ხელში ჩაგდებულ ოლქის მიმართ.

ბალტიის მხრის ქვეყნები. მე უკვე ვილაპარაკე მათ შესახებ მოსკოვის ოქმის ხელის მოწერასთან დაკავშირებით. ამ ოქმმა, ეჭვს გარეშეა, გააჯანსაღა ჩვენი ურთიერთობა ამ ქვეყნებთან. მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამ ოქმზე ხელის მოწერას უნდა მოჰყვეს ისეთი მოქმედება, რომელიც გააძლიერებს და განამტკიცებს მას. რამდენადაც ზემოდ აღნიშნულმა სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს ისეთ ოქმს, რომელიც უარჰყოფს ერთმანეთის წინააღმდეგ მიმართულ ომს, იმდენად უნდა მოველოდეთ, რომ ისინი გამსჭვალულნი არიან სურვილით — არა თუ აღარ იომონ, არამედ ყოველგვარი საშუალებით შეუწყონ ხელი მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარებას ერთმანეთთან. აქედან სავსებით გასაგებია ის მისწრაფება, რომ სწრაფად და ნაყოფიერად განხორციელდეს ის სამშვიდობო სურვილები, რომლებიც ოქმშია აღნიშნული, ე. ი. ყოველგვარი საშუალებით შეეწყოს ხელი მშვიდობიან კავშირს ოქმის ცალკე მონაწილეებს შორის. ოქმი რომ არ დარჩეს ცარიელ დეკლარაციად და ნამდვილად განხორციელდეს, მას თან უნდა სდევდეს სათანადო ღონისძიებანი მის მონაწილეთა მშვიდობიანი თანამშრომლობის განმტკიცებისა და განვითარების საქმეში. ასეთი სურვილი და მისწრაფება აქვს საბჭოთა კავშირს, ამას ვამბობ მთელი სერიოზულობით და პასუხისმგებლობით.

სამწუხაროდ, მოსკოვის ოქმის ზოგიერთი სხვა მონაწილე საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში არ იჩენს ასეთ მისწრაფებას, ყოველ შემთხვევაში არ იჩენს საქმით. საკმაოა შევჩერდეთ უკანასკნელ ფაქტებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ვარშავაში. განაჩენის შემსუბუქება თეთრგვარდიელ ვოიცეხოვსკისათვის, რომელიც თავს დაესხა ჩვენს სავაჭრო წარმომადგენელს პოლონეთში ლიზარევს, ვოიცეხოვსკის დამცველთა ცილისწამებით სავსე აღმაშფოთებელი სიტყვები, რომლებიც არც ერთხელ არ შეაჩერა სასამართლოს თავმჯდომარემ, და პოლონეთის პრესის ცილისწამების კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, — ყველავე ეს მოწმობს, რომ პოლონეთის ახალი მთავრობა სცილდება მოსკოვის ოქმის ნიადაგს.

ჩვენ საჭიროდ მივაჩნია ორივე მხრის საზოგადოებრივი აზრის ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ჩვენ შორის ნამდვილი და არა მარტო ფორმალური ურთიერთობის დამყარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ინტერესებისთვის და არა მარტო ამ ორი ქვეყნის ინტერესების, არამედ საყოველთაო მშვიდობიანობის ინტერესებისათვის. ჩვენ არა ერთხელ განვაცხადეთ და ეხლა კვლავ ვიმეორებთ, რომ ჩვენ სერიოზულად გვსურს დავამყაროთ მტკიცე და მშვიდობიანი ურთიერთობა პოლონეთთან. ჩვენ მას მივეცით წინადადება დაედო პაქტი თავდაუსხმელობის შესახებ, მივეცით წინადადება — მიეღო სერიოზული ზომები იმისათვის, რომ საზღვრების საკითხი არ იწვევდეს შიშს, ამასთან პოლონეთში იციან, რომ ჩვენ ამ წინადადებას უდგენთ არა რაიმე სიმხდალის გამო; ყველამ კარგად იცის, რომ თუ თავს დაგვესხმიან და გვაიძულებენ ვიბრძოლოთ, ჩვენ ვიბრძოლებთ და შეგვიძლია ვიბრძოლოთ კიდეც, როგორც საჭიროა (ხმები ადგილებიდან: „მართალია“. ტაში). პოლონეთთან

ჩვენს პოლიტ
ამჟამადაც გა
დობიანი ურ
გებლობა ორ
მწიფოსათვის.
ამ დღეებშ
კრულება ეს
უნდა ითამაშ
ჭოთა ეკონო
ბისა და მათ
განმტკიცებ
რაც შეეხებ
ურთდა მოს
წინად მივიღ
რმალურად ჯ
სკოვის ოქმს.
ლებებს უკვე
უკანასკნელი
ახლო მომავალ
სავსებით
თიერთობა
დაკავშირებულ
მინეთში
კოვის ოქმზე, ი.
განმეორებით
ლით ხელს ვ
მართებულად
იმ აღმაშფოთ
ამჟამად გაბატ
ვუპასუხეთ, რომ
ბით ვდგვეართ
ში). დღე, იმათ
სთქვან, ვისთან
თან თუ ჩვენთან
თხოვთ მხოლოდ
ხის ნება-სურვ
ხდეს სინდის
ტი, რომლის დ
ნდეს ზგვალენ
რეს მხრით (ტა
იაპონია. ჩვენ
სავსებით ნორმალ
რე წელს პორტ
ლაში იაპონია
მერის შესახებ,
ეს კონვენცია
ლიც უზრუნველ
თების გადაწყვეტა. ვიმედოვნებთ, რომ იაპონიის მთავრობის ხელის შეწყობით მიღწეული იქნება შემდგომი წარმატებანი ამ ორი ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიური კავშირის განვითარების და განმტკიცების საქმეში.

სპარსეთი. ნორმალურად ვითარდება ჩვენი ურთიერთობა სპარსეთთან. ის გარემოება, რომ სპარსეთი მოსკოვის ოქმს შეუერთდა იმ დროს, როცა უკვე არსებობს სპარსეთ-საბჭოთა ხელშეკრულება თავდაუსხმელობისა და ნეიტრალიტეტის შესახებ, არსებობს აგრეთვე სავაჭრო ხელშეკრულება, წარმოადგენს ახალ ნაბიჯს, რომელიც ამაგრებს ჩვენს ურთიერთობას ამ სახელმწიფოსთან. სპარსეთის მთავრობის განცხადება ავღანისტანის საქმეებში ჩაურევლობის შესახებ მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირის და სპარსეთის მთავრობებს ერთგვარი პოზიცია აქვთ ავღანისტანის ეროვნული დამოუკიდებლობის მიმართ.

თურქეთი. ჩვენი ურთიერთობა თურქეთთან გამომდინარეობს არა მარტო ერთმანეთთან კავშირის განმტკიცების საჭიროებიდან, არამედ იქიდანაც, რომ საჭიროა მშვიდობიანობის კონსოლიდაცია ახლო აღმოსავლეთში. როცა თურქეთი შეუერთდა მოსკოვის ოქმს, ამით მან დაადასტურა, რომ სურს ნორმალური ურთიერთობის გამაგრება და თანამშრომლობა ეკონომიური და პოლიტიკური კავშირის განვითარებისა და მშვიდობიანობის განმტკიცების საქმეში.

ავღანისტანი. გადავდივარ რა ავღანისტანზე, მეტად დიდი მწუხარებით უნდა აღვნიშნო, რომ ავღანისტანის ხალხის შინაური კრიზისი, ჭიანურდება. ის ქვეყანა, რომელიც 10 წლის დამოუკიდებელი არსებობის განმავლობაში უდიდეს შინაურ სიძნელეთა მოუხედავად, დიდ წარმატებას მიაღწია სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში, რეაქციონურ ძალების გამარჯვების გამო, იმ ძალების, რომლებსაც გარედან აქტიურად უწყობენ ხელს, უკვე ნახევარი წელიწადია მწვავე კრიზისს განიცდის. თქვენი ყურადღება უნდა მივაქციო აგრეთვე იმ გამწვავებულ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა ავღანისტან-საბჭოთა საზღვარის ზოგიერთ რაიონში, იმ ტერიტორიის მახლობლად, სადაც ლიკვიდაცია უყვეს ამანულას მთავრობის ორგანოებს. მხედველობაში მაქვს ბანდიტიზმის გამოცოცხლება ავღანისტანის იმ რაიონებში, რომელთა ადმინისტრაცია, თუ მონაწილეობას არ იღებს ბანდების შექმნაში, ყოველ შემთხვევაში, არავითარ ზომებს არ მიმართავს იმისათვის, რომ არ დაუშვას ბანდების გადასვლა საბჭოთა ტერიტორიაზე. ჩვენ კვლავ ვიცავთ ავღანისტანის ხალხის შინაურ საქმეებში სრული ჩაურევლობის პოლიტიკას. ვიმედოვნებთ, რომ ავღანისტანის პროგრესიული ძალები, რომლებიც წარმოშვა ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის ათი წლის რეჟიმმა, დაამარცხებენ რეაქციონურ ელემენტებს და შეინარჩუნებენ ბრძოლაში მოპოვებულ დამოუკიდებლობას და გაძლიერდებიან.

ჩეხო-სლოვაკია. რადგან ჩეხო-სლოვაკიის მთავრობას არ სურს ურთიერთობის დამყარება ჩვენთან, ამიტომ დღემდე ნორმალური პოლიტიკური ურთიერთობა არ არსებობს ამ ქვეყანასთან. ამის გამო, ცხადია, ვერ განვითარდებოდა საკმაოდ ეკონომიური ურთიერთობა ორივე ქვეყნის შორის. ამას წინად მიღებული ცნობა იმის შესახებ, რომ ჩეხო-სლოვაკიას განზრახვა აქვს თავისი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან დაუკავშიროს მთელ მცირე ანტანტას, კერძოდ რუმინეთის მიერ ბესარაბიის ოკუპაციას, — ეს ცნობა მოწმობს ჩეხო-სლოვაკიის მთავრობის ისეთ ტენდენციებს და პრეტენზიებს, რომლებიც ვერავითარ სარგებლობას ვერ მოიტანენ.

საგარეო პოლიტიკის შედეგები. ჩვენ სახელმწიფოზე თავდასხმის საფრთხე უეჭველად არსებობს, მაგრამ ჩვენი პოლიტიკა მშვიდობიანობისა და შესვენების გაგრძელებისათვის ბრძოლაში ყოველთვის არ მარცხდება. ჩვენი პოლიტიკა მომავალში უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ მთელი ძალღონით, ყოველგვარი საშუალებით ვიბრძოლოთ მშვიდობიანობისათვის და საქმიანი ურთიერთობა დავამყაროთ ყველა სახელმწიფოსთან. მაგრამ რადგან არსებობს აგრესიული მომენტები, რადგან არსებობს ომის საფრთხე და მშვიდობიანი შესვენების შეწყვეტის შესაძლებლობა, ჩვენ არავითარ შემთხვევაში და არც ერთი წუთით არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი სახელმწიფოს და ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის გაძლიერება. (მხურვალე ტაში).

(ამხ. რიკოვის მოხსენების მეორე ნაწილი მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში).

რა ხდება ადგილებზე

გაზაფხულის მატყლის დამზადება

თელავი, 24 მაისი. მეცხვარეთა საზოგადოების „მწყემსი“-ს თელავის განყოფილება შეუდგა გაზაფხულის მატყლის დამზადებას. ამჟამად უკვე დამზადებულია 73 ტონა. მატყლის დამზადება კიდევ ორ-სამ კვირას გასტანს. ამ ხნის განმავლობაში განზრახულია კიდევ 32 ტონას დამზადება (ადს).

მწყემსების მომარაგება

თელავი, 24 მაისი.. ცხვარი უკვე გავიდა საზაფხულო საძოვრებზე. მთავარი ნაწილი გაემართა თუშეთის მთების საძოვრებზე, 80.000 სული ცხვარი გარეკეს დაღესტნის რესპუბლიკის საძოვრებზე. ფარეების მწყემსებს „მწყემსი“-ს საზოგადოებიდან ეძლევათ ფქვილი და თბილი ტანისამოსი (ნაბდები, ფარაჯები). მეცხვარეებმა ცხენებითა და ჯორებით წაიღეს ორი ვაგონამდე ფქვილი (ადს).

სეტყვა

თელავი, 24 მაისი. 19 მაისს სეტყვამ ხოფელ ხორხელში, ოყიოში, ყალთოში და ქისტაურში გაანადგურა ვენახები. ზარალს არკვევენ (ადს).

გამფლანგველი „გოსშვეიმაშინა“-ში

ზურჯაანი, 24 მაისი. სიღნაღის რაიონში საკერავი მანქანების გამყიდველად იყო ადგილობრივი სახლის პატრონი ივანე შიშტიევი. იგი მანქანებს ჰყიდდა ნაღდ ფულზე და შემდეგ დავთრებში შეჰქონდა, როგორც ნისიად გაცემული არ არსებულ პირებზე. ამ უკანასკნელთა ნაცვლად თითონ აწერდა ხელს. აღმოჩნდა, რომ შიშტიევს ასე ფიქტიურად გაუყიდია 80 მანქანა. ამგვარად შიშტიევმა მიითვისა 3.000 მანეთზე მეტი. ეს სიყალბე აღმოაჩინა „გოსშვეიმაშინ“-ის კახეთის განყოფილების გამგემ ამხ. იმნაძემ, რომელმაც ამის შესახებ აცნობა უფროსს. მიუხედავად ამისა, გამფლანგველი თავისუფლად დასეირნობს და ნაწილ-ნაწილად ფარავს გაფლანგულ თანხას.

ფიქტიური გაყიდვის ფაქტები დადასტურდა ბევრ სათემო აღმასკომში და გამომჟღავნდა იმიტომ, რომ შიშტიევის სამსახურიდან მოხსნის შემდეგ წერილები, რომლებიც მოვალეებს გაუგზავნეს, ფოსტამ უკან დააბრუნა, რადგან ადრესატები არ აღმოჩნდნენ (ადს).

კულტურული მეურნეობების მოწყობა დიღომის ველზე

დიღომის ველის მორწყულ მიწის ნაკვეთებზე სხვადასხვა კულტურული მეურნეობების მოწყობის სახელმძღვანელოთ გამოყოფილია სპეციალური კომისია ამხ. ქ. ჩხენკელის თავმჯდომარეობით. კომისიაში შედიან — მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის, „სოფლის კავშირის“, საქ. კოლმეურნეობათა ცენტრის, საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის, თბილისის აღმასკომის და საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს წარმომადგენლები. კულტურული მეურნეობების მოსაწყობათ კომისიამ მუშაობა დაიწყო მაისის პირველ რიცხვებიდან. გაზაფხულის ნათესებისათვის მიწის მოსახნავათ კომისიამ გადაგზავნა სამი ტრაქტორი და სხვა საჭირო სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები. 14 მაისიდან 21 მაისამდე დიღომის ველზე უკვე მოხნული იყო 60 ჰექტარი მიწა და დაითესა სიმინდი.

კომისიას განზრახული აქვს დიღომის ველზე მოაწყოს მებოსტნეობის ისეთი მძლავრი მეურნეობა, რომელიც შესძლებს ქალ. თბილისის მთლიანად დაკმაყოფილებას ბოსტნეულობით. გადაწყვეტილია იქვე მოეწყოს მეძროხეობის დიდი ფერმა. გარდა აღნიშნული მეურნეობისა, დიღომის ველზე მოეწყობა აგრეთვე მეფრინველეობის, ხორბლეულის და სათესლე მასალების მეურნეობები და უფრო მცირე მასშტაბით — მევენახეობის და მებაღეობის მეურნეობები.

კომისიას გადაწყვეტილი აქვს კოლექტიური მეურნეობების მოწყობა ჩაატაროს სასოფლო მეურნეობის ცალკე კულტურების მიხედვით. შემდეგ მეურნეობები გაერთიანებული იქნებიან ჯგუფებათ, რაც კომისიის აზრით, გაადვილებს სოფ. დიღომის მოსახლეობის მიზიდვას კოლექტიურ მეურნეობებში.

მიწად-მოწყობა დიღომის ველზე უნდა დამთავრდეს შემოდგომისათვის. ულარიბესი გლეხური მეურნეობების და კოლმეურნეობებისათვის მიწად-მოწყობა ჩატარებული იქნება უფასოთ. ნიადაგის გასანოყიერებლად გადაწყვეტილია მინერალური სასუქების გამოყენება. ამავე მიზნით გამოყენებული იქნება ნაკელიც.

კომისია ამჟამად ამუშავებს ცალკე კულტურების მიხედვით მეურნეობების მოწყობის დეტალურ გეგმას. გადაწყვეტილია ს. დიღომში ტელეფონის გაყვანა, სოფლის მეურნეობის ნაწილობრივი ელექტროფიკაცია, ელექტრო-სახნისების შემოღების საშუალებით და სოფ. დიღომის ჭაობიანი ადგილების ამოშრობა.

ბათომის ნავთის საქაჩავი ქარხნის გახსნა



საზ-ბა „აზნევტმა“ დაასრულა ნავთის სა-
ქაჩავი ახალი ქარხნის აგება ბათომში. ქარხნის

ბათომის ახალი ნავთის საქაჩავი ქარხნის ოფიციალური გახსნა მოხდებოდა გუშინ, 25
ქარხნის გახსნაზე დასასწრებლად თბი-
ლისიდან გაემგზავრენ მთავრობის წარმომად-
გენლები საზ-ბა „აზნევტის“ პასუხისმგებ-

...ნი, 27 მაისი. „დეილი ჰე-
ბაში უნდა უმადლოდეს ინგლისის ყოფილ
ელჩს ქაბულში გეფრისს“ (ადს).

...ლა პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე

...ვა, 26 მაისი. პოლონეთის გაზე-
...მოცემით, პოლონეთ-ლიტვის
...ერთმანეთს სროლა აუტეხეს
...ს მოსაზღვრე რაზმის ნაწილებმა
და ლიტვის მსროლელთა ორგანიზაციის წევრთა ჯგუფმა, რომელიც ვითომ პოლონეთის ტერიტორიაზე გადავიდა. (ადს).

...ჭოთა კავშირი და ჩეხო-სლოვაკია

მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ

...', 26 მაისი. ჩეხო-სლოვაკიის
...ა ბუქარესტის გაზეთ „ნაშა
...რომელშიაც აღნიშნულია
...გჯინოვის ოქმზე ხელის მოწერის
...რუმინეთს შესაძლებლად მიაჩნია—
...ს საბჭოთა კავშირთან მცირე
...სახელმწიფოთა დამოკიდებულე-
...„როგორც ერ...ლისტი“-ს გადმოცემით,
ერთ-ერთი ელჩი სამხრეთ-სლავიაში, მეფის დავალებით, ამუშავებს საკითხს საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ. როგორც ბუქარესტის გაზეთი „ნაშა რეჩ“-ი იუწყება, ბენეშს სურს დადებითად დაამთავროს ის მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ, რომელიც უკვე ორნახევარი წელიწადი გრძელდება და გაგზავნოს მოსკოვში სრულუფლებიანი წარმომადგენელი.

...ტე ფანე“ კვლავ აკრძალეს

...ნი, 26 მაისი. ბერლინის პოლი-
...იდენტმა, სოციალ-დემოკრატ-
...ხელახლა აკრძალა 4 კვი-
...ტიის ორგანო „როტე ფანე“,
...აკრძალვა იყო სამი კვი-
...მხოლოდ რამდენიმე დღის წინად
...კრძალვას ყველაზე უფრო და-
...ხოვდა ქრისტიანული პროფ-
კავშირების ორგანო, რომელიც სწერდა, რომ „როტე ფანე“-მ პირველი აკრძალვის შემდეგ სრულებით არ შეიცვალა ტონი.

სოციალ-დემოკრატიული ორგანო „ფორვერტს“-ი ცდილობს გაამართლოს ახალი აკრძალვა და აღნიშნავს, რომ „როტე ფანე“ თავხედურად მოუწოდებს აჯანყებისაკენ. (ადს).

...იატ-სენის ნეშტის გადატანა ნანკინში

...ნორმალურ დამარხვა ანდერძის
...პორტუგალიის მაგივრად
...26 მაისი. ამერიკის ორგანო
...“-ი ჰგმობს „იმ ხარჯებს და
...რომლითაც ნაციონალური
...სიატ-სენის ნეშტის გადატანას
საგან. როგორ შეფასებდა იგი იმას, რომ ეს ბრწყინვალე ცერემონია მისი იდეალების სადიდებლად იმართება, ხოლო საქმით მის უმნიშვნელოვანეს იდეალებს უარყოფენო“.

გამოსათხოვარი მიტინგი

პეკინი, 26 მაისი.

...თა წარმომად-
მუშებ...

...ია ფქვილისა და სიმინდის ნო-
...ვი ხელისუფლება შეძლებისა-
ხარკოვი ...ვარ დახმარებას უწევს სადგურს.
მავალთა მ...ილის სხდომაზე მოხსენებას
დეგი დეპ...ბი ნ. ბოკუჩავა — სენაკიდან
შირო ყრილ...ე — ოზურგეთიდან.
„ოქტომბერელი უდგენენ თათბირს
ლუგანსკის ...ქსებს, მრავალ დიაგრამებს,
ქარხნის მუშ... რომ ორივე მაზრაში მალა-
აღძრეს შუამდგომლობა მოსახლეობის 60-70
ნური „პრავდ...
შრომის წითელ... ანკილოსტომიდოზე წარ-
ისა და მუშაო... საში მოვლენას, რადგან
დამსახურებისა... მისი გავრცელება
...არა ნაკლებად არის გავრ-
ინჟინე... ...ები აგრეთვე გურიაში.
...ლურ სენებთან ბრძოლას
...მედიკამენტების ნაკლებობა,
...სამცირე, სტაციონარის
...ადასაზიდ საშუალებათა
კიევი, 27 ...ნიწვია მრავალი შეკით-
კიევის საოლქო... აზრთა გაცვლა-გამოცვ-
მიმართა საბჭო...
„კიევის ოლქ...
კოსის და აგრო...
ქვამთ უდრმეს ა...
და პლატინის მ... ...ან
კონტრ-რევოლ...
ბის წინააღმდეგ. ...ნააღმდეგ საბრძოლველ-
ტეხნიკოსები მთე...
სასჯელს, რაც სა... მაზრებში მავნებლებ-
ზიანებლემა, რო... ...ულია და ნათესები მო-
...ტარის სიმცირეზე.
ერნე... ...ებლების წინააღმდეგ სა-
...იდან მიღებულია 276
...სხვა წამლეულობა, რო-
...ლი განაწილებულია მაზრებს შორის. ზე-

(გვალვა, დიდი სიცივეები), თესვა გრძელდება და თუ ამინდი მალე გამოკეთდა, თესვის მეორე პერიოდი წარმატებით იქნება ჩატარებული.

სპეციალურმა თათბირმა, რომელიც ამ საკითხზე შესდგა, დაადგინა: ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში მავნებლებთან ბრძოლა ჩატარებული იქნეს დაჩქარებული ტემპით. რისთვისაც დამატებით გადადებულია—70.343 მანეთი.

მავნებლებთან ბრძოლა უკვე დაწყებულია კახეთის, ბორჩალოს, თბილისის და გორის მაზრებში, სადაც კალია მოდებულია 24.000 ჰექტარზე. გუშინ მიღებული ცნობებით ყარაიას რაიონში კალიამ დაფარა ნათესების უდიდესი ნაწილი.

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებას წინადადება მიეცა სასწრაფოდ გაგზავნოს რაზმები

ბიამანი და გოგირდი საკმაო რაოდენობითაა მიღებული, ისე, რომ ბაღ-ვენახების მავნებლებთან ბრძოლა წარმატებით იქნება ჩატარებული. ადგილობრივ ხელისუფლებას და აგრონომიულ ორგანიზაციებს წინადადება აქვს მიცემული მავნებლებთან ბრძოლა აწარმოონ მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით.

ვინაიდან მოსავლიანობის გასადიდებლად არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს მოსავლის მოწევას თავის დროზე და კულტურულ საშუალებებით, მიღებულია ზომები მაზრების უზრუნველსაყოფად საჭირო სამკალი, სათიბი და სალეწი იარაღ-მანქანებით.

ჯერ-ჯერობით მაზრებს შორის განაწილებულია 16 სალეწი მანქანა. აქედან გორის მაზრას მიეცა—4, თბილისის მაზრას,—4, კახეთის—5, ახალციხის, ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრებს—თითო-თითო.

რემედასის თბ. სამაზრო-საქალაქო კონფერენცია

გუშინ, საღამოს, პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა რემედასის თბილისის სამაზრო-საქალაქო კონფერენცია.

კონფერენცია გახსნა რემედასის თბილისის კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ი. ნაცვლიშვილმა.

შემდეგ არჩეულ იქნა საპატიო პრეზიდიუმი, სამდივნო და სამანდატო კომისია.

რემედასის ცეკას მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. თოდრიამ. მომხსენებელმა აღნიშნა ჩატარებული მუშაობის როგორც მიღწევები, ისე ნაკლი. მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რის შემდეგაც არჩეულ იქნა კომისია 5 კაცის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა ცეკას საანგარიშო მოხსენებასთან დაკავშირებით გამოიმუშაოს პრაქტიკული ღონისძიებანი რემედასის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

მეორე სხდომა შესდგება დღეს, დილის 10 საათზე, იმავე შენობაში.

ტყიბულის მაღაროების გადასვლა 6 საათის სამუშაო დღეზე

საქართველოს ს.მ.უ. საბჭოს სამთო განყოფილებასთან შესდგა თათბირი ტყიბულის მაღაროების ექვსი საათის სამუშაო დღეზე გადაყვანის შესახებ. წინად შემუშავებული გეგმით, ტყიბულის მაღაროების მუშები 6 საათის სამუშაო დღეზე უნდა გადასულიყვნენ 1928 წლის 1-ლ ოქტომბერს.

მემაღაროეთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ შეეკითხა ადმინისტრაციას—რატომ არ შესრულდა გეგმა, და წინადადება მისცა — დაჩქარდეს ექვსი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა.

როგორც ადგილების მოხსენებებიდან გამოირკვა, მაღაროებში არ განხორციელებულა სამუშაოთა მექანიზაცია და რაციონალიზაცია. ამას გარდა, უკვე დადებულია ახალი კოლექტიური ხელშეკრულება. ყველა ამის გამო ექვსი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა გაძნელებულია.

თათბირმა გადასწყვიტა, წინადადება მისცეს ტყიბულის მაღაროების ადმინისტრაციას—გამოარკვიოს მაღაროებში ექვსი საათის ნაწილობრივი შემოღების შედეგები. კრებამ დაადგინა, აგრეთვე, წინადადება მისცეს სამთო ტრესტს—სასწრაფოდ გამოარკვიოს სხვადასხვა ნაწილისა და კატეგორიის მუშების ექვსი საათის სამუშაო დღეზე გადაყვანის საკითხი. საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა გადაიდო ყველა აღძრული საკითხის გამორკვევამდე.

ა.-კ. კომუნივერსიტეტის სტუდენტთა მესამე გამოშვება

მისალმებები

სკ. პ. (ბ) ცეკასაგან

ახლად კურსდამთავრებმა სერიოზული და დაუღალავი მუშაობა აწარმოონ ამ.-კავკასიის ხალხებს შორის ეროვნული შუღლის საბოლოო აღმოფხვრისა, ინტერნაციონალური პროპაგანდის და პროლეტარული მასების აღზრდის საქმეში, სოციალისტური სამეურნეო ფორმების სოფლად ფართოდ გარდაქმნის საქმეში.

ის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, რომელიც თქვენ ამ.-კავკ. კომუნისტურ უნივერსიტეტში, არის მარტო საუკეთესო იარაღი სოციალიზმის მშენებლობასთან დაკავშირებული სიძნელეების დასაძლევად, არამედ მოგცემთ საშუალებას აწარმოოთ მკაცრი და დაუნდობელი ბრძოლა ყველა ანტიპროლეტარული მერყეობის წინააღმდეგ, ვინც არ უნდა იყოს ამ მერყეობის მატარებელი.

მუშათა კლასის ინტერესებისათვის, სოციალიზმის მშენებლობისათვის და კაპიტალისტური მტაცებლებისაგან საბჭოთა კავშირის დაცვისათვის მაღლა გეჭიროთ დროშა „26 კომუნარისა“, რომელთა სახელსაც ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი ატარებს.

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკა.

თბილისის კომიტეტისაგან

საქართველოს კომუნ. (ბ) პარტიის თბილისის კომიტეტი მხურვალე სალამს უძღვნის ამიერ-კავკასიის კომუნ. უნივერსიტეტის მესამე გამოშვებას.

ას ერთმა კაცმა გაიარა მარქსისტულ-ლენინური, თეორიტიულ-პრაქტიკული სკოლა. ისინი შეუერთდებიან სოციალიზმის აქტიური მშენებელთა რიგებს და უფრო შეუწყობენ ხელს კომპარტიისეულ მუშაობას სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში.

ამიერ-კავკასიამ, რომელიც წარსულში ეროვნული შუღლისა და მტრობის ასპარეზს წარმოადგენდა, თქვენის სახით ჰპოვა პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ინტერნაციონალური პოლიტიკის გამტარებელთა ახალი კადრი.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ა.-კ. კომუნისტურ უნივერსიტეტში კურსდამთავრებულნი წარმატებით გამოიყენებენ ადგილებზე თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში იმ გამოცდილებას და თეორეტიულ ცოდნას, რომელიც მათ შეიძინეს უნივერსიტეტის კედლებში.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი დარწმუნებულია, რომ კურსდამთავრებულნი მტკიცედ დარჩებიან იდეოლოგიური შეურიგებლობისა და ჩვენი დიადი პარტიის რიგების ლენინური სიწმინდის სადარაჯოზე და გადაჭრით იბრძოლებენ ყოველგვარი ანტილენინური გადახრის წინააღმდეგ.

თბილისის კომიტეტის მდივანი
მ. ასრიბეკოვი.

ჩვენ ახალი კადრები

ამიერ-კავკასიის კომუნური უნივერსიტეტის პირველმა ორმა გზამ ამ.-კავკასიის რესპუბლიკებს მისცა რიგი მუშაკები, რომლებსაც სავსებით ღირსეულად უჭირავთ საპასუხისმგებლო პოსტები. თავიანთ წინანდელ გამოცდილებას კლასის საქმისადმი ერთგულებას უშრეტ ენერგიას მათ დაურთეს თეორეტ. ცოდნა და ამ გზით პროლეტარიატის საუცხოვო მუშაკები შეიქმნენ.

როგორია ჩვენი უნივერსიტეტის კურს დამთავრებულთა მესამე გამოშვება? მესამე გამოშვების შემადგენლობის ანალიზი—სოციალური წარმოშობის, პარტიული სტაჟის, წარსულში მუშაობის გამოცდების მიხედვით საფუძველს გვაძლევს გადაუჭარბებლად ვსთქვათ, რომ მესამე გამოშვება ყოველ შემთხვევაში არ არის წინანდელზე ცუდი. რაც შეეხება თეორეტიულ ცოდნას, ამ მხრივ უკანასკნელი გამოშვება ბევრად უკეთესია პირველ და მეორე გამოშვებაზე.

სხვანაირად არც შეიძლებოდა: უნივერსიტეტი არაფრად არ ივარგებდა, რომ იგი სტკეპნიდეს ერთ ადგილზე, მიდიოდეს წინ სწავლა—აღზრდის მუშაობის საქმეში. მასწავლებელთა კადრი უეჭველად გაუმჯობესდა. იმ დისციპლინებისათვის, რომელთაც ვერ ვასწავლიდით სათანადო ლექტორების უყოლობის გამო, ეხლა უკვე გვყავს მასწავლებელთა შემადგენლობა. სწავლება მშობლიურ ენაზე, რაიც დიდად ადვილებს ცოდნის შეთვისებას, საგრძნობლად გაძლიერდა. სწავლების მეთოდები თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა იმის მეოხებით, რომ მეთოდიური საკითხების განხილვაში ჩაბმულ იქნა სტუდენტთა აქტივი.

კურსდამთავრებულთა ერთი ჯგუფი

კაბინეტების მუშაობა გაფართოვდა, მხარეთმცოდნეობის პრინციპი გაძლიერდა. განმტკიცდა შრომის დისციპლინა იმ ღონისძიებათა მეოხებით, რომელთა გატარებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა სტუდენტობა და მისი ორგანიზაციები.

ამგვარად, მესამე გამოშვება ყველა ნიშნების მიხედვით არ ჩამოუვარდება პირველ და მეორე გამოშვებას, ხოლო თუ შევადარებთ აკადემიურ მხარეს, დავინახავთ, რომ მესამე გამოშვება ამ მხრივ მაღლა სდგას როგორც პირველ, ისე მეორე გამოშვებაზე.

ჩვენ არ ვფარავთ, რომ ჯერ კიდევ ადგილი აქვს დეფექტებს, რომლებიც შეიძლება და კიდევაც უნდა აღმოიფხვრას უნივერსიტეტის ყველა მუშაკის და სტუდენტების შემდგომი ერთსულოვანი მუშაობის პროცესში, მაგრამ ამასთან ერთად უნდა აღვნიშნოთ ჩვენი „პროდუქციის“ ხარისხის გაუმჯობესებაც.

მიუხედავად ამისა, შეიძლება სწორედ ამის გამო, ახლად კურსდამთავრებულმა სტუდენტებმა ერთხმად, ბოლშევიკურად მიიღეს პარტიის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ კურსდამთავრებულთა 80 პროცენტზე არა ნაკლები უნდა წავიდეს სოფელ ადგილებში სამუშაოდ. ახლად კურსდამთავრებულებს აქვთ საკმაო ცოდნა და გამოცდილება იმისათვის, რომ ღირსეულად გაუძღვენ მუშაობას ამიერ-კავკასიის სამრეწველო ცენტრებში, მაგრამ მათ შეგნებული აქვთ სოფლის სოციალისტური გარდაქმნის მნიშვნელობა და ამიტომ მზად არიან დაიჭირონ ის პოსტები სოფლად, რომლებზედაც პარტია მათ მიუთითებს.

ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტებმა და განსაკუთრებით ახლად კურსდამთავრებულებმა ერთსულოვნად და გადაჭრით განდევნეს თავიანთი რიგებიდან ოპოზიციონერ-ტროცკისტების უმნიშვნელო ჯგუფი, მაგრამ არა ნაკლებ გადაჭრით, კატეგორიულად და მკაცრად დაგმეს მათ მემარჯვენე გადახრა და მასთან შემარიგებლობა, როგორც ძირითადი საფრთხე ეხლანდელ მომენტში.

ახლად კურსდამთავრებულები, რომლებიც შეიარაღებულნი არიან ცოდნით და მზად არიან ბოლშევიკური დაუნდობლობით დაიცვან ლენინური დროშა ყოველგვარი მერყეობისაგან მარჯვნივ და „მარცხნივ“, წარმოადგენენ იმ შეუდრეკელ გვარდიას, რომელსაც პარტიას დამშვიდებით შეუძლია მიანდოს საპასუხისმგებლო და მეტად მნიშვნელოვანი საქმე ეხლანდელ მომენტში—ახალი პოზიციების დაპყრობა სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ სოციალისტური შეტევის ფრონტზე.

ამავე დროს ამ.-კავკ. კომუნისტური უნივერსიტეტი თავისი კოოპერატიული კურსებიდან უშვებს სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის — მშენებელთა რაზმს. მათი ერთად ყოფნა ამ.-კავკ. კომუნისტური უნივერსიტეტის კედლებში დადებით გავლენას იქონიებს მათს შემდგომ საერთო მუშაობაზე სოფლად, რაც დიდათ შეუწყობს ხელს ა.-კავკასიის სოფლის სოციალისტური გარდაქმნას. და რომ ჩვენი სოფელი სოციალისტური გახდება, ამის თავდებია ისეთი კადრების მომზადება, როგორსაც ჩვენ დღეს უშვებთ.

მ. ლისოვსკი.

ახალ გამოშვებულთა შემადგენლობა

ა.-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი წელს დაამთავრა 101 სტუდენტმა და 2 თავისუფალმა მსმენელმა.

101 სტუდენტიდან ვაჟი არის 88, ქალი—13; ეროვნების მიხედვით: ქართველი —25; სომეხი — 25, თურქი — 20, ა.-კავკასიის სხვა ეროვნების — 13, რუსი — 15, და სხვა — 3; სოციალური წარმოშობით: მუშა—26, გლეხი — 62, მოსამსახურე — 8, სხვა — 5; პარტიულობით: პარტიის წევრი — 90, პარტიის წევრობის კანდიდატი — 6, კომკავშირელი — 5; უნივერსიტეტში, შესვლამდე 35 მათგანს ჰქონდა დაბალი განათლება; მუშაობის ხასიათის მიხედვით განიყოფებოდნენ შემდეგნაირად: 16 კაცი მოვიდა უშუალოდ წარმოებიდან, 41 მუშაობდა პარტიული ხაზით, 4 პროფხაზით, 12 საბჭოთა ხაზით, წითელი არმიიდან — 10 კაცი.

კურს დამთავრებულნი საერთო წესის თანახმად გაიგზავნებიან იმ ორგანიზაციების განკარგულებაში, რომლების მიერაც იყვნენ მოვლინებულნი. ამრიგად, საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას განკარგულებაში გაიგზავნება 35 კაცი, აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცეკას — 26, სომხეთის კ. პ. (ბ) ცეკას — 15, საკ. კ. პ. (ბ) ა.-კავკასიის საოლქო კომიტეტს — 4, კავკ. წ. დროშოსან არმიის პოლიტსამმართველოს — 8, ჩრდილო ოსეთის საოლქო კომიტეტს — 7, შავი ზღვის ოლქის კომიტეტს — 2, ყუბანის საოლქო კომიტეტს — 1, ა.-კავკასიის პროფკავშირთა საბჭოს — 2.

საზეიმო კრება

ამ.-კავკასიის კომუნივერსიტეტის სტუდენტთა მესამე გამოშვების აღსანიშნავად, 27 მაისს, საღამოს, ექვს საათზე კომუნივერსიტეტის კლუბში შესდგება საზეიმო კრება, რომელზედაც მიწვეულნი არიან სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

თბ. მაზრის ექიმთა მე-5 კონფერენცია

გუშინ, საღამოს სოლურ-ჰიგიენის აუდიტორიაში, თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების გამგის ამხ. ვ. ფანცხავას თავმჯდომარეობით, გაიხსნა თბილისის მაზრის ექიმთა მეხუთე კონფერენცია.

კონფერენციის პირველ სხდომაზე მოსმენილი იქნა ამხ. დეის მოხსენება თბილისის მაზრის სამკურნალო-სანიტარული ქსელის მუშაობის შესახ. 1928 წელში.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მაზრის ტერიტორიის გაფართოებასთან ერთად აუცილებელია სამკურნალო-სანიტარული ქსელის გაფართოება. საანგარიშო წელში მაზრაში მუშაობდა 5 საავადმყოფო (მანგლისის —20 საწოლი, აბულაღის — 15 საწოლით, გუნიაკის — 15 საწოლით, თიანეთის — 15 საწოლით და დუშეთის — 25 საწოლით); 38 საექიმო პუნქტი, 9 საფერშლო პუნქტი, 55 აფთიაქი, მანგლისის საბავშვო სანატორიუმი სოლარიუმით, იზოლიატორები ვაშლოვანის, აბულაღის და დუშეთის საბავშვო კლინიკებთან, 4 რაზმი (ორი ვენერიული, მალარიის და ერთი თვალის სნეულებათა) და მანგლისის პოლიკლინიკა.

მაზრის ხუთ საავადმყოფოში საანგარიშო წლის განმავლობაში გაიარა 2.843 ავადმყოფმა, აქედან 84 კაცი დაზღვეული იყო, 672 კაცი ღარიბი გლეხი, 56 სამხედრო პირი და დანარჩენი — 1.275.

მომხსენებელი აწვრილებით ახასიათებს როგორც თითოეული ამ დაწესებულების მუშაობას, ისე მაზრაში ჩატარებულ საექიმო მუშაობას დამომავალი წლის პერსპექტიულ გეგმას.

მოხსენების დამთავრების შემდეგ მომხსენებელმა პასუხი გასცა შეკითხვებზე. დღეს დილის 10 საათზე გაიხსნება კამათი ამხ. დეის მოხსენების გარშემო.

შაქრის გაცემის მოწესრიგება

შაქრის ბაზარზე შემჩნეულ არანორმალურ მდგომარეობის აღმოფხვრის მიზნით, ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულმა საქართველოში წინადადება მისცა კოოპერატიულ ორგანიზაციებს ჩაატარონ მშრომელი მოსახლეობის მიმაგრება კოოპერატიულ დუქნებზე. მშრომელი მოსახლეობის მიმაგრება დუქნებზე აწარმოებს პურის წიგნაკების მიხედვით. მშრომელ მოსახლეობას თვეში მიეცემა 1.300 გრამი შაქარი სულზე (ნორმა რჩება უცვლელად). შაქრის მიღება შეიძლება მთელი თვის განმავლობაში; ამასთანავე მთელი თვის ნორმა მიღებული უნდა იქნეს ერთბაშად. თუ ვინიცობაა თვის განმავლობაში მოქალაქემ არ წაიღო თავისი ნორმა, შემდეგ თვეში მას ის აღარ მიეცემა. მშრომელი მოსახლეობისათვის შაქარზე დატოვებულია ძველი ფასები: რაფინადი კილო 75 კაპ., ფხვნილი 63 კაპეიკი.

არა მშრომელ მოსახლეობისათვის გამოყოფილი იქნება სპეციალური კოოპერატიული დუქნები, საიდანაც არა მშრომელ მოსახლეობას მიეცემა სულზე 250 გრამი შაქარი. არა მშრომელ მოსახლეობისთვის შაქარზე დაწესებულია ორმაგი ფასი.

მუშკოოპს წინადადება მიეცა არა მშრომელ მოსახლეობისთვის გამოყოს ოთხი დუქანი შემდეგ რაიონებში: ავლაბარში, ვერაზე, პლეხანოვის პროსპექტზე და რუსთაველის პროსპექტზე; „ზაკტპო“-მ უნდა გამოჰყოს 3 დუქანი შემდეგ რაიონებში: სადგურის ქუჩა, დიდუბე და ლენინის რაიონი, ხოლო „ზაკვოენპო“-მ—1 დუქანი მუხრანის ქუჩაზე. კოოპერატიულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ ჩაატარონ მოსამზადებელი მუშაობა და 1 ივნისიდან განახორციელონ აღნიშნული დადგენილება.

შორს პარტიის რიგებიდან

წარმოების მავნებელი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა საკ. კომისიამ, გაარჩია საპნის ტრესტის მუშის, პარტიის წევრის გრიგოლ ლეონის ძე ასანიშვილის საქმე.

ასანიშვილს ბრალი ედება წარმოების ხელის შეშლაში. მან მანქანების შეკეთების დროს განზრახ შეამცირა მათი მუშაობის უნარიანობა, ვინაიდან მას რემონტისთვის დიდი თანხები არ მისცეს.

ამას გარდა ასანიშვილს მთელი წლის განმავლობაში არ გადაუხდია საწევრო გადასახადი.

სპეციალურმა კომისიამ დაადასტურა ასანიშვილის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები.

ცენტრ. საკ. კომისიამ დაადგინა: ასანიშვილი გარიცხულ იქნას პარტიის რიგებიდან წარმოების ხელის შეშლისათვის.

არაკომუნისტური ელემენტი

ქალაქის სასაკლაოს მუშა დიმიტრი ზურაბის ძე ჩუბინიძე, ყოფ. მენშევიკი (მსახურობდა მენშევიკების გვარდიაში) მიღებულ იქნა პარტიის კანდიდატათ 1926 წელს. თავის დროზე ჩუბინიძეს გამოეცხადა საყვედური ლოთობისა და არა-კომუნისტური ყოფაქცევისათვის. შემდეგ კი ჩუბინიძემ ხელი მიჰყო ხორცის სისტემატიურ ქურდობას.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკ. კომისიის დადგენილებით ჩუბინიძე გარიცხულია საქ. კომპარტიის (ბ) რიგებიდან ქურდობისათვის.

საზაფხულო სამხატვრო მუშაობა კლუბებში

ხელოვნების მთავარ მმართველობასა და საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას შორის მიღწეული იქნა შეთანხმება, რომლის ძალით ხელოვნების მთავარ მმართველობამ საზაფხულო კლუბებში სამუშაოდ უნდა შეადგინოს სიმფონიური ორკესტრი და ქართული სატირის თეატრი და უნდა გადადგას ნაბიჯები ქართული ესტრადის შესაქმნელად.

რაც შეეხება დანარჩენ მხატვრულ ძალების (ვოკალისტები და ინსტრუმენტალისტები) მოწვევას მუშათა კლუბებისათვის, ამაზე უნდა იზრუნოს ხელოვნების მუშაკთა საშუამავლო ბიურომ.

ამჟამად სწარმოებს სიმფონიური ორკესტრის ჩამოყალიბება საქ. ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოების წევრებისაგან. ორკესტრში განზრახულია მოწვეული იქნეს 47 კაცი (აქედან 12 კაცი მოწვეული იქნება აკადემიური ორკესტრიდან). დირიჟორებად მოწვეულნი არიან ი. ფალიაშვილი, დ. არაყიშვილი, ა. გველესიანი და ახალგაზრდა დირიჟორი მიქელაძე. ეს ორკესტრი იმუშავებს დაახლოვებით ერთი თვე, შემდეგ კი ჩამოვა აკადემიური ორკესტრი (რომელიც ამჟამად საოპერო კოლექტივთან ერთად მოგზაურობს დასავლეთ საქართველოში) და შედგენილი იქნება ერთი მძლავრი ორკესტრი, რომელშიაც შევლენ ახალგაზრდა მუსიკოსებიც. განზრახულია საგასტროლოდ მოწვეულნი იქნენ რუსეთის გამოჩენილი დირიჟორები.

რაც შეეხება ქართულ სატირის თეატრს, კლუბებში სამუშაოდ გამოყენებული იქნება ქუთაისის სატირის თეატრი, რომელიც ახლო ხანში ჩამოვა თბილისში.

გარდა ამისა, ხელოვნების მუშაკთა საშუამავლო ბიურო კლუბებში სამუშაოდ გაგზავნის ადგილობრივ მხატვრულ ძალებს (ოპერის, დრამის და ბალეტის მსახიობებს) და ლენინგრადიდან და მოსკოვიდან მოიწვევს ესტრადის საუკეთესო ძალებს.

გარდა ამისა კლუბებში სამუშაოდ მოწვეულია ლენინგრადის პროფესიონალური თეატრი „სტროიკა“ და თითქმის ყველა ის თეატრები, რომლებიც ამ მოკლე ხანში საგასტროლოდ ჩამოვლენ თბილისში (ვ. მაქსიმოვის ანსამბლი, ზ. ალექსი-მესხიშვილის ანსამბლი, ე. უიხარევა და სხვები).

საზაფხულო სეზონი დაიწყო თბილისის ყველა მუშათა კლუბებში.

ორშაბათს 27 მაისს საღამოს 6 საათ. მუშათა თეატრში (ყორისის ქ.)

შესდგება

თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა დეპუტატების მე-7 მოწვევის საბჭოს მორიგი მეოთხე პლენუმი

საბჭოს წევრების კანდიდატებთან ერთად

დღის წესრიგი:

1) ახალი საბინაო ტარიფის შესახებ.
2) მიმდინარე საკითხები.

იქვე ერთი საათით ადრე ე. ი. 5 საათზე იკრიბება საბჭოს წევრებისა და კანდიდატების კომფრაქცია.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი

ორშაბათს, 27 მაისს, საღამოს 7 საათ. პროფსაბჭოს მცირე დარბაზში

შესდგება

ამიერ-კავკასიის პირველი თათბირი წიგნით ვაჭრობის შესახებ

თათბირს იწვევს ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახ. კომისარიატთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა კომიტეტი.

დღის წესრიგში სდგას:

1) კულტურული რევოლიუცია და წიგნის გავრცელების საკითხი (ამხ. იოინოვის მოხსენება).
2) მოხსენებები ადგილებიდან.
3) წიგნით ვაჭრობის საკითხები და წიგნის სავაჭრო ქსელის რაციონალიზაცია. (მომხსენებელი ამხ. ადნიაშვილი).
4) კოოპერაციის მონაწილეობა წიგნით ვაჭრობაში (მომხსენებ. ამხ. ვ. კანდელაკი).
5) წიგნის გავრცელებისა და პროპაგანდის მეთოდები (მომხს. ამხ. კორნეევი).
6) წიგნის მუშაკთა კადრების მომზადების შესახებ.
7) სრულიად საკავშირო თათბირის შესახებ წიგნით ვაჭრობის საკითხებზე.
8) მიმდინარე საქმეები.

ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე **ლ. ადნიაშვილი.**

დავეხმაროთ პროლეტარულ სტუდენტობას

ამხ. ფილ. მახარაძეს პროლეტარულ სტუდენტთა დასახმარებლად შემოაქვს 20 მანეთი.

ამხ. რაჟდენ დუმბაძის გამოწვევით შემომაქვს 10 მანეთი და ვიწვევ: ანანია გრიგოლიას, გიორგი გაგლოევს, ისიდორე თოხაძეს, და ნესტორ ქაშაკაშვილს.

დავით ჩხეიძე.

ამხ. ვანო სტურუას გამოწვევით შემომაქვს ხუთი მანეთი და ვიწვევ საქართვ. სახ.-სამ. ბანკის გამგეობის წევრებს ამხ. ნ. კალატოზოვს, ნ. ნასიძეს და ი. მეხაბდეს.

ქ. ჩხენკელი

შემომაქვს ათი (10) მანეთი ვიწვევ: ქ. ლორთქიფანიძეს, ალექსანდრე ივ. კანდელაკს, ვესელოვზოროვს, გიგოლოვს, ბარნაბიშვილს.

ალ. წულუკიძე.

დავით გიორგაძის გამოწვევით შემომაქვს 3 მანეთი.

გ. თათეიშვილი.

ამხ. ს. კობალაძის გამოწვევით შემომაქვს 3 მანეთი და ვიწვევ: ალ. ქათამაძეს, არტემ სიკინჭელაშვილს, ნოე ბარკალაიას, დავით ღვენეფაძეს, სერაფიონ მარგველაშვილს, ლავრენტი დადულაშვილს, ტერეზა კახიანისას, ანნა რუსაძისას, ლიმფა აბაშიძეს, ხახანაშვილს.

ვარ. ავალიანი.

ამხ. ნ. ბახტაძის და პროკ. მეგრელიშვილის გამოწვევით შემომაქვს ათი მან (10 მან) და ვიწვევ: გიორგი ელისაბედიშვილს, ეპიფანე ალშიბაიას, ბიქტორ თევზაიას, დიომიდე თოფურიძეს, ანდრო ბუაჩიძეს, ალექსანდრე ჭუმბურიძეს, გაიკ სარუხანოვს, გაბო ოქროპირიძეს, ირაკ. მიქელაძეს, ლუარსაბ კარბელაშვილს.

არტემ ჰვინიკაძე.

ამხ. დავით გიორგაძის გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ: მიშა შუბლაძეს, ნინა კოშკაძეს, შოთა მანაგაძეს, მაქსიმე მიქაძეს, გრიშა ჭანტურიას, ვალოდია კაჭახიძეს, ალექსანდრე შალიკიანს, ბესარიონ ნინიძეს და რომან ლომინაძეს.

კოკი რაშიშვილი.

შემომაქვს 3 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ექიმებს: ანდრიაძეს, ს. მდივანს, პარმას, ილ. ლორთქიფანიძეს და ნანეიშვილს.

ექ. გ. დიდებულიძე.

შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: ქეთო სიხარულიძეს, მარო სიხარულიძეს, ირინე ტოროშელიძეს, თ. ტაბლიაშვილს, ქ. თევზაძეს, კ. გეგუჩაძეს, რ. კიკიას, ი. წულაძეს, ნ. ბერძნიშვილს.

მე-9 შრ. სკ. მოწ. **გ. ძამანაშვილი.**

შემომაქვს მანეთი და ვიწვევ: გიორგი ძამანაშვილს, გ. თოდაძეს, შ. გოგიჩაიშვილს, გ. ხვედელიძეს, ი. გძელიშვილს.

მე-9 შრომის სკ. მოწ. **კ. ძამანაშვილი.**

ჟუჟუნა ადამიძეს გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ: არჩუაძე მარგოს, მხეიძე ჯულეტას, პიროველ შურას, გოგოლაშვილს პეტრეს, ჭიჭინაძე თამარას და გოგოლაშვილ ლენას.

ცაცა მატეუზოვა.

მიშა შავთვალიშვილის გამოწვევით შემომაქვს 3 მანეთი და ვიწვევ: ლადო გეგეჭკორს, კოტე მაჩაბელს, რეზო ციციშვილს და სტეფანე პაპისოვს.

დავით სიმონიშვილი.

პროლეტარულ სტუდენტობის სასარგებლოდ შემომაქვს 30 მან.

ივ. გომართელი.

ამხ. შიო დოლიძის გამოწვევით შემომაქვს 5 მან. და ვიწვევ: ამხ. გრიშა აბაშიძეს, რომან ერისთავს, კოტიკო ჩიგოგიძეს, გრიგოლ მგალობლიშვილს, მელიქს ქრისტეფორს და ლაზარე ბაბაევს.

დათიკო პაიჭაძე.

ამხ. შიო დოლიძის გამოწვევით შემომაქვს 5 მან..

ესტატე თარხნიშვილი.

შემომაქვს 1 მანეთი და მე-15-ე შრ. სკოლიდან ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: პ. დანელიას, ე. ვაჩაძეს, ი. ხუნდაძეს, გ. შავგულიძეს, ა. მგელაძეს, ბ. გაბუნიას, დ. რონიშვილს, გივი ჟღენტს, უ. არონიშიძეს, ვ. თოფურიძეს.

მოწაფე—**ნინო** ბესარიონის ასული **ნინუა.**

პროლეტარულ სტუდენტთა სასარგებლოთ ექ. აბაკელიას შემოაქვს ათი მან. (10 მ.).

გუშინ პროლეტარულ სტუდენტთა დასახმარებლად „კომუნისტი"-ს კანტორაში შემოვიდა 118 მან. სულ წინეთ შემოსულთან ერთად 1.489 მან. 17 კაპ.,

ქრონიკა

ჩაის საქმის შესწავლა სპარსეთში

რადგან სპარსეთში ჩაის კულტურის ინტენსიური განვითარება დაიწყო, „საქართველოს ჩაის" საზოგადოებამ საჭიროდ სცნო საზოგადოების ორი მუშაკის გაგზავნა სპარსეთში ჩაის საქმის გასაცნობად. (ადს).

თბილისის საფინანსო მეურნეობისა და ბიუჯეტის გამოკვლევა

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექცია დაინტერესებულ უწყებების წარმომადგენლებთან ერთად შეუდგა ქ. თბილისის საფინანსო მეურნეობისა და ბიუჯეტის გამოკვლევას. გამოკვლევის ამოცანას შეადგენს ქალაქის ფინანსიური მდგომარეობის გამორკვევა მისი ბიუჯეტის ზრდისა და განვითარების შესწავლა სახალხო და ადგილობრივი მეურნეობის ზრდასთან დაკავშირებით და სხვა. აძლევს რა უდიდეს მნიშვნელობას ამ გამოკვლევას, საქ. მუშგლეხინი სთვლის, რომ ამ ამოცანის შესრულება შესაძლებელია მხოლოდ დაინტერესებულ ორგანიზაციების მუშაკთა, წარმოებაში ჩაბმულ მუშათა და ქალაქის საბჭოს სექციების წევრთა აქტიური მონაწილეობით ამ საქმეში, ამიტომ მოეწყობა მუშათა ჯგუფი, რომელშიც შევლენ ქალაქის საბჭოს სათანადო სექციების, მუშა - მოსამსახურეთა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციის წარმომადგენლები. გამომკვლევათა მუშაობის გასაადვილებლად გამოცემულია სპეციალური პოპულიარული კითხვების ფურცელი. მუშა - მოსამსახურეთა გამოყოფა გამოკვლევის ჩასატარებლად ხდება წარმოების ადმინისტრაციასთან და ადგილკომთან შეთანხმებით.

1929 წლის სესხი

1929 წლის სესხის გავრცელება ა.-კავკასიაში დიდი წარმატებით მიმდინარეობს. დღემდე გასაღებულია 341.000 მანეთის ობლიგაცია. ვინაიდან ობლიგაციებზე დიდი მოთხოვნილებაა, მოსკოვიდან გამოთხოვილია ობლიგაციების ახალი პარტია.

57.925 მანეთის მოგება

სახელმწიფო ბანკმა 14 მაისიდან 25 მაისამდე გასცა 2.123 მოგება — 57,925 მანეთის რაოდენობით.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **პოლიკლინიკა.** ბორჯომში პოლიკლინიკის ასაგებათ გადადებულია 20.000 მან.

◆ **კიბოს სამკურნალო ინსტიტუტი.** დღეს დილის 1-ლ საათზე ჯანმრთელობის კომისარიატში შესდგება სპეციალური თათბირი, რომელიც განიხილავს კიბოს სამკურნალო ინსტიტუტის დაარსების საკითხს.

◆ **ახალი საავადმყოფო.** ტყვარჩელში მუშათა ახალ საავადმყოფოს ასაგებად გადადებულია 50.000 მან.

მიწად-მოქ. სახ. კომისარიატში

◆ **მიწად-მოწყობა.** მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატმა ახალქალაქის მაზრაში გაგზავნა მიწად - მომწყობთა ჯგუფი, რომელიც წელს აღნიშნულ მაზრაში მიწად - მოწყობას ჩაატარებს 16 სოფელში.

◆ **ახალი ტყე.** სატყეო განყოფილებამ ალაზნის სატყეო აგარაკში ახალი ტყე გააშენა 5 ჰექტარზე.

სხვადასხვა

◆ **პიონერთა საზაფხულო დასასვენებელ** პუნქტების მოსაწყობათ სოც. უზრუნველყოფის კომისარიატმა გადასდო 1.500 მანეთი.

სამშაბათს, ა.-წ. 28 მაისს, საღამოს 7 საათზე მუშათა სასახლის ახალ დარბაზში შესდგება გზათა სახალ. კომისარიატის რკინის გზების ცენტრ. საამშენებლო განყ. უფროსი ინჟ. ლაზარევსკის მოხსენება.

დღეს დილით საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ინიციატივით სამთავისის კომუნაში კომუნის ყოფა-ცხოვრებისა და მუშაობის გასაცნობად მიემგზავრება კომკავშირელ მწერალთა წრის ერთი ჯგუფი.

◆ **სამხედრო გზაზე გუდაურამდე** საავტომობილო მიმოსვლა გაიხსნა გუშინ, კავკავამდე მიმოსვლა გაიხსნება 1-ლ ივნისიდან.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

პროფკავშირების თეატრალური ოლიმპიადა

30 მაისს იწყება პროფკავშირების თეატრალური ოლიმპიადა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ პლეხანოვის და ორჯონიკიძის სახელობის კლუბების, მელითონეთა მბეჭდავთა, და მეტყავეთა კლუბების ქართული, რუსული და სომხური წრეები. ოლიმპიადა ჩატარებული იქნება მელითონეთა კლუბის (მუშათა ცენტრ. კლუბი) შენობაში.

პირველ დღეს წარმოდგენს გამართავს კულტგანყოფილებასთან არსებული თვითმოქმედი თეატრი. ქართულ ენაზე წავა კურდიუმოვის პიესა „რკალში".

ხელოვნების მთავარ მმართველობის მოხსენება თეატრების 1928-29 წლის სეზონის შესახებ, რომელიც უნდა გამართულიყო 28 ივნისს კლუბების სამხატვრო აქტივის კრებაზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში, თეატრალური ოლიმპიადის დაწყების გამო აღარ შესდგება.

ოლიმპიადა გაგრძელდება 15 ივნისამდე. 15 ივნისს გაიხსნება პროფკავშირების თბილისის საქალაქო სამხატვრო თათბირი.

◆ **პროლეტსტუდენტთა სასარგებლოდ;** ხვალ, ორშაბათს, ოპერის თეატრში ქუთაის — ბათომის თეატრის მიერ წარმოდგენილი იქნება „კაკალ გულში".

ახალი ბინის ტარიფის გარშემო

გუშინ, საღამოს [illegible] ცენტრალურ კლუბში შესდგა თბისაბჭოს კომუნალურ სექციის და ადმინისტრაციულ-უფლებრივ სექციის გაერთიანებული სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა ახალი საბინაო ტარიფის პროექტი.

ახალი საბინაო ტარიფის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. სტიძემ. მომხსენებელმა სხდომას განუ[illegible] პროექტის ყოველი მუხლი და შემდეგ იმ მიზეზებს, რომლებმაც გამოიწ[illegible]ბინაო ქირის გადიდება.

დღემდე არსებული ტარიფი იმდენად მცირეა, რომ შეუძლებელია არა თუ სახლების საფუძვლიანი[illegible]თება, არამედ მიმდინარე ხარჯების დაფ.

ამის გამო სახლ[illegible]ობა კატასტროფიულ მდგომარეობაშია, სახლები საჭიროებენ საფუძვლიანთებას და მოვლას. ახალი ტარიფი საშუალებას იძლევა სახლები დავიცვათ ამ განადგურებისაგან.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო კერძო სახლების მდგომარეობას აღნიშნა, რომ იმ მიზნით რათა კერძო სახლებში ბინის ქირიდან შემოსული თანხები უწინარეს ყოვლისა მოხმარდეს სახლებს, თვით მდგმურებისაგან დაარსებული იქნება საკონტროლო კომისიები. კომისიები მეთვალყურეობას გაუწევენ ქირიდან შემოსულ თანხების სახლებზე მოხმარების საქმეს, თუ სახლის მეპატრონე ქირას არ მოახმარს სახლის შეკეთებას, ამ შემთხვევაში კომისიები სათანადო ორგანოების საშუალებით მიიღებენ შესაფერ ზომებს.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. კამათში გამოსული ამხანაგები უმთავრესად შეეხენ პროექტის ზოგიერთ პუნქტების ბუნდოვანობას და შემოსულ ქირის მიზანშეწონილად და დანიშნულებისამებრ მოხმარების საკითხს. აღნიშნული იქნა, რომ სახლების შეკეთება ჭიანურდება იმიტომ კი არა, რომ ხშირად საამისო საშუალებები არ არის, არამედ სახლის მმართველობათა უთავბოლობის გამო. უფრო მეტი თანხები იხარჯება სახლების შეკეთების პროექტების შედგენაზე, ვიდრე თვით სახლის შეკეთებაზე. ამასთანავე შეკეთება სწარმოებს ზერელედ, რადგან არ არის მტკიცე კონტროლი.

შემდეგ აღნიშნული იქნა, რომ 15—20—25 ოთახიანი სახლები დაუბრუნდათ კერძო მეპატრონეებს, რომლებიც სახლებს არ უვლიან და იმავე დროს ეწევიან მათ მტაცებლურ ექსპლოატაციას.

საერთოდ კამათში გამოსული ამხანაგები იწონებდნენ პროექტს და მოითხოვდნენ მის ცხოვრებაში დაჩქარებით გატარებას.

გურიის ნავთი

გურიიდან დაბრ. საქართველოს ს.მეურ. საბჭოს სამთო განყოფის გამგის მოადგილე ინჟ. ყიფშიძე, რომელმაც გურიის ნავთიან ადგილებში დაათვალიერა საწარმოო სამუშაოები. ინჟინერ ყიფშიძის სიტყვით, ამჟამად სალდელმა (ბურღმა) [illegible] მეტრს მიაღწია და უკვე შენიშნულია [illegible] და გაზები. ფიქრობენ, რომ 650 მეტრ. სიღრმის ჭაბურღილი წმინდა ნავთის შადრევანს მოგვცემს. (ადს).

ჯვარი—მესტიას გზის მშენებლობა

ხაიში, 20 მაისი. დაიწყო ჯვარი-მესტიას გზის მშენებლობა. ბეგარაზე გამოწვეული გლეხობა მუშაობას შეუდგა დიდი ხალისით.

დავლიანი.

პროფ. ანიულაშვილის გამოგონება

თბ. სახელმწიფო კონსერვატორიის პროფ. ანა ივანეს ას[illegible]ლაშვილმა გამოიგონა ფორტეპიანოს საპ პედალი.

დღემდე მცირეწლოვანებს არ შეეძლოთ როიალის ან პიან პედალით სარგებლობა, ვინაიდან ფეხები ვერ სწვდებოდნენ მას..

ეს გარემოება ძნობლად აფერხებდა მათთვის როიალზე პიანინოზე დაკვრის სწავლებას; პედალის გამოყენებას ისინი ეჩვეოდნენ მხოლოდ ზრდის შემდეგ.

რომ პედალის ყენების პრაქტიკული ცოდნა ბავშვებისა თავიდანვე აუცილებელია, ამას ამტკიცებს ისეთ გამოჩენილ მუსიკოსთა აზრი, როგორიც არიან რახმანინოვი, არენსკი, ეგოროვი და სხ.

პროფ. ა. თულულის აპარატი ამ რამოდენიმე ხნის წინამოსწავლეს სახ. კონსერვატორიის დარბაზში მუსიკალურ სასწავლებლების პედაგოთა და სპეციალისტების თანდასწრებით მოცდამ ფრიად კარგი შედეგები გამოიღო.

გამოგონება მოწონებულია საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ საგამომგონო კომიტეტის მიერ.

რ.

აგრორწმუნებულთა ინსტიტუტი

საქართველოს მიწადმოქმედების სახ. კომისარიატი მაზრებში აგრორწმუნებულთა ინსტიტუტს ჰქმნის. თითეულ ას კომლზე არჩეული იქნება ერთი აგრორწმუნებული.

ფიზკულტურა და სპორტი

ფეხბურთი

დღეს, 26 მაისს, გაიმართება პირველი კატეგორიის გუნდების ორი კალენდარული შეჯიბრება.

4 საათზე „დინამო"-ს სტადიონზე თამაშობენ მელითონეები და მედსანშრომის მუშაკები, ხოლო 6 საათზე ლენინის სახელობის სტადიონზე ერთმანეთს ეჯიბრებიან ადგილობრივ ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის გუნდი (ყოფ. გემო-კვების მუშაკთა გუნდი) და პოლიტეხნიკური ინსტიტუტის პირველი გუნდი.

ბათომის ფეხბურთელთა გუნდის მოწვევა

ფიზკულტურის თბილისის საბჭოს განზრახული აქვს რამოდენიმე შეჯიბრების ჩასატარებლად მოიწვიოს ბათომის რკინისგზელთა გუნდი, რომელიც ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად ითვლება ბათომში.

რკინის გზებზე

ფერად ლითონების მომჭირნეობით ხარჯვა

ა.-კ. რკ. გზის გეობამ გასცა განკარგულება გზაზე ფე ლითონების მომჭირნეობით ხარჯვის ახებ.

მთელი რიგი ნაწები, რომელთაც აქამდე ამზადებდნენ ფერადი ლითონებიდან, ამიერიდან დაამზადებენ სხვა ლითონებიდან.

საწარმოო ერთეულების უფროსებს, დავალებული აქვს [illegible]ადი პასუხისმგებლობის ქვეშ, — სასტიკი კონტროლი გაუწიონ ფერადი ლითონებისარჯვას.

სამი დღით ადრე

ა.-კ. რკ. გზის ფინანსო - საანგარიშო განყოფილებამ დანიშნულ დროზე სამი დღით ადრე შეადგინა გზის ფინანსიური მდგომარეობის წლ. პირველი ნახევრის ანგარიში და საჰაერო ფოსტით გადაუგზავნა რკინის გზების ცენტრალურ სამმართველოს.

ამის შესახებ ეცნა აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთის (უკრაინა) რკინის გზის საფინანსო - საანგარიშო განყოფილებას, რომელიც ამ საქმის დანიშნულ დროზე შესრულებისათვის ა.-კ. რ. გზის საფინანსო - საანგარიშო განყოფილებამ გამოიწვია შეჯიბრებაში.

ხაზზე მომუშავე ადმინისტრაციის უფლებების გაფართოება

ა.-კ. რკ. გზაზე გამოცემულია და ცხოვრებაში ტარდება დებულება ხაზზე მომუშავე გზის ადმინისტრატიული პერსონალის უფლებების გაფართოების შესახებ.

ახალი დებულების თანახმად, ხაზზე მომუშავე ადმინისტრატორს უფლება ეძლევათ ადგილებზე დამოუკიდებლად გადასწყვიტონ ისეთი საკითხები, რომელთა გადაწყვეტისათვის მათ აქამდე გზის გამგეობისათვის უხდებოდათ მიმართვა.

ზედმეტი ხარჯები ექსპლოატაციაში

ქარალისა-
ი (ჟურნა-
ამ.-კავკ. რკ. გზის გამგეობამ გავაა—პაკსი
დაამტკიცა გზის 1927—28 წლის ავტორი
ტაციო ანგარიში.
შემოსავალი საექსპლოატაციო და აშენებ-
მთელი წლის განმავლობაში უდრიშქმნა. ვი-
მანეთს, ხოლო გასავალი 69.272 ლია ბრძო-
ვარდა ამ თანხისა ახალ და აღმდგამარჯვების
მუშაოებზე დახარჯულა 18.778.7 ამაგიეროთ,
განსაკუთრებული კრედი ების სასთვის თან-
მანეთი. ა ბოლოს
დეფიციტი გზის საექსპლოატ ეგობას რეა-
ღრიცხვით განისაზღვრება 6.842
ხარჯთ - აღრიცხვით გათვ რგია განავი-
2.231.034 მანეთის ნაცვლად. საბჭოთა კავ-
ზედმეტი ხარჯების გამომწვევ ნ დაკავში-
ითვლება: ხარჯთაღრიცხვის ნებით ანტი-
ნაწილში გათვალისწინებული ად. ამასთან
კრებლობა, საექსპორტო საქო ისეთი ფაქ-
ვის ტარიფის სიმცირე, ს კონფისკაცია
ხარჯების სიდიდე და სხვ. მანის ბანკირ-
გზის გამგეობამ სცნო, რო კრედიტორთა
ციო ხარჯების შემცირების რომელიც,
ლი შედეგები არ არის საკმა ტყვით, „მორა-
მო მან გზის ყველა ადმინისტ პალოს ხელშე-
რნეო ერთეულებს დაავალა
საექსპლოატაციო ხარჯების
რებისათვის, მეურნეობის 5 ერთად, საერ-
შრომის ნაყოფიერების აწე იხინეს სხვა სა-
ზე საკრედიტო დისციპლინ საბჭოთა
ამასთანავე აუცილებლად მსოფლიოს მშვი-
ქველებულ მოწყობილობამშრომლობისაკენ.
მპის გაძლიერება, მეორე ილებით შევეხები
დაჩქარება, გზის უზრუნველში.
ორთქლმავლებით და სხვა ოლიტიკა მდგომა-
ორთქმავლების ლგვარი ლონის-
გუშინ, სადგ. ევლახ სტებია ჩვენ-
ერთმანეთს დაეჯახა ორი ძალებმა და
ერთი ორთქლმავალი შეგვენარჩუნებია
ვარდა. ამ შემთხვევის აუცილებელი წი-
მთელ რიგმა მატარებლი მშენებლობი-

სასამართლო

ხულიგანი ნაგანით

თბილისში არის ხულიგანთა ერთი ჯგუფი, რომლის თავიდან მოშორება რატომღაც არ ხერხდება(!) მიუხედავად იმისა, რომ მრავალჯერ ყოფილან ისინი გასამართლებულნი. ზოგ მათგანს რამდენიმე წლობით პატიმრობა მიესაჯა, ზოგს—გადასახლება საქართველოს ფარგლებიდან. სასამართლო ორგანოები უსჯიან ხულიგნებს მკაცრ სასჯელს, გზავნიან რამდენიმე წლით გამასხლში, მაგრამ მათ ჰყავთ „ნათლი მამები", რომელთა შემწეობით ისინი სულ მოკლე ხანში თავს აღწევენ პატიმრობას და ისევ დათარეშობენ თბილისის ქუჩებში.

თავაშვებულ ხულიგანთა ამ ჯგუფს ეკუთვნის გიორგი ლევანისძე მუჩაიძე, რომელიც გუშინ გაასამართლა თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლომ.

21 იანვარს, „ძმა-ბიჭების" კამპანია ამოვიდა ღვინის სარდაფიდან და საშინელი ღრიალით მოედო კარლ მარქსის მოედანს.

მთვრალ კამპანიას წინ მოუძღვებოდა მუჩაიძე. მას შორი-ახლო მოჰყვებოდა ხულიგნების მამამთავარი ცნობილი კოლია გეგეჭკორი, რომელსაც, როგორც ჩვენს მკითხველებს ეხსომებათ, სულ რამდენიმე თვის წინ სასამართლომ ხულიგნობისათვის მიუსაჯა 2 წლით პატიმრობა და სასჯელის შემდეგ 3 წლით საქართველოს ფარგლებიდან გადასახლება. სასჯელი დარჩა ქაღალდზე და გეგეჭკორი განაგრძობს თავის „ხელობას", რაზედაც გვინდა მივაქციოთ სათანადო ორგანოს ყურადღება.

ხულიგნები ხელში ატრიალებდნენ რევოლვერებს. (ვინ მისცა ამ გარეწრებს რევოლვერის ტარების უფლება?!).

მოქალაქეები დაფრთხნენ. მოედანზე იდგა ერთი ცალფეხა მედაირე „ვაგანა", რომლის სახე არ მოეწონა მუჩაიძეს, მან მედაირეს გაჰკრა მუჯლუგუნი და ქვაფენილზე გადააკოტრიალა.

მე-7-ე სამილიციო უბნის უფროსი მამალაძე ხედავს ამ სურათს და იმის მაგიერ, რომ გალეშილი ხულიგნები დააპატიმროს და კომისარიატში გაგზავნოს,—თხოვნით მიმართავს მათ: „**მიბრძანდით სახლში**".

როცა მუჩაიძემ მაგრად შეურაცხყო უბნის უფროსს, უკანასკნელმა ჰკადრა: „წამობრძანდით კომისარიატში", მაგრამ საქმეში ჩაერია კოლია გეგეჭკორი, რომელსაც საერთოდ სჩვევია მილიციელებთან საქმის „შინაურულად" მოგვარება. ცალფეხა მედაირე კიდევ ქვაფენილზე ეგდო, როცა კოლიამ ხულიგანსა და ხელისუფლების წარმომადგენელს შორის ჩამოაგდო „ზავი".

„ძმა-ბიჭებმა" სჭექეს მაღალი სიმღერა და ღრიალით გაუდგნენ გზას. მოქალაქეები აღშფოთდნენ მილიციის წარმომადგენლების უმოქმედობით და პროტესტით მიმართეს მათ. უბნის უფროსი იძულებული გახდა მიეცა განკარგულება ხულიგნების დაპატიმრების შესახებ. უფროსმა ხულიგნების წინააღმდეგ გაგზავნა მილიციელი მუმლაძე, რომელიც კანწისკვრით გამოისტუმრა მუჩაიძემ. უფროსმა მოხსნა სემაფორთან მდგომი მილიციელი კუხიანიძე და გაგზავნა დასახმარებლად. თვითონ გაჩერდა სემაფორთან.

კუხიანიძესაც ლანძღვა-გინებით შეხვდა მუჩაიძე, მაგრამ მილიციელი მაგრად დაუხვდა. სწვდა ხულიგანს ქურქში და სცადა მისი ძალით წაყვანა.

მუჩაიძემ იძრო ნაგანი, გადადგა გვერდზე და მილიციელების მიმართულებით გაისროლა. ტყვია მოხვდა სემაფორს, რომელთანაც იდგა უბნის უფროსი მამალაძე. ხულიგანმა უფრო მიიმარჯვა რევოლვერი, გამოუმიზნა მილიციელებს, მაგრამ ერთ-ერთმა მისმა ამხანაგმა ხელი ჰკრა ლულას და [illegible] უკანასკნელი ტყვია ჰაერში წავიდა.

ხულიგან მუჩაიძეს აართვეს რევოლვერი და დიდი ბრძოლის შემდეგ, როგორც იქნა წაიყვანეს კომისარიატში, სადაც ხულიგ[illegible] გაკავებულმა მუჩაიძემ კიდევ მი[illegible] ერთი წიხლის ჩარტყმა უბნის უფროსისათვის.

გიორგი მუჩაიძეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით. სასტიკი იზოლიაციით.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე ამხ. კუპრაშვილი, სახალხო მსაჯულები: დავიანცი და მირიმანოვა, პროკურორი—ძამიძე, მდივანი—მერკვილაძე.

გარყვნილების ბუდე

თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლომ ამხ. რ. კალანდაძის თავმჯდომარეობით გაასამართლა მოქ. ვერა კალინინა, რომელსაც სადგურის ქ. № 32 თავისი ბინა გადაქცეული ჰქონდა გარყვნილების ბუდეთ, სადაც თავს იყრიდნენ როსკიპები და ზნედაცემული მამაკაცები.

კალინინას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით.

გერ.

შემთხვევები

23.000 მანეთის გაფლანგვა

თბილისის შრომის ბირჟასთან არსებულ გაერთიანებულ შრომის კოლექტივების სამმართველოში ინკასატორათ მსახურობდა პავლე გვეტაძე.

მას დავალებული ჰქონდა სხვადასხვა ორგანიზაციებიდან და შრომის კოლექტივებიდან ყოველდღიურათ ფულის შეგროვება. მას შეეძლო დღეში შეეკრიბა დაახლოებით 5.000 მანეთამდე, მაგრამ უკანასკნელ ხანებში სხვადასხვა მომიზეზებით სალაროში შეჰქონდა მხოლოდ 200—300 მანეთი.

15 მაისს, გვეტაძემ მიიღო ჩეკი ბანკიდან 6.000 მანეთის გამოსატანად.

ჩეკის მიღების შემდეგ გვეტაძე სამსახურში აღარ გამოცხადებულა.

დაინიშნა რევიზია, რომელმაც აღმოაჩინა 23.000 მანეთი დანაკლისი. დაგროვილ მასალების მიხედვით გაფლანგული მეტი უნდა იყოს.

ამ საქმეზე ჯერ - ჯერობით დაპატიმრებულია სამმართველოს მთავარი ბუღალტერი გოგუაძე.

დაჭრა

„თეთრ დუქანში" დავით ნახუცრიშვილ-
სათვის.

მშვიდობიანობის საქმის ახეთი მდგომარეობისა და ომების მზადების ფონზე განვითარდა კამპანია, რომელიც დაკავშირებული იყო კელოგის პაქტთან. როცა წამოვაყენეთ წინადადებანი განიარაღების შესახებ და ჩვენდამი თანაგრძნობის ხმა მძლავრად გაისმა ყველა ქვეყანაში, ბურჟუაზიულ მსოფლიოს, თავისთავად ცხადია, არ შეეძლო არ მიემართა პაციფისტური ჟესტისათვის. სწორედ ამიტომ სრულებით არ იყო მოულოდნელი კელოგის პაქტის შექმნა. ამ პაქტში ნათქვამია:

„მაღალღირსეულნი, ხელშეკრულების დამდები მხარეები თავიანთი ხალხის სახელით საჯაროდ აცხადებენ, რომ ისინი გმობენ ომისათვის მიმართავს საერთაშორისო უთანხმოებათა გადასაწყვეტად და უარჰყოფენ მას, როგორც ეროვნული პოლიტიკის იარაღს, ერთმანეთთან ურთიერთობაში. მაღალღირსეულნი, ხელშეკრულების დამდები მხარეები აცხადებენ, რომ მათ შორის წარმოშობილი ყოველგვარი ხასიათის დავისა და კონფლიქტის მოგვარება ან გადაწყვეტა არასოდეს არ შეიძლება მოხდეს სხვანაირად, თუ არა მშვიდობიანი საშუალებით". კელოგის პაქტი, რომელსაც ხელი მოაწერეს 1928 წელს 28 აგვისტოს პარიზში, დაუპირისპირეს საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკას და ჩვენს წინადადებებს განიარაღების შესახებ. იგი ამავე დროს წარმოადგენდა ამერიკის დიპლომატიის პირველ ცდას — მოეპოვებია ხელმძღვანელი მდგომარეობა საერთაშორისო პოლიტიკაში და შეექმნა საკუთარი სამშვიდობო სისტემა, რომელიც უნდა დაეპირისპირებია ერთა ლიგისათვის.

მარტო ის გარემოება, რომ ევროპის სახელმწიფოები, თავიანთი სურვილის წინააღმდეგ, იძულებულნი გახდნენ მიეღოთ კელოგის პაქტი, მოწმობს შეერთებული შტატების როლის არაჩვეულებრივ ზრდას.

კელოგის პაქტი არ შეიძლება მივიჩნიოთ ისეთ ფაქტორად, რომელიც აგვაშორებს ომს, რადგან ეს დოკუმენტი არ შეიცავს არავითარ რეალურ გარანტიას ომის წინააღმდეგ და, კერძოდ, არაფერს ამბობს გა-

საბჭოთა მთავრობა
რეთვე იმას, რომ მიუხედავად
ლისა, კელოგის პაქტი მის მ
აკისრებს „მორალურ ვალდებულ
ამით აძნელებს, თუნდაც მის
ომის ფსიქოლოგიურად მომზად
რებოდა რა ამ მოსაზრებებს,
მთავრობამ გადასწყვიტა შეერთ
ლოგის პაქტს, რაც განხორციელ
1928 წლის სექტემბერში საფრან
ჩის სახელზე გაგზავნილი ნოტი
შიაც საბჭოთა მთავრობა აცნო

„რამდენადაც პარიზის პაქტი
რად ერთგვარ ვალდებულებებს
სახელმწიფოებს საზოგადო აზრ
და საბჭოთა მთავრობას აძლევს
ძლებლობას პაქტის ყველა მონა
ნაზე დასვას მთელი მსოფლიოსა
მნიშვნელოვანი საკითხი განიარა
სახებ, რომლის გადაწყვეტაც
ერთად-ერთ გარანტიას ომის თ
ცილებლად, საბჭოთა მთავრობ
რომ თანახმაა ხელი მოაწერ
პაქტს".

იმპერიალისტურ სახელმწიფ
ლებმაც ხელი მოაწერეს კელ
სრულებითაც არა ჰქონიათ გა
დვილად უარეყოთ ომი, რასა
არა მარტო შეიარაღების რეა
არამედ ის ფორმალური შენიშ
ლებიც არსებითად აუქმებენ
მოწერას.

მე მხედველობაში მაქვს
საფრანგეთის შენიშვნები.
ასეთი შენიშვნა დაურთეს პაქ

„ზოგიერთ ოლქის კეთილ
მთლიანობას განსაკუთრებით
სიცოცხლო მნიშვნელობა აქვ
ტანეთის მშვიდობიანობისა და
უზრუნველსაყოფად. დიდ ბ
შეუძლია დაუშვას არავითარ
ოლქების მდგომარეობაში. ამ
დარჩენა თავდასხმისაგან დიდ
სათვის წარმოადგენს თავდ

ცხადზე უცხადესია, ინგლ
ბას მხედველობაში თავისი
აქვს, ვინაიდან მაშინ ის იტყ

მძარცველების შეპყრობა

სოფ. სვირში (შორ. მაზრა) მცხოვრებმა ტერენტი წაქაძემ გაიგო, რომ იმავე სოფლის მცხოვრებს ალექსანდრე კამლაძეს ფული აქვს შემონახული და განიზრახა კამლაძის გაძარცვა.

ამ მიზნით მან შეკრიბა სხვადასხვა სოფლებიდან „საიმედო" ძმა-ბიჭები და შეუდგა გაძარცვის გეგმის შედგენას.

შორაპნის მაზრის მილიციამ ბოროტმოქმედთა სამზადისი მალე შეიტყო და მიიღო სათანადო ზომები.

18 მაისს ღამით, როცა ტყეში თავს იყრიდნენ მძარცველები, თავიანთი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მათ ალყა შემოარტყა მილიციამ, მილიციის უფროსის ამხ. ვ. მაღლაკელიძის ხელმძღვანელობით და ყველანი დააპატიმრა.

დაპატიმრებულნი აღმოჩნდნენ კოლია არტიმოსძე თუთარაშვილი, მიხეილ არტიმოსძე თუთარაშვილი, ფ. კიკვაძე, იროდი ნებიერიძე, დომენტი რობაქიძე და ტერენტი წაქაძე.

დაპატიმრებულთა შორის აღსანიშნავია ტერენტი წაქაძე, როგორც გაუსწორებელი
არა ნაკლებ საშიშ პირო-
კიკვაძე, რო-
ილ ცნობილ
ჯვენა ხელი
ამივი ამწიო-
მლის ოჯა-
როგორც ყა-
კო ნებიერი-
ვისაც დახვ-
ების სამაგა-

ემა

ერი 1075 მე-
ეგ პროგრა-
თულ ენაზე.
ეთი ქართულ
ამეფო საზო-
ნსულტაცია).
ნსულტაცია).
ლ ენაზე. სა-
ა ბაღების და
ასაგან" —ქა-
ოდან: „რევო-
„ დაბეგვ-
რის რადიო გა-
რი „როგორ
შირში მუშები
იუნარის დაკარ-
დროს შემოწ-
ფიზკულტურის
ე. წერილები
ასუხები რადიო
რუსულ ენაზე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

28 მაისს, დილის სრულ 10 საათზე საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის შენობაში (რუსთაველის პროს. № 21) გაიხსნება **ალ. კ. კ. შრომისა და განათლების მუშაკთა სრ. საქართველოს თათბირი.** ცეკას და თბილისის კომიტეტის შრ. და განათლ. კომისიების წევრთა და აგრეთვე ოლქკომების, მაზრკომების და რაიონების შრომისა და განათლ. განყ-ბათა მუშაკების დასწრება სავალდებულოა.

ორშაბათს, 27 მაისს, დილის 11 საათზე ც. კ.-ს აგიტპროპბეჭდვითი განყოფილებაში შესდგება რედაქტორების თათბირი, რომელსაც დაუგვიანებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: კიკნაძე („კომუნისტი"), ა. გიორგაძე. ბერათაშვილი („ახ. სოფ."), სიხარულიძე („მუშა"), აროშიძე („წით. არმიელი"), გრიგორიანი („რაბ. პრავდა"), ვოლსკი („ახალგაზრდა კომ."), პიტერსკი („მოლოდ. ლენინეც"), ტაგიევი („ენი-კენდი"), ვართანიანი („პროლეტარი"), დ. სიხარულიძე („მოჯ. ხმა").

ორშაბათს, 27 მაისს ა/წ. დილის 9 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. აგიტპროპბეჭდვითი განყ. (ამხ. დოლიძესთან) დანიშნულია ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. ცენტრ. პარტსკოლის პარტლექტორთა თათბირი.

დღის წესრიგშია: 1. ც. პ. სკოლის მუშაობის საკითხი. ქვემო ჩამოთვლილი ამხ. ამხ. დასწრება სავალდებულოა: პოლოსოვი, მთვარელიძე (ცენტრ. მუშფაკი), მახარაძე, ბუდილევი, ბედია (თბ. კ.), ცაგარეიშვილი, ადამიანი (თ. კ.), კ. ჩხარტიშვილი (მთ. პოლიტგ.), თ. ადამიძე (ქალ. რ. კ.), ჯაში, კულიჯანოვი, ხუციშვილი, ჰკუსელი, მურაჩაშვილი, კასატკინი, ორაგველიძე, კაკულია, სევერინი, როსნაძე (უჯრ. მდ.).

თბ. სახ. უნის ა. ლ. კ. კ. ბიუროკოლექტივი დღეს, 26 მაისს, სრულ 12 საათზე იწვევს აქტივის სხდომას, რომელსაც უნდა დაესწრონ: ბიურო კოლექტივის წევრ-კანდიდატები, ცალკე უჯრედების ბიუროების წევრ-კანდიდატები და აქტივი. დასწრება სავალდებულოა.

სახ-უნტის ა. ლ. კ. კ. ბიურო კოლექტივი წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს, დღეს, 26 მაისს, დილის თერთმეტ საათზე გამოცხადდენ ქალაქის რაიკომის საკონფლიქტო კომისიის სხდომაზე: ჩხენკელი, გარხიანი, ნეროზინი, გოშაძე, ხუცურიანი, მაჩაბელი, ლეიაშვილი.

კომუნისტ-პედაგოგების თათბირი, რომელიც 27 მაისს უნდა შემდგარიყო საქ. კომპარტიის ცეკას აგიტპროპბეჭდვით განყოფილებაში, გადადებულია და შესდგება ოთხშაბათს, 29 მაისს, საღამოს 6 საათზე. სავალდებულოა ყველა იმ კომუნისტ-პედაგოგების და კომკავშ. უჯრედების მდივნების დასწრება, რომლებიც მუშაობენ თბ.-სის შემდეგ ტეხნიკუმებში; ჰიდრო-ტეხნიკუმი, ქიმიო-ფარმაცევტიული, ინდუსტრიალური, სამრეწველო-ეკონომიური, ქიმიური,—საფეიქრო, მიწადმოწყობის, სომხური და თურქული პედაგოგიური ტეხნიკუმები. თათბირზე უნდა დაესწრონ აგრეთვე რაიკომების აგიტპროპბეჭდვით განყ. გამგეები და შემდეგი ამხანაგები: **კანდელაკი** (გან. სახ. კომისარი), **იმნაიშვილი** და **დემეტრაძე** (საქ. კომკავშირის ც. კ.) ბედია და ადამიანი (ცენტ. კომიტეტი), ჭელიძე (პროფსაბჭოს კულტგანყოფ.), **კერესელიძე** (კომკ. თ. კ.), **დ. ცხაკაია.**

ორშაბათს, 27 მაისს, საღ. 8 საათზე შესდგება ს. ს. პ. ი. მექ. ფაკ. ა.ლ.კ.კ. უჯრედის ღია კრება, წევრებისა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

სახ. უნივერსიტეტის ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ ორშაბათს, 27 მაისს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია კომპარტიის უჯრედთა გაერთიანებული ღია კრება.

პარტიის წევრების და კანდიდატების დასწრება აუცილებელია.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბ. კომიტეტის სააღრიცხვო განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. არმენაკ მირზასძე ღარიბოვს და პარმენ პეტრეს ძე სადიმიანს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ საქ. კომპარტიის (ბ) თბ. კომიტეტში (ოთახი № 66) ამხ. კუზმასთან.

ორშაბათს, 27 მაისს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია საქ. ა.ლ.კ.კ. თბ. კომიტეტის საკონფლიქტო კომისია. საქ. ა.ლ.კ.კ. თბ. კომიტეტის საკონფლიქტო კომისიის წევრების დასწრება სავალდებულოა. გარჩეულ იქნება შემდეგი ამხანაგების საქმეები: ჩიკვაიძის, დოლიძის, სტაუაძის, ქოიავასი, ახალაშვილის და ისაკოვასი.

27 მაისს, საღამოს სრულ 5 საათზე, საქ. ახ. ლ.კ.კ. ცეკას შენობაში გაიხსნება პროპაგანდისტების სრ. საქართველოს თათბირი. თბ. კომიტეტის, ოლქკომების და მაზრკომების ყველა აგიტპროპორგანიზატორების დასწრება სავალდებულოა.

ამხანაგები დათიკო ხარაბაძე, შილა ჩიხლაძე, საშა შავგულიძე, საშა ფურცელაძე, რომან კუპრავა და ირაკლი შოთაძე იუწყებიან, რომ კვირას, 26 მაისს, დღის 12 საათ., ძმათა სასაფლაოზე (ხუდადოვის ტყეში) დაუვიწყარ ამხ.

თეოფანე ბესარიონის ძე ეჯიბიას

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი (შ)

გულდაწყვეტილნი მეგობრები: გაიოზი, ჟორა, გერმანი, გოგი, მიშა, ჟორა, გოგი აუწყებენ საზოგადოებას, რომ 26 მაისს, შესდგება სამოქალაქო პანაშვიდი

კოტიკო ჩხეიძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 1957

დამწუხრებულნი დეიდა ანა გიორგის ასული იორამიშვილი-ჭინჭარაძისა, დეიდაშვილები ქეთო, თინა ჭინჭარაძეები, ელენე მგალობლიშვილი იუწყებიან, რომ კვირას, 26 მაისს, საღამოს 6 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი აბჯესში ტრაღიკულად დაღუპული ტეხნიკოს

კოტიკო ჩხეიძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 1947

ძმა კოლა, და ნატაშა, რძალი მარო კანდელაკები, დეიდაშვილები—დაშა, ბაბო, ელენე, სიძეები: ვასო, პეტრე და მეგობარი ვარა აუწყებენ საზოგადოებას

დარია ალექსანდრეს ასული კანდელაკის

გარდაცვალებას. გამოსვენება 1-ლ ქალაქის საავადმყოფოდან 2 საათზე, დაკრძალვა ავლაბრის სასაფლაოზე რკინის გზის გადაღმა. 1943

გულდათუთქულნი დედა ცაცა, ცოლი გუგუცა პატარა ქალ-ვაჟით შოთათი და თამარათი, დები: ვერა და დონა, ძმა კალისტრატე (ჭიჭალა) ცოლით თამარათი აუწყებენ საზოგადოებას, რომ 24 მაისს გარდაიცვალა

კოლია ივანეს ძე ანათიანი

დაკრძალვა სამშაბათს, 28 მაისს, ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება 3 საათზე მაჩაბლის ქ. № 5. 1944.

მშობლები: ივანე ქრისტეფორეს ძე და სალომე ანდრიას ასული შვილებით: რძალით: შალვა, ნინო, დავითი და გენო კავთიაშვილები, ვასილ გრიგორის ძე და ალექსანდრე დავითის ასული ბარნოვები შვილებით მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი შვილის, ძმის და ბიძაშვილის

აკაკი ივანეს ძე კავთიაშვილის

უდროვოდ დაკარგვას. დაკრძალვა 27 მაისს 3 საათზე. გამოსვენება აფანასევის ქ. № 3 კუკიის სასაფლაოზედ. 1956

სახ. აკ. ოპერის თეატრი
ორშაბათს. 27 მაისს
2—1 ნ. 2743
ქუთაის-ბათომის სახელმწ. დრამის თეატრი
კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით გასტროლები თბილისში
საქართვ. პროლეტარულ სტუდენტთა სასარგებლოდ უკანასკნელად
კაკალ გულში
ფასი ჩვეულებრივია. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში

რუსთაველის თეატრი
2—1 ნ. 2745
კვირას, 26 მაისს წარმოდგენ. № 126
სეზონის დახურვა
„ანზორ" ვ. ივანოვის
დრამა 4 მოქ. გადმოკეთებული ს. შანშიაშვილის მიერ
დადგმა: ალ. ახმეტელის მხატვარი: ირ. გამრეკელი
მუსიკა ი. გოკიელის. რეჟისორი აკ. ვასაძე
დასაწყისი სრულ 8 ნახ. საათზე
ბილეთები იყიდება თეატრის და მუშ. ზოლის სალაროებში

რუსთაველის თეატრი
1—1 ნ. 2748
1 ივნისიდან (შაბათი) მხოლოდ 5 წარმოდგენა
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის
ვ. ვ. მაქსიმოვის გასტროლები მისი ანსამბლით
ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში. პროფკავშირთა წევრებისათვის შეღავათიანი ბილეთები იყიდება პროფსაბჭოს მუშათა ზოლის სალაროში 40 პროც. შეღავათით

საქ. სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭ. პრეზიდიუმის დადგენილებით
(21 მაისის თარიღით ოქმი № 21)
სამთო მრეწველობის ტრესტს--„სამთო ტრესტს"
გამოეცვალა სახელწოდება და დაერქვა
სამთო ქიმიური მრეწველობის ტრესტი
„სამთო-ქიმტრესტი"
„სამთო-ქიმტრესტ"-ში—სამთო ტრესტის საწარმოთა გარდა გაერთიანებულია აგრეთვე საქართველოს სამთო-ქიმიური მრეწველობის ყველა საწარმო
ნ. 2752

სახკინმრეწვის კინოები
განთიადი ზვავი 27 მაისიდან პო 28-ს სრულიად საკავში
მინიონი მეორე კვირა მიდის საბა
პროლეტარი 27 მაისიდან კინო „მინიონში" შვილის შვილი
ალასი ოქროს ნისკარტი 27 მაისიდან პატი ზღვაში
ფოლო მზიარული იადონი
აფასტო 27 მაისიდან გრძელდება იგივე სურათი
სილეი კინო-რევიუ ეშმის თვალი
დჩბაზი მორალი 27 მაისიდან ტიკინა მილიონებით
ს
სტური ქვეყნების

ორშაბათიდან 27 მაისიდან
იხსნება
საზაფხულო
კინო თეატრი პალასი
მიდის საუკეთესო კომედია
პატი და პატაშონი
ზღვაში
თუ ცუდი ამინდი იქნა სეანსი საზამთრო შენობაში შესდგება

მაისს
ნ. 2754
დასაწყისი ნაშუადღევის 1 საათზე
2 ივლისს „ამიერ-კავკასიის დერბი"

მაქვს სამი ოთახი სივრცით 93 მეტრი
19 თებერვლის ქ. № 3 მე-2 სართულში მინდა
გადავცვალო ორ-სამ 60—70 მეტრის სივრციან ოთახზე, მდებარე I, II ან III სამილიციო რაიონში.
ნახვა შეიძლება ნაშუადღევის 3—6 საათამდე
14—1 სერგო ქავთარაძე

ლოგოპედი
ა. ა. პაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, ხფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ
კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01.

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს
(ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე. მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე
ტელეფ.—12—67. ნ. 20 25—1

ექიმი
ს. ი. ანდრეევისა
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა
მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29
ელსმენი—11—78. 25—1

თმის მკურნალობა
ვ. ი. დანილევსკაიას
საექიმო კოსმეტიკა
ლადო დუმბაძის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 18 პირისახის ყოველგვარი დეფექტის რადიკალური მკურნალობა. უცხოეთის უკანასკნელი მეთოდები. პირისახის და ხელების ყოველგვარი მასაჟი, აბაზანი, ნიღაბი. ყოველგვარი ელექტრიზაცია. რადიო-მოკს. მსურველთა მიღება ნაშუადღევის 1 ნახ. დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან—8-მდე. 25—1

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება:
ყურის, ცხვირის, ყელის სნეულებანი და მათი ქირურგია
მიღება 5—7 საათ. საღამოს
მისამართი: ჯულაშვილის ქუჩა (ყოფილი რტიშევის) № 14
ტელეფონი 20—10 25—22,

ექ. დ. ლ. თევზაძე
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოულოდნელი ხმის და მეტყველებისა
აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)
მიღება: საღამოს 7—8 საათ. გარდა კვირა დღეებისა.
ტელ. №2—73 25—6 12405

ექიმი
ჭ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.
მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—19.

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვისპროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე-სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე. ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე. 13—1

ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოე"-ს), პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8.

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების ღ პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 412 25—1

ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 495 2—5 25—18

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ექიმ
ნ. გ. კონტოროვიჩისა
ფრეილინის ქ. № 1. სოლოლაკის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა
ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება
მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—11

ჭრა-კერვის გაკვეთილები
ქართულ და რუსულ ენაზე
ბოლგარსკაია
კალინინის ქუჩა, № 83, მოწაფეების ჩაწერა საღამოს 4—7 საათამდე
24—11 64

ქ. ქუთაისში
ექიმი
დ. ა. ჩეჩელაშვილი
იღებს სპეციალურად ფილტვების ავადმყოფებს
დილის 8—12 საათამდე. ჭავჭავაძის ქუჩა № 4 ცეცხლის მქრობელ რაზმის გვერდით. 25—1

პროფ. შრ. მ. მუხაძე
თბილისიდან წასულია და დაბრუნდება 20 ივნისს. 13—1

დაკარგვ: პურის წიგნაკი ტარიელ ანდრიას-ძე კასრაძეს სახელზე, ჩ. გ. 1942
დაკარგვ: პურის წიგნაკი № 127 ილია გორჯალაძეს სახელზე, ჩ. გ. 1948.
დაკარგვ: მატრიკული № 182. ელენე ხახანაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1946.
დაკარგვ: პურის წიგნაკი № 81 სევასტი ივანესძე კალანდაძის სახელზე, ჩ. გ. 1945
დაკარგვ: პურის წიგნაკი № 240. ელისაბედ ზაქარიაძეს სახელზე, ჩ. გ.
დაკარგვ: დაზღვევის წიგნაკი № 1784 დომენტი კოსტანტინესძე დარჩიას სახელზე, ჩ. გ. 1953
დაკარგვ: სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი ამბარცუმ ფილოიანის სახელზე ჩ. გ. 1954
დაკარგვ: კავშირის წიგნაკი მიხეილ ვასილისძე ვოიტკოვსკის სახელზე და ორი პირადობის მოწმობა, მარია გრიგოლის ასული და ევგენი მიხეილისძე ვოიტკოვის სახელზე, ჩ. გ. ნ. 27
დაკარგვ: სამხედრო სააღრიცხვო ბარათი ფორმა № 4 რადიონ აფხაზავას სახელზე, ჩ. გ.
დაკარგვ: კავშირის საწევრო წიგნაკი ერმილე მიმინოშვილის სახელზე, ჩ. გ. 1954
დაკარგვ: სამხედრო სააღრიცხვო ბარათი № 65179 არსენ ლევანისძე საბაძის სახელზე, ჩ. გ. 1454
დაკარგვ: სამხედრო პირადი წიგნაკი № 40 გრიგოლ გიორგისძე გაწერელიას სახელზე, ჩ. გ. 1954
დაკარგვ: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი ბესარიონ სიმონისძე ჯანელიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2.751

დაკარგვ: სამედრო საღრიცხვო წიგნაკი № 505 ია ქანთარიას სახელზე, ჩ. გ. 1958
დაკარგვ: პარტ-ბილეთი № 0864707 აკაკი მახათაძეს სახელზე, ჩ. გ. 1.955
დაკარგვ: კომპარტიის საკანდიდატო მანდატი № 13327 მალაქი ბრეგვაძის სახელზე, ჩ. გ. 1930
დაკარგვ: სიმწიფის მოწმობა № 1916 და სამხედრო სააღრიცხვო ბარათი № 21 დავით ნაცვლიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1954
დაკარგვ: პურის წიგნაკი, გაცემული ქუთაისის ალმასკომის შინაგაჭრობის კომისიის მიერ, ნიკოლოზ ბურგმანის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2749

ტირაჟი—40.688
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ცამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.